



დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

საქართველო

პარლამენტის არჩევნები, 2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის
უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო
სადამკვირვებლო მისია
საბოლოო ანგარიში



ვარშავა
3 თებერვალი 2017 წ.

შინაარსი

I.	რეზიუმე.....	1
II.	შესავალი და მადლობები.....	6
III.	წინა ისტორია და პოლიტიკური კონტექსტი.....	7
IV.	საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო სტრუქტურა.....	8
V.	საარჩევნო ადმინისტრაცია.....	11
VI.	ამომრჩევლების რეგისტრაცია.....	13
VII.	კანდიდატების რეგისტრაცია.....	15
VIII.	საარჩევნო კამპანია.....	18
IX.	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება.....	22
X.	მედია.....	25
A.	მედია გარემო.....	25
B.	საკანონმდებლო ბაზა.....	26
C.	მედია მონიტორინგის შედეგები.....	30
XI.	ეროვნული უმცირესობების ჩართულობა.....	33
XII.	ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები.....	36
XIII.	საჩივრები და სარჩელები.....	37
XIV.	კენჭისყრის დღე (პირველი ტური).....	40
A.	საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი.....	41
B.	ხმების დათვლა.....	42
C.	ხმების დაჯამება.....	43
XIV.	არჩევნების პირველი ტურის შემდეგ განვითარებული მოვლენები.....	44
A.	საჩივრები და სარჩელები.....	44
B.	მეორე ტურისთვის მზადება.....	47
XVII.	კენჭისყრის დღე (მეორე ტური).....	50
A.	საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი.....	50
B.	ხმების დათვლა.....	51
C.	ხმების დაჯამება.....	51
XVIII.	არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები.....	51
XX.	რეკომენდაციები.....	53
A.	პრიორიტეტული რეკომენდაციები.....	53
B.	სხვა რეკომენდაციები.....	54
დანართი I:	საბოლოო შედეგები.....	59
დანართი II:	საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა სია.....	62
ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ.....		73

საქართველო
პარლამენტის არჩევნები
2016 წლის 8 და 30 ოქტომბერი

**ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე
სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში¹**

I. რეზიუმე

საქართველოს ხელისუფლების მოწვევის შედეგად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია განალაგა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურზე დაკვირვების მიზნით (რომელიც 30 ოქტომბერს გაიმართა) ქვეყანაში გარკვეული დროის მანძილზე კიდევ დარჩა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მოახდინა იმის შეფასება თუ რამდენად შეესაბამებოდა საარჩევნო პროცესი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს, სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ვალდებულებებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. არჩევნების ორივე ტურზე დაკვირვების მიზნით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპის პარლამენტის დელეგაციები შეუერთდნენ, რის შედეგადაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შეიქმნა. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიაში მონაწილე თითოეულ ამ ინსტიტუტს არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების 2005 წლის დეკლარაცია აქვს მოწონებული.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოცემული წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ განცხადების მიხედვით 8 ოქტომბრის არჩევნები „კონკურენტული და კარგად ადმინისტრირებული იყო, ძირითადი თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო. თუმცა კამპანიის მშვიდ და ღია ატმოსფეროზე ზეგავლენა მოახდინა ბრალდებებმა უკანონო აგიტაციის შესახებ და ძალადობის რამდენიმე შემთხვევამ. საარჩევნო ადმინისტრაციის და ამომრჩეველთა სიების მართვის მიმართ ნდობა არსებობდა. მედია პლურალისტულია, მაგრამ მონიტორინგში მონაწილე ზოგიერთი მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება ნაკლებად დაბალანსებული იყო. დებატებმა საარჩევნო სუბიექტებს თავიანთი შეხედულებების წარმოსაჩენად ხელსაყრელი პლატფორმა შესთავაზა. კენჭისყრა მოწესრიგებულად გაიმართა, მაგრამ პროცედურული პრობლემების და მომატებული დამაბულობის გამო ხმების დათვლა უფრო უარყოფითად შეფასდა.“

¹ წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი ასევე ხელმისაწვდომია.

წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ განცხადების მიხედვით (რომელიც 30 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების მეორე ტურს ეხებოდა), მეორე ტური „კონკურენტული იყო და აღნიშნული არჩევნები, მეორე ტურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს ნაკლებობის მიუხედავად, კანდიდატებისა და ამომრჩევლების უფლებების პატივისცემით იქნა ადმინისტრირებული. არჩევნების ტურებს შორის პერიოდში პირველი ტურის შედეგების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება პოლიტიკური დისკურსის მთავარი თემა იყო. გარდა ამისა, საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ საარჩევნო სარჩელების გამოძიებისას და განხილვისას გამჭირვალობის პრინციპი და საჩივრების ეფექტურად დაკმაყოფილების უფლება ხშირად არ იყო უზრუნველყოფილი. ამ ყველაფერმა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა შეასუსტა. ამ მოკლე და ნაკლებად ხმაურიანი კამპანიის პერიოდში მედიის მუშაობა უფრო დაბალანსებული იყო ვიდრე პირველი ტურის წინ. კენჭისყრის დღის პროცედურები მშვიდად და პროფესიონალურად განხორციელდა, დამკვირვებლების მიერ მათი შეფასება დადებითი იყო, რადგან საარჩევნო კომისიები უფრო მომზადებული იყვნენ, ხოლო პროცედურების შესრულება გაუმჯობესებული იყო.“

ეს საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შემოღებული ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემის ფარგლებში ჩატარებული პირველი არჩევნები იყო. არჩევნები პოლიტიკური ელიტების/ისტაბლიშმენტის მიმართ საზოგადოების უკმაყოფილების ფონზე ჩატარდა. ორ წამყვან პარტიას შორის დამაბულობა პოლიტიკური გარემოს და არჩევნების ატმოსფეროს უდიდეს ნაწილში იგრძნობოდა.

მართალია საკანონმდებლო ბაზა დემოკრატიული არჩევნების გამართვას უწყობს ხელს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში კანონმდებლობა ბოლომდე ნათელი არ არის, რაც სხვადასხვა ინტერპრეტაციების საშუალებას ტოვებს. საარჩევნო კოდექსში გვიან შეტანილმა ცვლილებებმა საარჩევნო საქმიანობაზე და კამპანიაზე ზეგავლენა მოახდინა. კანონმდებლობაში ბოლო დროს შეტანილმა შესწორებებმა საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილებები გამოიწვია, რომლებიც თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპის პატივისცემაზე იყო მიმართული ისე როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციებითაა გათვალისწინებული. თუმცა ამ რეკომენდაციებიდან გარკვეული გადახრები კვლავ რჩება, ზემოდხსენებული ცვლილებებით საზღვრების დადგენისთვის საკმარისი პარამეტრები ან მომავალში კანონმდებლობის გადახედვის პროცედურები არ ყოფილა განსაზღვრული. საარჩევნო კოდექსით მეორე ტურის პროცედურები არ არის რეგულირებული, რეგულაციების ეს ნაკლებობა ბევრი დაინტერესებული მხარის მიერ იქნა აღნიშნული, რამაც სუბიექტური ინტერპრეტაციის და კანონის აღსრულების მხრივ არათანმიმდევრულობის შესაძლებლობა გააჩინა.

არჩევნებში 25 პარტია და ბლოკი მონაწილეობდა, პარტიულ სიებში 3,500-ზე მეტი კანდიდატი იყო შეყვანილი, ხოლო მაჟორიტარულ არჩევნებში სულ 869 კანდიდატი იყო რეგისტრირებული. არჩევნებში 53-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა და 1,440-ზე მეტმა ქალმა კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა. ცხრა კვალიფიციური სუბიექტიდან შვიდმა შეძლო ქალ კანდიდატებთან დაკავშირებული კვოტის შესრულება (ყოველ 10 კანდიდატში მინიმუმ 30 პროცენტი ქალი კანდიდატის ყოლა). მეორე ტური 73-დან 50

ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში გაიმართა. მეორე ტურში ოთხი პარტიის წარმომადგენელი 97 კანდიდატი და სამი დამოუკიდებელი კანდიდატი მონაწილეობდა. მართალია ამომრჩევლებს საარჩევნო სუბიექტების ფართო არჩევანი გააჩნდათ, მაგრამ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში გვიან მიღებულმა ცვლილებებმა ზოგიერთი პარტიის რეგისტრაციაზე და რეგისტრაციის პროცესის ინკლუზიურობაზე ზეგავლენა მოახდინა.

საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობდა, დროულად და პროფესიონალურად მუშაობდა. ცესკოს სამი წევრი ქალია (მათ შორის თავმჯდომარე), ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების 62 ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების 69 პროცენტს შეადგენდნენ. თავდაპირველად ცესკო დაინტერესებული მხარეების მაღალი ნდობით სარგებლობდა, თუმცა პირველი ტურის შემდეგ ეს ნდობა შესუსტდა, რაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეების თქმით დიდწილად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კენჭისყრის დღეს დაშვებულ პროცედურულ შეცდომებზე და საჩივრებზე რეაგირებით იყო განპირობებული. არჩევნების მანძილზე ისმოდა ბრალდებები, რომელთა მიხედვით ზედა დონის კომისიებს ქვედა დონის კომისიების წევრების დანიშვნისას მიუკერძოებლობა აკლდათ, ეს ბრალდებები ნაწილობრივ კანონმდებლობით განსაზღვრული დისკრეციით იყო გამოწვეული.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასიურია. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ცესკო ამომრჩეველთა სიების შედგენაზეა პასუხისმგებელი. ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის და ამომრჩეველთა სიების სიზუსტის მიმართ ზოგადი ნდობა არსებობს. საარჩევნო კომისიებმა ამომრჩევლებს სიებში საკუთარი მონაცემების გადასამოწმებლად საკმარისი შესაძლებლობა მისცეს. საკანონმდებლო ცვლილებებით იმ ამომრჩევლებისთვის, რომლებსაც მანამდე საარჩევნო უფლებები შეზღუდული ჰქონდათ, რეგისტრაციის პროცედურები დროებით გამარტივდა, ამ შესწორებების შედეგად ამომრჩეველთა სიების ინკლუზიურობა გაუმჯობესდა, თუმცა ეს ცვლილებები ძალზედ გვიან იქნა განხორციელებული, ამიტომ ისინი ბოლომდე ეფექტური არ ყოფილა.

პირველი ტურის დროს დაფიქსირებული იზოლირებული ძალადობრივი ინციდენტების მიუხედავად ორივე ტურის წინასაარჩევნო კამპანია კონკურენტულ და მშვიდ გარემოში ჩატარდა. იმ დროს როცა ფუნდამენტური თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება თავისუფლად შეეძლოთ, რამდენიმე პარტიამ ბრალდებები გააჟღერა, რომელთა მიხედვით კანდიდატებზე და საარჩევნო კამპანიის ორგანიზებაში ჩართულ პერსონალზე ზეწოლა ხორციელდებოდა. ორ წამყვან პარტიას შორის წინასაარჩევნო კამპანიის ტონი კონფრონტაციული იყო, ვრცელდებოდა ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებისა და წინასაარჩევნო კამპანიაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის შესახებ. მეორე ტურის წინ პოლიტიკური დისკურსის მთავარი თემა ერთი პარტიის მიერ პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვების შესაძლებლობა და ამის შედეგები იყო.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ რეგულაციებში შეტანილი შესწორებებით მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა ის რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით კანონმდებლობის მეტი ერთგვაროვნება უნდა ყოფილიყო მიღწეული და დარღვევებისთვის პროპორციული და პრევენციული სანქციები უნდა ყოფილიყო შემოღებული. წინასაარჩევნო კამპანიის და პარტიების დაფინანსების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა ორგანომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 1,016 შემოწირულობა გამოიკვლია და სანქციები 10 შემომწირველს დააკისრა. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული დარღვევები ხშირად დროულად არ იყო ხოლმე გამოძიებული, რაც ნაწილობრივ ახალი პროცედურებით იყო გამოწვეული, რომელთა მიხედვით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გამოძიებების ჩასატარებლად სასამართლოს ნებართვები სჭირდებოდა; ამის შედეგად აუდიტის სამსახურის ზედამხედველობის ეფექტურობა შესუსტდა. მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ანგარიშების წარმოდგენა სავალდებულო არ ყოფილა.

მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მედიის თავისუფლებისთვის მყარ საფუძველს ქმნის. არსებობდა კონსენსუსი იმის შესახებ, რომ მედია ლანდშაფტის ზოგადი პლურალიზმი გაუმჯობესებული იყო, იმის მიუხედავად რომ მედია საშუალებები კვლავ პოლარიზებულად აღიქმებოდა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ბოლომდე არ გაასაჯაროვა, გარდა ამისა, კომისიას სავარაუდო დარღვევებზე დროული და ეფექტური რეაგირება არ მოუხდენია. ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებულმა მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ მაუწყებლების მიერ პირველ ტურამდე ორგანიზებულმა დებატებმა საარჩევნო სუბიექტებს თავიანთი შეხედულებების წარმოსაჩენად ინკლუზიური და პლურალისტული პლატფორმა შესთავაზა. მართალია პირველი ტურის წინ ზოგიერთი მონიტორინგს დაქვემდებარებული მაუწყებლის ახალი ამბების გამოშვებები ან აქტუალური მოვლენებისადმი მიძღვნილი პროგრამები მიკერძოებული იყო, მეორე ტურის წინ მათი გაშუქების სტილი უფრო დაბალანსებული გახდა. მონიტორინგს დაქვემდებარებული მაუწყებლები უფასო და ფასიან პოლიტიკურ რეკლამასთან დაკავშირებულ იურიდიულ დებულებებს იცავდნენ, თუმცა მათ საზოგადოებრივი აზრის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული წესები არ დაუცვიათ.

რამდენიმე პარტიამ და ბლოკმა თავიანთ პარტიულ სიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ჩასვა, თუმცა სიების ზედა ნაწილში მხოლოდ რამდენიმე მათგანი მოხვდა; გარდა ამისა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მაჟორიტარი კანდიდატები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშიც იყვნენ წარმოდგენილი. ამ რეგიონებში წინასაარჩევნო კამპანია თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ჩატარდა. წინასაარჩევნო კამპანია უფრო აქტიურად აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში ტარდებოდა (სადაც რამდენჯერმე ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე ამომრჩეველთა მობილიზების მცდელობები იქნა დაფიქსირებული), ხოლო სომხებით დასახლებულ რაიონებში წინასაარჩევნო კამპანია ნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა. გამოითქვა გარკვეული წუხილები იმის შესახებ, რომ საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილების შედეგად ეროვნული უმცირესობების პარლამენტში წარმომადგენლობის შესაძლებლობა შემცირდებოდა.

ცესკომ 55 საერთაშორისო და 111 ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას მიანიჭა აკრედიტაცია, აღნიშნული პროცესი ინკლუზიური იყო. პროცესის ყველა ეტაპზე მრავალრიცხოვანი ადგილობრივი დამკვირვებლების მონაწილეობა დადებით მოვლენად იქნა აღქმული; თუმცა ორივე კენჭისყრის დღეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებლის პარტიებთან ავილირების მკაფიო ნიშნები დააფიქსირეს. ამან და ასევე იმ ორგანიზაციების მიერ მედია აკრედიტაციის აშკარად არასათანადოდ გამოყენებამ, რომლებიც ღიად აცხადებდნენ რომ თავიანთ მედია სტატუსს მხოლოდ არჩევნებზე დაკვირვებისთვის გამოიყენებდნენ, აკრედიტაციის პროცესის ადეკვატურობასთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები წარმოშვა.

8 ოქტომბერს კენჭისყრის პროცესი ზოგადად მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, თუმცა დღის განმავლობაში დაძაბულობამ იმატა და საარჩევნო უბნებში და მათ გარეთ რამდენიმე ძალადობრივ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი დადებითად თითქმის ყველა უბანზე შეფასდა. იმ რამდენიმე საარჩევნო უბანზე სადაც პროცესი უარყოფითად იქნა შეფასებული, ეს ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში არაუფლებამოსილი პირების ჩარევით იყო გამოწვეული. ხმების დათვლის პროცესი აშკარად ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა, რაც პროცედურული პრობლემებით და გაზრდილი დაძაბულობით იყო განპირობებული. ხმების დაჯამების პროცესი თავდაპირველად უფრო დადებითად შეფასდა, მაგრამ პროცესის დასრულებისას გარკვეული ნაკლოვანებები იქნა დაფიქსირებული. ოქმების შესწორებასთან, შედეგების გაუქმებასთან და ხმების თავიდან გადათვლასთან დაკავშირებული პროცედურები საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე არასაკმარისად არის რეგულირებული, რამაც კანონის არათანმიმდევრული აღსრულება გამოიწვია. გარდა ამისა, ზოგიერთ ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიებმა შედეგების დაჯამება სასამართლო სარჩელების განხილვის დასრულებამდე მოახდინეს.

მეორე ტურში კენჭისყრასთან დაკავშირებული პროცედურები ზოგადად მშვიდად და პროფესიონალურად იქნა აღსრულებული. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ზოგადი შეფასება დადებითი იყო, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები უკეთ იყვნენ მომზადებული და პროცედურების აღსრულება გაუმჯობესებული იყო, განსაკუთრებით ხმების დათვლის დროს. თუმცა საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულ ზედმეტ ხალხმრავლობას, არაუფლებამოსილი პირების ადგილზე ყოფნას და მათ მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ჩარევას კვლავ უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდა. ბევრი საარჩევნო უბნის გარეთ ადამიანთა დიდი ჯგუფების შეკრება შეინიშნებოდა, რამდენიმე შემთხვევაში დამკვირვებლებმა სავარაუდო დაშინების ფაქტები დააფიქსირეს.

საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების დროულად განხილვის პროცესს ითვალისწინებს, თუმცა კოდექსით ამომრჩევლებს საჩივრების შეტანის უფლება შეზღუდული აქვთ, რაც საერთაშორისო ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება. წინასაარჩევნო პერიოდში შემოტანილი საჩივრები გამჭირვალედ, ღია სხდომებზე იხილებოდა და მხარეებს ამ სხდომების შესახებ წინასწარ ეგზავნებოდათ

შეტყობინება. იმ დროს როცა წინასაარჩევნო პერიოდში საჩივრების დაჩქარებულ ვადებში განხილვა როგორც ჩანს ესწრებოდა, ტურებს შორის პერიოდში აღნიშნული შემჭიდროვებული ვადები საფუძვლიანი გამოძიებისთვის და შესაბამისად საჩივრებზე ეფექტური რეაგირებისთვის არასაკმარისი იყო. გარდა ამისა, ღია სხდომებზე სასამართლოები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მათ მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლის უფლებას, მაშინაც კი როდესაც ისინი კონკრეტული დარღვევების არსებობას აღიარებდნენ. წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეზე და სასამართლოებში 187 საჩივარი იქნა შეტანილი. მათი ძირითადი ნაწილი წინასაარჩევნო წესების დარღვევებს, მათ შორის არაუფლებამოსილი პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას და ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებას ეხებოდა; გარდა ამისა, ამ საჩივრებით სავარაუდო საარჩევნო დარღვევებისთვის ადმინისტრაციული ოქმების შედგენა იყო მოთხოვნილი.

ტურებს შორის პერიოდში პირველი ტურის შედეგები მრავალჯერ იქნა გაპროტესტებული. საარჩევნო უბნების შედეგების გაუქმების 325 მოთხოვნა იქნა დაფიქსირებული, აქედან 10 მათგანი დაკმაყოფილდა. ოთხ საარჩევნო უბანზე, სადაც შედეგების გაუქმებას ზოგად სურათზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო, 22 ოქტომბერს განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნები გაიმართა. სამმა პარტიამ, წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული სავარაუდო დარღვევების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში წარუმატებლად გაასაჩივრა პროპორციული არჩევნების საბოლოო შედეგების ოქმი.

II. შესავალი და მადლობები

30 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლების მოწვევის შედეგად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა 2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია განლაგა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია პარლამენტის არჩევნების მეორე ტურზე დაკვირვების მიზნით (რომელიც 30 ოქტომბერს გაიმართა) ქვეყანაში გარკვეული დროის მანძილზე კიდევ დარჩა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ელჩი ალექსანდრე კელჩევსკი ხელმძღვანელობდა, მისია თბილისში მომუშავე 14 ექსპერტისგან და ქვეყნის მასშტაბით განლაგებული 26 (პირველი ტური) და 14 (მეორე ტური) გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგებოდა. აღნიშნული დამკვირვებლები ეუთოს წევრი 21 ქვეყნიდან იქნა მოწვეული.

არჩევნების ორივე ტურზე დაკვირვების მიზნით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის და ევროპის პარლამენტის დელეგაციები შეუერთდნენ, რის შედეგადაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შეიქმნა. 8 ოქტომბერს, მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნებზე

დაკვირვების მიზნით, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ 39 ქვეყნის წარმომადგენელი 420 დამკვირვებელი ხოლო 30 ოქტომბერს 27 ქვეყნის წარმომადგენელი 156 დამკვირვებელი განაღდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მოახდინა იმის შეფასება თუ რამდენად შეესაბამებოდა საარჩევნო პროცესი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებს, სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ვალდებულებებს და ასევე ეროვნულ კანონმდებლობას. წინამდებარე საბოლოო ანგარიში 9 და 31 ოქტომბერს გამართული პრეს-კონფერენციების დროს გამოქვეყნებულ „განცხადება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ“-ს ეყრდნობა.²

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს მადლობა გადაუხადოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (მათ შორის ეუთოში მის მუდმივ წარმომადგენლობას) მათ მიერ გაწეული დახმარებისთვის. გარდა ამისა, გარდა ამისა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ასევე სურს გამოხატოს მადლიერება სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმომადგენლების მიმართ მათი თანამშრომლობისთვის.

III. წინა ისტორია და პოლიტიკური კონტექსტი

2016 წლის 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შემოღებული ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემის ფარგლებში ჩატარებული პირველი არჩევნები იყო. 2012 წლის არჩევნების შედეგად საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემა პირველად მოხდა. მმართველმა კოალიციამ, რომელსაც სათავეში ქართული ოცნება ედგა, 150-დან 85 მანდატი მოიპოვა, ხოლო ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა პარტიამ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ კი 65 მანდატი მიიღო. წინა მოწვევის პარლამენტში ეროვნული უმცირესობები შვიდი წევრის სახით იყვნენ წარმოდგენილი.³ 8 ოქტომბრის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მმართველი კოალიციის და საპარლამენტო პარტიების ფრაგმენტაცია გამოიწვია.⁴ ქართულმა ოცნებამ და მისმა

² იხილეთ [ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ საქართველოსთან](#) დაკავშირებით მომზადებული ყველა ანგარიში.

³ მათ შორის სამი სომეხი, სამი აზერბაიჯანელი და ერთი ოსი.

⁴ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თავისუფალმა დემოკრატებმა, ეროვნულმა ფორუმმა და რესპუბლიკურმა პარტიამ დატოვეს ქართული ოცნების კოალიცია; ქართული ოცნება ასევე ოთხმა პარლამენტის წევრმა დატოვა, რომლებმაც დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელეს მუშაობა. 2016 წლის არჩევნებამდე ქართულ ოცნებას 12 დამოუკიდებელი დეპუტატი და ასევე მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი ექვს-ექვსი წევრი უჭერდა მხარს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოთხმა წევრმა დატოვა პარტია, რის შემდეგაც მათ ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი ჩამოაყალიბეს.

ყოფილმა პარტნიორებმა კოალიციიდან არჩევნებში მონაწილეობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღეს.

პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიმართ საზოგადოების იმედგაცრუებამ არჩევნების წინ არსებულ პოლიტიკურ გარემოზე მოახდინა ზეგავლენა. 2014 წლის ივნისში ევროპის კავშირთან ხელმოწერილმა ასოცირების ხელშეკრულებამ ასევე ზეგავლენა იქონია არჩევნების კონტექსტზე და გააძლიერა დისკუსიები საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის არსებული დაძაბულობა პოლიტიკური გარემოს და არჩევნების ატმოსფეროს თითქმის ყველა ასპექტში იგრძნობოდა.

IV. საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო სტრუქტურა

150 ადგილიანი პარლამენტი ოთხი წლის ვადით შერეული სისტემით აირჩევა: 73 წევრი ერთმანდატიან ოლქებში მაჟორიტარული სისტემით ხოლო 77 წევრი კი მთელი ქვეყნის მასშტაბით პარტიული სიით პროპორციული სისტემით აირჩევა. პარლამენტში მოსახვედრად პოლიტიკურმა პარტიებმა და ბლოკებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მიცემული ხმების მინიმუმ ხუთი პროცენტი უნდა მიიღონ. მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატმა ხმების მინიმუმ 50 პროცენტი მაინც უნდა მიიღოს იმისთვის რომ იგი პარლამენტში იქნას არჩეული. თუ ამ ბარიერს ვერცერთი მაჟორიტარი კანდიდატი ვერ გადალახავს, მაშინ განმეორებით არჩევნებში (რომელიც პირველი ტურის შემდეგ მაქსიმუმ 25 დღის განმავლობაში უნდა გაიმართოს) მონაწილეობას მიიღებს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც არჩევნების პირველ ტურში ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა დააგროვეს.

არჩევნები ძირითადად 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით და 2011 წელს დამტკიცებული საარჩევნო კოდექსით რეგულირდება (საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2016 წელს იქნა შეტანილი). გარდა ამისა, არჩევნების რეგულირება ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებებითა და განკარგულებებითაც ხდება⁵. საკანონმდებლო ბაზა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ხელს უწყობს, თუმცა საარჩევნო კოდექსში არსებული ზოგიერთი დებულება ბოლომდე ნათელი არ არის, რაც სხვადასხვა ინტერპრეტაციების წარმოქმნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით ეს საჩივრების განხილვას (იხილეთ „საჩივრები და სარჩევნები“-ს განყოფილება) და ხმის მიცემის შედეგების გაუქმებასთან და ხმების ხელახლა გადათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ეხება.

საარჩევნო კოდექსის დებულებების ერთნაირად გამოყენებისა და საკანონმდებლო ბაზის კიდევ უფრო დაკონკრეტების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ შემდეგ

⁵ არჩევნების მარეგულირებელი სხვა კანონებია: 1997 წელს მიღებული კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ადმინისტრაციული კოდექსი, 2008 წელს მიღებული კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ და 2004 წელს მიღებული კანონი მაუწყებლობის შესახებ. ამ არჩევნებისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 43 დადგენილება და 315 განკარგულება გამოსცა.

არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე საარჩევნო კოდექსის საფუძვლიანი გადახედვა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის პირობებში მოხდეს.

საარჩევნო კოდექსი მეორე ტურის პროცედურებს არ არეგულირებს. მეორე ტურის განმსაზღვრელი რეგულაციების ნაკლებობა ბევრი დაინტერესებული მხარის (მათ შორის ცენტრალური საარჩევნო კომისიის) მიერ იქნა აღნიშნული. ამ გარემოებამ კანონის აღსრულებისას სუბიექტურ ინტერპრეტაციებს და არათანმიმდევრობას გაუხსნა გზა.⁶

სასურველია რომ მოხდეს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რათა შესაძლო მეორე ტურებისთვის კონკრეტული წესები იქნას დადგენილი, მათ შორის ამაში იგულისხმება საარჩევნო კამპანიის წარმართვასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები, არჩევნების ორგანიზებაში ჩართული პირების უფლებამოსილების ვადები, დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლების უფლებები, ამომრჩეველთა სიების განახლების პროცედურები და კანდიდატების გაწვევის წესები და ასევე მეორე ტურთან დაკავშირებული სპეციფიკური პროცედურების რეგულირება.

საკანონმდებლო ბაზაში (მათ შორის მნიშვნელოვან დებულებებში) არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში ცვლილებები იქნა შეტანილი, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება.⁷ 2015 წლის დეკემბერში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი საარჩევნო კოდექსში, რომლითაც მაჟორიტარულ არჩევნებში საარჩევნო ბარიერი 30-დან 50 პროცენტამდე იქნა გაზრდილი და ასევე საარჩევნო ოლქების განსაზღვრის ახალი წესები იქნა შემოღებული.⁸ ამ შესწორებებს ტექნიკური ცვლილებების პაკეტი მოჰყვა, რომელიც ივნისში იქნა დამტკიცებული.⁹

გარდა ამისა, მისში მოხდა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის ცვლილება, ახალი დებულებები ძალაში 20 ივნისს შევიდა, მაშინ როდესაც წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული იყო. ამ შესწორებების მიხედვით პარტიებს საკუთარი მონაცემების საჯარო რეესტრში განახლება ზემოდხსენებული შესწორებების ძალაში შესვლიდან 10

⁶ ზოგიერთ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კოდექსში არსებულ ტერმინ „არჩევნებს“ მთლიანი პროცესის, ხოლო ზოგ შემთხვევებში კი მხოლოდ პირველი ტურის განმსაზღვრელ ტერმინად იყენებდა.

⁷ [ევროპის საბჭოს კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით \(ვენეციის კომისიის\) „საარჩევნო საკითხებში კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის“](#) მიხედვით საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტები და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენა არჩევნებამდე ერთი წლის მანძილზე არ უნდა ხდებოდეს. ასევე იხილეთ „საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობასთან დაკავშირებული განმარტებითი დეკლარაცია“ ([CDLAD\(2005\)043](#)).

⁸ საარჩევნო ოლქების დელიმიტაციის პროცედურები თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპის უზრუნველყოფის და ასევე ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით იქნა გატარებული.

⁹ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს შორის ის გარდამავალი დებულებებია, რომლებიც გარკვეული კატეგორიის ამომრჩევლებს მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის ან მანამდე დაფიქსირებული მისამართის მიხედვით რეგისტრაციის პროცედურებს უმარტივებს. გარდა ამისა, სხვა ცვლილებების მიხედვით დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფის რეგისტრირებისთვის საჭირო ამომრჩევლების რაოდენობა დადგინდა, შემცირდა საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებში არჩევნებში მონაწილე მხარეებისთვის გამოყოფილი უფასო საეთერო დრო და განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძალადობის პრევენციის მიზნით, პოლიციას საარჩევნო უზნებთან ახლოს საარჩევნო უბნის პერსონალის მოთხოვნის გარეშე ყოფნის უფლება მიენიჭა.

დღის განმავლობაში დაევაღათ. ამ ცვლილებებმა ბევრი პარტიის რეგისტრაციის პროცესზე იქონია ზეგავლენა.

საკანონმდებლო სფეროში სტაბილურობის და ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი უფლებებისა და პროცედურების ნათლად გაგების უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ხელისუფლებამ არჩევნებამდე დარჩენილ წელიწადში თავი შეიკავოს საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტების ცვლილებისგან.

საარჩევნო ოლქების საზღვრების დელიმიტაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით საარჩევნო ოლქების საზღვრები ორ ეტაპად უნდა შეცვლილიყო, ამ ცვლილებებით მოხდა 73-დან 43 ერთმანდატიან ოლქებში საზღვრების დადგენა, ხოლო დანარჩენი 30 ოლქის საზღვრების დადგენა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სხვადასხვა მუნიციპალიტეტში დაევაღა სადაც ერთზე მეტი საარჩევნო უბანი უნდა შექმნილიყო. ამ ცვლილებების მიხედვით საარჩევნო ოლქის საზღვრების დადგენის კონკრეტული პარამეტრები არ ყოფილა მოცემული (მაგალითად მოსახლეობის ზომა, რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა, არჩევნებში რეალურად მონაწილე პირების რაოდენობა ან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რაიონებისთვის გამოსაყენებელი მექანიზმები). გარდა ამისა, კანონი ამომრჩეველთა რაოდენობიდან დასაშვებ დევიაციებს არ ადგენს და საკმარისად არ განსაზღვრავს მომავალში საზღვრების გადასინჯვასთან დაკავშირებულ საკითხებს. გარდა ამისა, ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან ყველაზე დიდი დევიაციები კვლავ ეწინააღმდეგება საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებს, ხოლო რამდენიმე საარჩევნო ოლქი ე.წ. დაკავშირებადობის პრინციპს ვერ აკმაყოფილებს.¹⁰ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ბევრი თანამოსაუბრე აცხადებდა, რომ საზღვრების დელიმიტაციის პროცესი საკმარისად გამჭვირვალე არ იყო და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების საკმარისი ჩართულობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი.¹¹

სასურველია რომ საარჩევნო ოლქების დელიმიტაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადახედვა მოხდეს, რათა ზემოდახსენებული ნაკლოვანებები იქნას აღმოფხვრილი (კონკრეტულად კი ხმების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, ისე როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციებით არის განსაზღვრული).

¹⁰ საშუალო ზომის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან გადახრის ყველაზე დიდი მაჩვენებელი 25.4 პროცენტს შეადგენდა.

¹¹ [ეუთოს/ევროპის საბჭოს კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით \(ვენეციის კომისიის\) საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით 2016 წლის 14 მარტს გამოცემული საერთო კომენტარის](#) მიხედვით: „საარჩევნო პროცესში ჩართული ბევრი დაინტერესებული მხარე საარჩევნო ოლქების შექმნის თავდაპირველ ეტაპებს აკრიტიკებდა, რადგან მათი აზრით ეს პროცესი საკმარისად გამჭვირვალე და მიუკერძოებელი არ იყო და საზოგადოების ფართოდ ჩართულობა უზრუნველყოფილი არ ყოფილა. საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებული კონსულტაციების შემდგომი ეტაპები დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით არ გამოირჩეოდა, რამაც პროცესის ინკლუზიურობას შემდგომი ზიანი მიაყენა“.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება მოხდა სამ დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო საარჩევნო კომისიისგან და 3,634 საუბნო საარჩევნო კომისიისგან.¹² ამ არჩევნებზე 53-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ კანონით დადგენილი ფუნქციები სრულად აღასრულა, ხოლო დანარჩენი 20 საოლქო საარჩევნო კომისია დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების სახით ფუნქციონირებდა.¹³

ყველა საარჩევნო კომისია 13 წევრისგან შედგება, აქედან 7 წევრი სახელდება კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების მიერ (ის პარტიები, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ, რადგან ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე ხმების მინიმუმ 3 პროცენტი მიიღეს). ქვედა დონეებზე კომისიების დანარჩენი ექვსი წევრი ზედა დონის კომისიების მიერ ღია კონკურსის შედეგად ინიშნებიან.¹⁴ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დანარჩენი წევრები პარლამენტის მიერ პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ინიშნება, ხოლო ცესკოს თავმჯდომარის შესარჩევად დამატებითი პროცედურები მოქმედებს.¹⁵ ცესკოს სამი წევრი ქალია, მათ შორის თავმჯდომარე. ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა დაახლოებით 62 პროცენტს ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 69 პროცენტს შეადგენდნენ.¹⁶

არჩევნები, ყველა დონეზე, დროულად და პროფესიონალურად იქნა წარმართული. ცესკო გამჭვირვალედ მუშაობდა. ყველა სხდომა ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, ცესკო რეგულარულ ბრიფინგებსა და შეხვედრებს მართავდა და ინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, ცესკო დროულად აქვეყნებდა საკუთარ ვებგვერდზე მის მიერ მიღებულ დადგენილებებს, განკარგულებებს, გადაწყვეტილებებს და სხდომების ოქმებს. საოლქო საარჩევნო კომისიებს საკუთარი გადაწყვეტილებების გამოქვეყნება შენობის გარეთ შესაბამისი განცხადებების გამოკვრის სახით ევალებათ.

საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის გასაზრდელად სასურველია რომ საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა გადაწყვეტილების ცესკოს ვებგვერდზე სავალდებულოდ გამოქვეყნების საკითხი იქნას განხილული.

¹² ამასთან ერთად სასჯელადსრულების და სამედიცინო დაწესებულებებში 11 სპეციალური უბანი გაიხსნა. საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის პროცესში ჩართვის მიზნით 42 ქვეყანაში 57 საარჩევნო უბანი გაიხსნა.

¹³ დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიები ძირითად საოლქო საარჩევნო კომისიებს ლოგისტიკურ, ადმინისტრაციულ და საინფორმაციო დახმარებას უწევდნენ. დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიებში ხმების დაჯამება არ მომხდარა.

¹⁴ ყველაზე მეტი სახელმწიფო დაფინანსება შემდეგმა შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და დემოკრატიული მოძრაობა.

¹⁵ პრეზიდენტი ასახელებს სამ კანდიდატს, შემდეგ პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრები (იმ პარტიის მიერ დანიშნული წევრის გარდა, რომელმაც წინა საპარლამენტო არჩევნებზე საუკეთესო შედეგი მიიღო) ირჩევენ თავმჯდომარეს. თუ ცესკოს წევრები კანონით დადგენილ პერიოდში ვერ აირჩევენ თავმჯდომარეს, მაშინ პარლამენტს მის ასარჩევად შვიდი დღე გააჩნია.

¹⁶ 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

წინასაარჩევნო პერიოდში ცესკო დაინტერესებული მხარეების მაღალი ნდობით სარგებლობდა. თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ გარკვეული კრიტიკა ისმოდა, განსაკუთრებით ეს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ქვედა დონის კომისიების წევრების დანიშვნის პროცესს ეხებოდა, რადგან ზოგიერთი დაინტერესებული მხარის განცხადებით საოლქო საარჩევნო კომისიები ამ პროცესის დროს მიკერძოებულები იყვნენ. იმ დროს როცა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმები არსებობს (მათ შორის გამოცდის ჩაბარება), საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის იურიდიული კრიტერიუმები ბუნდოვანია. ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიმართ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნისას არაოფიციალურად შეთანხმებული სიების გამოყენების ბრალდებები ისმოდა. ამის საპასუხოდ, ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სამუშაოზე აყვანის პროცესის გამჭვირვალობის გასაზრდელად კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, მაგალითად ცესკომ გამოაქვეყნა ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა და პარტიების მიერ მანამდე დანიშნულ წევრთა გამოცდილების შესახებ.

სასურველია, რომ ხელისუფლებამ პროცედურების გაუმჯობესების და ქვედა დონის კომისიების წევრთა სამუშაოზე აყვანის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის საკითხი განიხილოს, რაც აღნიშნულ წევრთა შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმების დადგენისა და გამოქვეყნების მეშვეობით უნდა მოხდეს.

საუბნო საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება, მათი პირველი სხდომების ჩატარება და თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეებისა და მდივნების არჩევა კანონით დადგენილ ვადებში მოხდა, გამონაკლისი იყო 258 საუბნო საარჩევნო კომისია, რომლებსაც მათი პირველი სხდომების თავიდან ჩატარება და კომისიების ხელმძღვანელი პირების თავიდან არჩევა მოუწიათ. ამ პოზიციებზე კანდიდატურების არჩევის პროცესი კანონის შესაბამისად წარიმართა. საუბნო საარჩევნო კომისიების უდიდეს ნაწილში ხელმძღვანელ თანამდებობებზე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული წევრების არჩევა მოხდა.¹⁷ თუმცა იმ 373 უბანში, სადაც თავმჯდომარეებად პარტიების მიერ დასახელებული პირების არჩევა მოხდა, ძირითადად ქართული ოცნების მიერ დასახელებული პირების არჩევა მოხდა.¹⁸

¹⁷ 3,634-დან 3,261 საუბნო საარჩევნო კომისიაში.

¹⁸ ცესკოს ინფორმაციით ქართული ოცნების წარმომადგენლები თავმჯდომარეებად 300 საუბნო საარჩევნო კომისიაში იყვნენ არჩეული, კონსერვატიული პარტიის შემთხვევაში ამ მაჩვენებელმა 30 შეადგინა, თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს შემთხვევაში 25, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში 6, დემოკრატიული მოძრაობის შემთხვევაში 6, რესპუბლიკური პარტიის შემთხვევაში 6 ხოლო თავისუფალი დემოკრატების შემთხვევაში კი 3. რაც შეეხება თავმჯდომარეების მოადგილეებს: საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული წევრები - 2,934, ქართული ოცნება - 470, კონსერვატიული პარტია - 86, თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო - 51, რესპუბლიკური პარტია - 32, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 23, თავისუფალი დემოკრატები - 19, დემოკრატიული მოძრაობა - 14. რაც შეეხება მდივნებს: საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული წევრები - 3,075, ქართული ოცნება - 241, კონსერვატიული პარტია - 118, თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო - 94, რესპუბლიკური პარტია - 40, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 13, თავისუფალი დემოკრატები - 32, დემოკრატიული მოძრაობა - 21.

ხელისუფლებამ განსაკუთრებული ძალისხმევა გასწია არჩევნებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ცესკომ განაცხადა, რომ 1,115 საარჩევნო უბანზე ბარიერები არ იარსებებდა, ინვალიდის სავარძლების მომხმარებლებისთვის სპეციალური საარჩევნო ჯიხურები იქნა დადგმული და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ამომრჩევლებისთვის გამაღიანებელი ფურცლები და ტაქტილური ჩარჩოები იქნა გამოყოფილი. თუმცა, ყოველდღიურ ცხოვრებაში და ზოგად გარემოში დახმარების გაწევის იურიდიული გარანტიების არ არსებობა შეზღუდული შესაძლებლობების პირების არჩევნებში ამომრჩევლების, კანდიდატების ან საარჩევნო ადმინისტრაციის პერსონალის სახით სრულ მონაწილეობას კვლავ უშლის ხელს.¹⁹

ცესკოს სწავლების ცენტრმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ყოვლისმომცველი ტრენინგები ჩაატარა. აღნიშნული ტრენინგები სამ ფაზად ჩატარდა. იმ ტრენინგებზე, რომლებზეც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ დაკვირვება განხორციელდა, ზოგადად დასწრება მაღალი იყო და ისინი პროფესიონალურად და ინტერაქტიულად ჩატარდა. ამის მიუხედავად, კენჭისყრის დღეს პროცედურული შეცდომები ხშირად ფიქსირდებოდა, განსაკუთრებით ეს ხმის დათვლის პროცესს ეხება (იხილეთ „კენჭისყრის დღე“-ს განყოფილებები, რომლებიც არჩევნების ორივე ტურს ეხება).

ცესკოს მიერ ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირების კამპანია კარგად მომზადებული და ყოვლისმომცველი იყო. საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებული ვიდეო კლიპები უმცირესობების ენებზე და ასევე ჟესტურ ენაზე იყო ხელმისაწვდომი და ისინი როგორც საზოგადოებრივ ისე კერძო ტელეარხებზე გადაიციმოდა. არჩევნების მეორე ტურისთვის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით ამომრჩეველთა საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიები ნაკლები ინტენსივობით ტარდებოდა, ეთერში მხოლოდ ერთი ვიდეო კლიპი გადაიციმოდა და საზოგადოების ინფორმირების კუთხით მხოლოდ რამდენიმე აქტივობა იქნა განხორციელებული.

VI. ამომრჩევლების რეგისტრაცია

ამომრჩეველთა რეგისტრაცია პასიურია. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწოდებული

¹⁹ იხილეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-9 მუხლი, რომლის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისთვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა როგორც ქალაქის ასევე სოფლის პირობებში.

მონაცემების საფუძველზე ცესკო ამომრჩეველთა სიების შედგენაზე პასუხისმგებელი.²⁰ ხმის მიცემის უფლება 18 წელს მიღწეულ ყველა პირს გააჩნია (იმ პირების გარდა, რომლებსაც ხუთ წელზე მეტი პატიმრობა აქვთ მისჯილი).²¹ რეალურად კი ხმის მიცემის უფლების მქონე ბევრ პატიმარს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცა, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყოფნისას მათ შესაბამის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციაზე ხელი არ მიუწვდებოდათ.²²

იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ პირებს ხმის მიცემის უფლების გამოყენების საშუალება ჰქონდეთ, სასურველია რომ ამ დაწესებულებებში ამომრჩეველთა სიების შედგენაზე პასუხისმგებელმა პირებმა არჩევნებში მონაწილეობის მქონე ყველა პატიმრისთვის შესაბამის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციაზე წვდომა უზრუნველყონ.

3,720,400 მოქალაქიდან ამომრჩეველთა საბოლოო სიებში 3,513,882 ამომრჩეველი მოხვდა.²³ დაახლოებით 49,700 ამომრჩეველი უცხოეთში იქნა რეგისტრირებული. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით ამომრჩეველთა სიების საარჩევნო უბნებში შესაბამისი წესით გამოკვრა 8 სექტემბრიდან დაიწყო, რათა საზოგადოებას მათი გაცნობის საშუალება ჰქონოდა. ამ სიებში დამატებებისა და შესწორებების შეტანა 22 სექტემბრამდე იყო შესაძლებელი. ამომრჩევლებს საკუთარი მონაცემების გადასამოწმებლად სხვა ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ: ცესკოს ვებგვერდის, მობილური ტელეფონების და მთელი ქვეყნის მასშტაბით განლაგებულ 7,000-მდე გადახდის ტერმინალში არსებული სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით. ცესკოს მონაცემებით ივნისიდან სექტემბრამდე პერიოდში ამ სამი მეთოდის გამოყენებით თავიანთი მონაცემები დაახლოებით 950,000 ამომრჩეველმა გადაამოწმა.

ამჟამად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სახელმწიფო რეესტრში ბიომეტრიული მონაცემების შეყვანას ახორციელებს.²⁴ ამომრჩეველთა სიებში შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად კარდაკარი ჩატარდა, გამეორებული მონაცემების ამოსაღებად სახის ამოცნობის კომპიუტერული პროგრამის დანერგვა მიმდინარეობს. გარდა ამისა, საარჩევნო სიებში ყველა ამომრჩევლის ფოტოა შეყვანილი, რაც როგორც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეებმა განაცხადეს საზოგადოებისთვის

²⁰ თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და უზენაესი სასამართლო.

²¹ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2014 წლის 8 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება #2/4/532,533-ის შემდეგ, 2015 წლის მარტში ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს ხმის მიცემის უფლება მიენიჭათ.

²² ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ინფორმაციით მაგალითად გლდანის ციხეში საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია მხოლოდ 200 ამომრჩეველს გააჩნდა, მაშინ როდესაც აღნიშნულ დაწესებულებაში სულ 800-ზე მეტი ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

²³ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

²⁴ ამჟამად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიომეტრიული მონაცემები დაახლოებით 2,400,000 ამომრჩეველთან დაკავშირებით გააჩნია.

მთლიანობაში მისაღები პრაქტიკაა. ზოგადად, ამომრჩეველთა სიების სიზუსტის კუთხით ნდობა გაზრდილია.

12 ივლისიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართის ან მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის არ მქონე პირებს წინა ან ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით რეგისტრაციის გავლის და ამომრჩეველთა სიებში ჩართვის საშუალება მიეცათ. მათ ამ უფლების გამოყენება 1 აგვისტომდე შეეძლოთ. ხელისუფლების ეს ნაბიჯი ინკლუზიურობის გაზრდის მიზნით იყო გადადგმული, თუმცა ამ პროცესისთვის გამოყოფილი დრო არასაკმარისი იყო. მოკლე პერიოდის გათვალისწინებით ცესკომ სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო, რომლითაც ამომრჩეველთა ამ კატეგორიის რეგისტრაცია 22 სექტემბრამდე იქნა გახანგრძლივებული. ცესკომ აცნობა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ამომრჩეველთა სიებში იმ 62,362 ამომრჩევლის ჩასმა მოხდა, რომელთა მონაცემები მანამდე ამოღებული იყო აღნიშნული სიებიდან.

ყოველ ჯერზე გარდამავალი დებულებების მიღების მაგივრად სასურველია რომ ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართის არ მქონე ამომრჩევლებისთვის პერმანენტული გადაწყვეტილება იქნას მიღებული. ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში ცვლილებები დროულად უნდა ტარდებოდეს, რათა მათი ეფექტურად განხორციელება იქნას უზრუნველყოფილი.

არჩევნების მეორე ტურისთვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ამომრჩეველთა სიების განახლება მხოლოდ ბოლო დროს გარდაცვლილი და 18 წელს მიღწეული ამომრჩევლების რეგისტრირების მიზნით მოახდინა. ამომრჩევლებს საკუთარი მონაცემების გადამოწმება ცესკოს ვებგვერდზე შეეძლოთ, თუმცა ამომრჩევლებს სიებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული მოთხოვნის გაკეთება არ შეეძლოთ.

VII. კანდიდატების რეგისტრაცია

საქართველოს ნებისმიერი 21 წელს მიღწეული მოქალაქე, რომელსაც ხმის მიცემის უფლება გააჩნია და ქართულ ენას ფლობს, შეიძლება იქნას არჩეული პარლამენტში. ის მოქალაქეები, რომლებსაც ბოლო ორი წლის მანძილზე არ უცხოვრიათ საქართველოში და ამ პერიოდში უცხოეთში მდებარე საქართველოს საკონსულოებში არ დარეგისტრირებულან და ასევე ნარკოდამოკიდებულად მიჩნეული პირები და ნარკოტიკების მომხარებლები არ შეიძლება იყვნენ არჩეული.²⁵ ამასთან, არჩევის შემდეგ

²⁵ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლთან დაკავშირებული [1996 წლის გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #25](#)-ის მე-15 პარაგრაფის მიხედვით: “არჩევნებში კანდიდატის სახით მონაწილეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვა [...] ობიექტური და გონივრული კრიტერიუმებით უნდა იყოს გამართლებული. პირები, რომლებიც სხვა მხრივ აკმაყოფილებენ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, არ უნდა იყვნენ ჩამოშორებული არჩევნების პროცესს არაგონივრული ან დისკრიმინაციული მოთხოვნების გამო, მაგალითად განათლებასთან, საცხოვრებელ ადგილთან ან

ნარკოტექსტის არ გავლის შემთხვევაში შესაძლო დისკვალიფიკაცია 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.9-ე და 24-ე პარაგრაფებს ეწინააღმდეგება.²⁶

სასურველია კანდიდატურის წამოყენების კუთხით არსებული ენობრივი და ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გადასინჯვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ის დებულებები, რომელთა გამო ასარჩევად საჭირო საკმარისი რაოდენობის ხმების მიმღებმა კანდიდატებმა შესაძლოა ვერ დაიკავონ შესაბამისი არჩევითი თანამდებობა, უნდა გაუქმდეს.

ცესკომ სულ კანდიდატთა 25 პროპორციული სია მიიღო, აქედან 19 პარტია ცალკე მონაწილეობდა არჩევნებში, ხოლო 16 პარტია კი 6 საარჩევნო ბლოკში იყო გაერთიანებული. პირველ ეტაპზე პარტიები ცესკოში არჩევნებში მომავალი მონაწილეების სახით უნდა დარეგისტრირებულიყვნენ, რათა შემდგომში მათ კანდიდატთა პროპორციული სიების რეგისტრაციის მიღების უფლება ჰქონოდათ.²⁷ წინასწარი რეგისტრაციისთვის განაცხადი 64-მა პარტიამ/ბლოკმა შეიტანა, აქედან 26 პარტიას/ბლოკს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა ან მათი რეგისტრაცია მოგვიანებით გაუქმდა, რაც ძირითადად მათ მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის ვერ წარმოდგენის გამო მოხდა.

2016 წლის მაისში პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა რეგისტრაციის პროცესის ინკლუზიურობაზე ზეგავლენა მოახდინა. აღნიშნული ცვლილებები საარჩევნო პერიოდის დროს - 20 ივნისს ამოქმედდა, ამ ცვლილებების მიხედვით პარტიებს გარკვეული მონაცემების საჯარო რეესტრში განახლება მათი ამოქმედებიდან 10 დღეში უნდა მოეხდინათ; გარდა ამისა, აღნიშნული ცვლილებების მიხედვით პარტიების ყველა საჯარო კრებაზე ნოტარიუსის დასწრება სავალდებულო იყო. ამ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ რამდენიმე პარტიის სტატუსთან დაკავშირებით არაოფიციალური მოკვლევა ჩატარდა, რის შედეგადაც ცესკომ ცენტრისტებისა და კვარაცხელია-სოციალისტების პარტიების რეგისტრაცია გააუქმა. ცენტრისტების შემთხვევაში არსებობს იმისი მკაფიო ნიშნები, რომ ხელისუფლებამ ახალი მოთხოვნები შერჩევითად და შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებულად გამოიყენა.²⁸ რამდენიმე სხვა პარტიამ რეგისტრაციის გავლა აღნიშნული ცვლილებების გვიან მიღების გამო ვერ მოახერხა. გვიან მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგებმა და

წარმოშობასთან დაკავშირებული მოთხოვნების ან პოლიტიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გამო“. იხილეთ ასევე „კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის“ 1.1(c)-ე განყოფილება.

²⁶ [ეთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის](#) 7.3-ე პარაგრაფის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა: “ზრდასრული მოქალაქეებისთვის საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლება უნდა უზრუნველყონ“, ამავე დროს აღნიშნული დოკუმენტის 24-ე პარაგრაფის მიხედვით უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვები „კანონის მიზანთან აბსოლუტურად პროპორციული უნდა იყოს.“

²⁷ ბოლო მოწვევის პარლამენტში არსებულ და სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ პარტიებს არჩევნებში მონაწილეებად რეგისტრაციისთვის 1,000, ხოლო დანარჩენ პარტიებს კი 25,000 ხელმოწერა უნდა წარმოედგინათ.

²⁸ 13 აგვისტოს ეთერში პარტიის სკანდალური პოლიტიკური რეკლამა გავიდა, ხოლო 15 აგვისტოს საჯარო რეესტრმა პარტიის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა და ცესკოს გადაუგზავნა, რაც რეესტრის წარმომადგენელთა განცხადებით საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთდა.

ცესკოსა და საჯარო რეესტრს შორის ოფიციალური და ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმის არ არსებობამ კანდიდათა რეგისტრაციის პროცესის ინკლუზიურობაზე ზეგავლენა მოახდინა, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება.²⁹

არჩევნებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ ხელისუფლებამ პარტიებთან დაკავშირებული მონაცემების გადამოწმების ყველა პროცედურა ერთნაირად და დროულად, და არა რეტროაქტიურად განახორციელოს. ასევე სასურველია, რომ შესაბამის ორგანოებს შორის ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება მოხდეს, რათა პარტიების მიმართ არათანმიმდევრული მიდგომის შესაძლებლობა გამოირიცხოს.

სულ არჩევნებში მონაწილეობა 869 მაჟორიტარმა (მათ შორის 53-მა დამოუკიდებელმა) კანდიდატმა მიიღო. მაჟორიტარული სისტემით კანდიდატების დასახელება პარტიებს და ბლოკებს შეეძლოთ; გარდა ამისა, მაჟორიტარულ არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება თუ მათ ნომინირებას მინიმუმ ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფები მოახდენდნენ. საინიციატივო ჯგუფს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისთვის განაცხადი კანონით დადგენილ ვადებში უნდა წარედგინა, ხოლო შემდეგ ხელმოწერათა საჭირო რაოდენობა უნდა შეეგროვებინა. დამოუკიდებელ კანდიდატებს კონკრეტულ ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლების მინიმუმ ერთი პროცენტის ხელმოწერები უნდა წარმოედგინა. პარლამენტის მოქმედ დამოუკიდებელ წევრებს ამ ვალდებულების შესრულება არ ევალებოდათ. 27 საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაცია გაუუქმდათ რადგან მათ აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა ვერ შეძლეს ან თავისი ნებით ჩამოშორდნენ არჩევნების პროცესს.

ცხრა კვალიფიციური სუბიექტიდან შვიდმა შეძლო ქალ კანდიდატებთან დაკავშირებული კვოტის შესრულება (ყოველ 10 კანდიდატში მინიმუმ 30 პროცენტი ქალი კანდიდატის ყოლა), რის შედეგადაც მათ 30 პროცენტით მეტი სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს.³⁰ ამ ინიციატივამ ხელი შეუწყო ქალთა პროპორციულ არჩევნებში ჩართულობას, თუმცა ის მაჟორიტარულ არჩევნებს არ შეხება. პროპორციულ სიებში 3,524-დან 1,304 რეგისტრირებული ქალი კანდიდატი (ანუ 37 პროცენტი), ხოლო მაჟორიტარულ არჩევნებში სულ 143 (18 პროცენტი) ქალი კანდიდატი იღებდა მონაწილეობას. 2014 წელს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციის მიხედვით უნდა მომხდარიყო ქალთა

²⁹ იხილეთ ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.6-ე პარაგრაფი და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის/ვენეციის კომისიის 2011 წლის [„პოლიტიკური პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები“](#)-ის 68-ე პარაგრაფი.

³⁰ აღნიშნული მოთხოვნა შემდეგმა პოლიტიკურმა პარტიებმა დააკმაყოფილეს: დემოკრატიული მოძრაობა, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, თავისუფალი დემოკრატები, მშრომელთა სოციალისტური პარტია, რესპუბლიკური პარტია და მემარცხენე ალიანსი.

პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა.³¹

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის კიდევ უფრო გასაზრდელად სასურველია, რომ ფინანსური წახალისების გარდა, პოლიტიკური პარტიებისთვის, სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღების საკითხიც იქნას განხილული. გარდა ამისა, შესაძლებელია არსებული ფინანსური წახალისების მექანიზმების მაქორითარულ არჩევნებზეც გავრცელება.

30 ოქტომბერს 73 ერთმანდატიანი მაქორითარული ოლქიდან 50-ში არჩევნების მეორე ტური გაიმართა. მეორე ტურში 97 კანდიდატი მონაწილეობდა, აქედან 3 დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, ხოლო დანარჩენები კი ოთხი პოლიტიკური პარტიისა და ბლოკის წარმომადგენლები იყვნენ.³²

VIII. საარჩევნო კამპანია

კამპანია ოფიციალურად 8 ივნისს დაიწყო, როცა კენჭისყრის დღე დაინიშნა. კამპანია კონკურენტულ და მთლიანობაში მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. არჩევნების პირველი ტურის წინ იზოლირებული ძალადობრივი ინციდენტები, მათ შორის პარლამენტის წევრის მანქანის აფეთქება, დაფიქსირდა.³³ მთელი ქვეყნის მასშტაბით კამპანიის ღონისძიებები უფრო ინტენსიური და თვალსაჩინო გახდა კენჭისყრის დღემდე ორი კვირით ადრე. წინასაარჩევნო კამპანიის დროს შეკრების თავისუფლება ზოგადად დაცული იყო და კანდიდატებს საკუთარი კამპანიის ჩატარება თავისუფლად და უკანონო შეზღუდვების გარეშე შეეძლოთ.

ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის კამპანიის ტონი კონფრონტაციული იყო და ეს ორი პარტია სიტუაციის გამწვავებაში ერთმანეთს

³¹ [CEDAW/C/GEO/CO/4-5. საქართველოსთან დაკავშირებული მეოთხე და მესამე პერიოდული ანგარიშების შემაჯამებელი შეფასებები, 2014 წლის 18 ივლისი. ასევე იხილეთ ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის/ვენეციის კომისიის 2011 წლის „პოლიტიკური პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები“-ის 191-ე პარაგრაფი.](#)

³² მეორე ტურში კანდიდატები ქართულ ოცნებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, თავისუფალ დემოკრატებს და ლეიბორისტულ პარტიას ჰყავდათ წარმოდგენილი.

³³ 16 სექტემბერს სოფელ გამარჯვებაში მოხდა თავდასხმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტზე, ფაქტზე გამოძიება დაიწყო. 28 სექტემბერს სახელმწიფო ხალხისთვის კანდიდატს სავარაუდოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ნათესავები დაესხნენ თავს. 1 ოქტომბერს სოფელ დიდინეში ქართული ოცნების სამ აქტივისტს ფიზიკური შეურაცხყოფა სავარაუდოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა მიაყენეს. 2 ოქტომბერს გორში ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს დამოუკიდებელი კანდიდატის ირაკლი ოქრუაშვილის მისამართით ორი გასროლა განხორციელდა, რის შედეგადაც მისი პირადი მცველი და ერთ-ერთი აქტივისტი დაიჭრა. 4 ოქტომბერს თბილისში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი პარლამენტარის მანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც ხუთი ადამიანი დაშავდა.

ადანაშაულებდა.³⁴ გარდა ამისა, ფარული თვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების ამ პერიოდში გავრცელებამ უარყოფითად იმოქმედა შესაბამისი კანდიდატების იმიჯსა და რეპუტაციაზე და კამპანიის ატმოსფეროზეც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.³⁵ ამ ჩანაწერების გავრცელების შედეგად სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა გამოძიება დაიწყო.³⁶

კანონის მიხედვით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს თანასწორი პირობები შეუქმნან, მათ შორის კამპანიის ჩასატარებლად საჭირო ტერიტორიებზე და სარეკლამო სივრცეებზე წვდომის კუთხით; ეს ვალდებულებები ზოგადად შესრულებული იქნა. არჩევნების პირველ ტურამდე ჩატარებული კამპანიის ძირითადი ნაწილი მედიის საშუალებით წარიმართა. გარდა ამისა, კანდიდატები ამომრჩევლებისთვის თავიანთი გზავნილების მისაწოდებლად ბილბორდებს და პოსტერებს იყენებდნენ და ასევე კარდაკარ აგიტაციას, საზოგადოებასთან შეხვედრებს და ძირითადად მცირემასშტაბიან მიტინგებს მიმართავდნენ. ეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია 53 მიტინგსა და შეხვედრას დააკვირდა, რომელთა დროს კანდიდატებს ამომრჩევლებთან ხელის შეშლის გარეშე შეეძლოთ საუბარი. რამდენიმე პარტია კამპანიას სოციალური მედიისა და ინტერნეტის მეშვეობითაც წარმართავდა. არჩევნების პირველ ტურამდე წარმოებულ წინასაარჩევნო კამპანიაში ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი დომინირებდა, ხოლო თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია, დემოკრატიული მოძრაობა და რამდენიმე დამოუკიდებელი კანდიდატი შედარებით ნაკლებად იყო წარმოჩენილი. რამდენიმე ქალი კანდიდატი აქტიურობით გამოირჩეოდა მთელი წინასაარჩევნო კამპანიის მანძილზე.

კანონი კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ცვლილების შეტანას კრძალავს, თუმცა რამდენიმე თანამესაუბრემ, მათ შორის კანდიდატებმა, განაცხადეს, რომ მთავრობამ თანხების გადანაწილება სწორედ ამ საბოლოო ვადის წინ მოახდინა, რათა კამპანიის ეფექტის მაქსიმალური ოპტიმიზება მომხდარიყო, გარდა ამისა, მათი განცხადებით მთავრობა ინფრასტრუქტურული და სარემონტო სამუშაოების დასრულების რეკლამირებას კენჭისყრის დღემდე ცოტა ხნით ადრე ახდენდა. ამან კი არჩევნების განმავლობაში კანდიდატებისთვის თანაბარი პირობების არსებობის კუთხით გარკვეული ეჭვები გააჩინა.³⁷

³⁴ მაგალითად 14 სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა და ქართული ოცნების თავმჯდომარემ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში სიტუაციის რადიკალიზაციაში დაადანაშაულა, იმავე დღეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა ქართული ოცნება ენმ-ს წევრების დაშინებისა და ზეწოლის გაგრძელებაში დაადანაშაულა.

³⁵ 13 სექტემბერს გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერები სახელმწიფო ხალხისთვის თავმჯდომარისა და ტელეკომპანია რუსთავი 2-ის დირექტორს შორის კერძო საუბრებს მოიცავდა. 26 სექტემბერს საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებსა და კანდიდატებს შორის გამართული სხვადასხვა საუბრების ჩანაწერები გამოქვეყნდა.

³⁶ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი პარლამენტარების და კამპანიაში ჩართული აქტივისტების დაკითხვა მოხდა.

³⁷ მაგალითად 27 სექტემბერს ბათუმის მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანა.

რამდენიმე რაიონში კანდიდატების სააგიტაციო მასალების განთავსებაში ხელის შეშლის და წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გახსნილი ოფისების დაზიანების ფაქტები დაფიქსირდა.³⁸ კამპანიასთან დაკავშირებული შემთხვევების დიდი უმრავლესობა, რის შესახებაც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას შეატყობინეს, წინასაარჩევნო პოსტერებისა და ბილბორდების დაზიანებას ეხებოდა.³⁹ პროკურატურამ არჩევნებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის 74 საქმეზე გამოძიება დაიწყო, ამ საქმეების უმეტესობა წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარ ინციდენტებს ეხებოდა.⁴⁰

მეორე ტურის ოფიციალური საარჩევნო კამპანია 19 ოქტომბერს დაიწყო, მას შემდეგ რაც ცესკომ შესაბამისი განკარგულებით არჩევნების მეორე ტურის თარიღი გამოაცხადა. კანონით არჩევნების პირველი ტურის კამპანიის დასასრული და მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისი კონკრეტულად დადგენილი არ არის. ცესკომ მხოლოდ ზეპირად აცნობა არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს, რომ წინასაარჩევნო კამპანია მეორე ტურის თარიღის გამოცხადებასთან ერთად იწყებოდა.

მეორე ტურში ერთმანეთს ძირითადად ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები დაუპირისპირდნენ. მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მცირემასშტაბიანი იყო და რამდენიმე ფიზიკური შეხლა-შემოხლის გარდა ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა.⁴¹ ეს საარჩევნო კამპანია ნაკლებად ხმაურიანი იყო, თუმცა ინტენსივობა ოლქიდან ოლქში განსხვავებული იყო. მეორე ტურის წინ კანდიდატების მიერ სოციალური მედიისა და ინტერნეტის გამოყენების ზრდა იქნა დაფიქსირებული.

ორივე საარჩევნო კამპანიის დროს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მრავალი განცხადება მოისმინა რომელიც საჯარო მოხელეებზე ზეწოლას (მათ შორის წინასაარჩევნო ღონისძიებებში მონაწილეობის მოთხოვნას), წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პერსონალის და ამომრჩევლების დაშინებას და ასევე ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად

³⁸ მაგალითად 11 აგვისტოს დედოფლისწყაროში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის დაზიანება მოხდა. 2 სექტემბერს თბილისში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ოფისი იქნა დარბეული; 19 სექტემბერს თბილისის საბურთალოს რაიონში მდებარე ქართული ოცნების ოფისში სამი პირი შეიჭრა. გარდაბანში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბილბორდი მოხსნეს და იმავე შენობაზე ქართული ოცნების ბილბორდი გამოაკრეს. რუსთავში ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას მთავარ ქუჩაზე დიდი ბილბორდის გამოკვრის უფლება არ მისცეს.

³⁹ მაგალითად ახალციხეში, დედოფლისწყაროში, ხელვაჩაურში, ქვემო ბოლნისში და აჭარის და გურიის ბევრ რაიონში. 28 სექტემბრის მონაცემებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას სააგიტაციო მასალების დაზიანების 23 ფაქტის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია, 20 მათგანზე მიმდინარეობდა გამოძიება.

⁴⁰ აქედან 28 შემთხვევაში ძალადობრივ ინციდენტებს ჰქონდა ადგილი.

⁴¹ მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის დროს შსს-მ გამოძიება ორ ინციდენტთან დაკავშირებით დაიწყო, რომლებსაც 27 ოქტომბერს (ახალციხეში) და 28 ოქტომბერს (გორში) ჰქონდათ ადგილი. ადგილობრივი დამკვირვებლების ინფორმაციით შსს-მ გამოძიება კიდევ ორ ინციდენტთან დაკავშირებით დაიწყო, აღნიშნული ინციდენტები 10 ოქტომბერს (ხარაგაულში) და 11 ოქტომბერს თბილისში დაფიქსირდა.

გამოყენებას ეხებოდა. კენჭისყრის დღემდე, ქართული ოცნების წინასაარჩევნო ღონისძიებებზე დასწრების მიზნით ადგილობრივ საჯარო მოხელეებზე და მასწავლებლებზე ზეწოლის ფაქტების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ასეთი ფაქტები ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7-ე პარაგრაფის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.⁴² სხვა შემთხვევებში პარტიებს თავიანთი ბრალდებები შესაბამის ორგანოებში წარდგენილი ოფიციალური საჩივრების სახით არ გაუმყარებიათ. რამდენიმე პარტიამ სამართალდამცავი ინსტიტუტების მიმართ ღრმა უნდობლობა გამოხატა.

საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის და საარჩევნო უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამომრჩეველთა და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პერსონალის დაშინებასთან დაკავშირებული ბრალდებების გამოსაძიებლად სწრაფი და ეფექტური ნაბიჯები გადადგან.

მართალია კანონის მიხედვით გარკვეულ საჯარო თანამდებობების პირებს სამუშაო საათების დროს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ეკრძალებათ, კონკრეტული დებულებების მიხედვით ამ პირებს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მიზნით შვებულებაში გასვლის უფლება გააჩნიათ. მრავალ შემთხვევაში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ წინასაარჩევნო შეხვედრებზე საჯარო თანამდებობის პირების დასწრება დააფიქსირა, ამ შემთხვევებში მისიას ეცნობა, რომ აღნიშნული პირები შვებულებაში იმყოფებოდნენ. ზოგ შემთხვევაში საჯარო თანამდებობის პირებმა ის ღონისძიებები გახსნეს, რომლებსაც ქართული ოცნების კანდიდატები წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში იყენებდნენ, რამაც სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარის ბუნდოვანებასთან დაკავშირებით ეჭვები გააჩინა, ეს კი ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4-ე პარაგრაფის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.⁴³ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა ასევე ეკრძალებათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს; თუმცა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ამჟამად უკრაინის მოქალაქეა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

⁴² ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7-ე პარაგრაფის მიხედვით „პოლიტიკური კამპანია სამართლიან და თავისუფალ ატმოსფეროში უნდა წარიმართოს, რომლის დროსაც კანდიდატებს ხელი არ უნდა შეეშალოს ადმინისტრაციული ქმედებებით, ძალადობით ან დაშინებით“... „მათ ხმა შურისძიების შიშის გარეშე უნდა მისცენ“. მაგალითად 12 სექტემბერს ზესტაფონში მასწავლებლებზე ზეწოლა განხორციელდა მათი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ღონისძიებაში მონაწილეობის პრევენციის მიზნით. 9 სექტემბერს გურჯაანში მასწავლებლებს ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრაზე დასწრება სთხოვეს.

⁴³ ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4-ე პარაგრაფი „სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების მკაფიო განცალკევება“-ს ითვალისწინებს. მაგალითად 23 აგვისტოს ჭიათურაში შინაგან საქმეთა მინისტრმა ქართული ოცნების მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად სახანძრო სადგური გახსნა. 20 სექტემბერს სოფელ ხრეთში ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატი მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ მუზეუმის საზეიმო გახსნაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მან წინასაარჩევნო კამპანიაც აწარმოა. ასევე იხილეთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის/ვენეციის კომისიის [2016 წლის „ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების პრევენციისა და მასზე რეაგირების შესახებ“-ის II.B.1.3-ე პარაგრაფი.](#)

სასარგებლოდ აწარმოებდა კამპანიას.⁴⁴

სახელმწიფოსა და პარტიას შორის მკაფიო განცალკევების უზრუნველსაყოფად, სასურველია კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და იმ დებულებების განმტკიცება, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას და საჯარო თანამდებობის პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას კრძალავს.

IX. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2013 წლის აგვისტოში, 2014 წლის მარტში და ბოლოს 2016 წლის ივნისში პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა, რომელთა მიხედვით წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევისთვის დაწესებული სანქციები შემცირდა, ნებადართული შემოწირულობების ტიპები დადგინდა, დაემატა რეგულაციები დამოუკიდებელ კანდიდატებთან დაკავშირებით და კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო დაფინანსება იქნა გამოყოფილი.⁴⁵ თუმცა, ევროპის საბჭოს „სახელმწიფოების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ“ (GRECO)-ისგან მანამდე მიღებული მთელი რიგი რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, აღნიშნული რეკომენდაციები უფრო ერთგვაროვანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ყველა ტიპის ადმინისტრაციული რესურსის არასათანადოდ გამოყენების პრევენციას და ყველა დარღვევისთვის პროპორციული და შემაკავებელი სანქციების შემოღებას გულისხმობდა.⁴⁶

8 ივნისიდან 8 ოქტომბრამდე პერიოდში, პარტიების და ბლოკების დეკლარაციების თანახმად, 17 პარტიის და ბლოკის და ასევე 22 დამოუკიდებელი კანდიდატის სასარგებლოდ მათ 1,990 შემომწირველისგან სულ მიღებული ჰქონდათ 24,776,421 ლარი

⁴⁴ 25 სექტემბერს ბათუმში ბატონმა სააკაშვილმა ვიდეო ჩართვის დროს აუდიტორიის წინაშე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთა. 26 სექტემბერს ზუგდიდში ბატონმა სააკაშვილმა ვიდეო ჩართვის მეშვეობით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული მიტიგნის მონაწილეებს მიმართა. აღნიშნული ფაქტები ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა სასამართლოში გაასაჩივრა.

⁴⁵ ბოლო მუნიციპალურ და საპარლამენტო არჩევნებზე სამპროცენტო ბარიერი 11-მა კვალიფიციურმა სუბიექტმა გადალახა, რის შედეგადაც მათ სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს, ესენია: ქართული ოცნება, კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადარჩენს საქართველოს, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია, დემოკრატიული მოძრაობა, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი და ლეიბორისტული პარტია.

⁴⁶ იხილეთ [„სახელმწიფოების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ“-ის მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული მეორე ანგარიში](#) საქართველოს მიერ სტანდარტების დაკმაყოფილების შესახებ.

(დაახლოებით 9,194,880 ევრო).⁴⁷ პარტიებისა და განსაკუთრებით დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მოპოვებული დაფინანსების ოდენობებს შორის საგრძნობი განსხვავება იქნა დაფიქსირებული. სახელმწიფო დაფინანსების გარდა კვალიფიციურ პარტიებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკუთარი წინასაარჩევნო ხარჯების ანაზღაურების მიღება (ერთ მილიონ ლარამდე ოდენობით) შეეძლოთ. დამოუკიდებელ კანდიდატებს სახელმწიფო დაფინანსების მიღების საშუალება არ გააჩნიათ (მაშინაც კი თუ მათი არჩევა ხდება), რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება.⁴⁸

შესაძლებელია რომ განხილული იქნას კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი, რათა დამოუკიდებელ კანდიდატებს სახელმწიფო დაფინანსებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობები გააჩნდეთ (წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ასანაზღაურებლად).

წინასაარჩევნო კამპანიის საჭიროებებიდან გამომდინარე კომერციული ბანკისგან სესხი მხოლოდ ქართულმა ოცნებამ აიღო (1 მილიონი ლარის ოდენობით).⁴⁹ მაშინ, როცა ეს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციების დარღვევას არ წარმოადგენს, დაინტერესებული მხარეების აზრით ეს შეუფერებელი ქმედებაა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ არ არსებობს არანაირი სპეციალური რეგულაცია სესხის პირობების შესახებ და სესხი შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან იქნას გადახდილი.⁵⁰

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობა პერიოდულ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ასრულებდა. მხოლოდ 5-მა პარტიამ და 18-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა არ წარმოადგინა კანონით გათვალისწინებულ ვადებში სამი კვირის განმავლობაში მათ მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშები. სანქციების დაწესებამდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნულ სუბიექტებს ამ დარღვევის შესახებ აცნობა და მოთხოვნების შესასრულებლად დამატებითი დრო გამოუყო. მთელი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ანგარიშების დროულად არ წარმოდგენის გამო სანქციები სულ ექვსი პარტიისა და ხუთი დამოუკიდებელი კანდიდატის მიმართ გაატარა.

⁴⁷ 1 ევრო დაახლოებით 2.55 ლარს უდრის. საანგარიშო პერიოდში ყველაზე დიდი შემოწირულობები შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა მიიღეს: ქართული ოცნება 16,319,913 ლარი; სახელმწიფო ხალხისთვის – 4,823,330 ლარი; საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 1, 287,598 ლარი; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 1,003,008 ლარი; თავისუფალი დემოკრატები – 686,690 ლარი; დემოკრატიული მოძრაობა – 180,021 ლარი; თოფაძე-მრეველები, ჩვენი სამშობლო – 177,535 ლარი; ეროვნული ფორუმი – 112,027 ლარი. 1,990 შემომწირველიდან 31 იურიდიული პირი იყო.

⁴⁸ იხილეთ „კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის“ I.2.3-ე პარაგრაფი და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის/ვენეციის კომისიის 2011 წლის [„პოლიტიკური პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები“](#)-ის 190-ე პარაგრაფი.

⁴⁹ როგორც ამტკიცებენ, აღნიშნული ბანკი (ქართუ ბანკი) ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილთან არის დაკავშირებული.

⁵⁰ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით სესხების რეგულირება ბანკების მიერ ხდება, ხოლო სესხის გადახდის პროცედურები კონტრაქტში მოცემული პირობებისა და წესების მიხედვით უნდა მოხდეს.

მიღებულ ანგარიშებში სახელმწიფო აუდიტის სამსახური ძირითადად ყურდღებას შემოსავლების საკითხს უთმობდა, თუმცა მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აღნიშნული ორგანო, სამ კვირაში ერთხელ, ყველა ანგარიშებს აქვეყნებდა თავის ვებგვერდზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით მათი შეზღუდული ადამიანური რესურსებით მათ შემოსავლებისა და ხარჯების გამოძიება არ შეეძლოთ. გარდა ამისა, აუდიტის სამსახურს კანონი ანგარიშების შესამოწმებლად კონკრეტულ ვადებს არ უწესებს, ამ ორგანოს ასევე არ ევალება მის მიერ საზედამხედველო საქმიანობისას გაკეთებული დასკვნების გამოქვეყნება, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებს ეწინააღმდეგება.⁵¹

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ეფექტური ზედამხედველობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასურველია რომ მოხდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რესურსებისა და შესაძლებლობების (მათ შორის ადამიანური რესურსების) გაზრდა, რათა აღნიშნული შესაძლებლობები ამ სამსახურის მოვალეობების თანაზომიერი გახდეს. სასურველია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საარჩევნო სუბიექტების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება როგორც კენჭისყრის დღემდე ისე მის შემდეგაც ხორციელდებოდეს.

შემომწირველთა უდიდესმა ნაწილმა სახსრები ქართული ოცნების სასარგებლოდ გაიღო.⁵² შემოწირულობებისა და მათი წარმოშობის გადასამოწმებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 1,016 შემომწირველი გამოიკვლია. აუდიტის სამსახურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ უკანონო შემოწირულობებისთვის ათი შემომწირველის დაჯარიმება მოხდა.⁵³ გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების სხვადასხვა სახის დარღვევებთან დაკავშირებით 43 საჩივარი, ხოლო ხმების მოსყიდვასთან დაკავშირებული 28 საჩივარი მიიღო.⁵⁴ ამ საჩივრების საფუძველზე აუდიტის სამსახურმა 20 შემთხვევის გამოძიება მოახდინა და დარღვევები ვერ აღმოაჩინა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ ახალმა პროცედურებმა, რომელთა მიხედვით აუდიტის სამსახურს სასამართლოს ნებართვის მოპოვება და ასევე კონკრეტული ინფორმაციის სხვა ინსტიტუტებისგან მიღება ევალება, გამოძიების პროცესი გაახანგრძლივა. აუდიტის სამსახურის ცნობით, რადგან

⁵¹ იხილეთ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის/ვენეციის კომისიის 2011 წლის „პოლიტიკური პარტიების რეგულაციებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები“-ის 194-ე, მე-200 და 214-ე პარაგრაფები.

⁵² გამოკითხული 1,016 შემომწირველიდან (მათ შორის იურიდიული პირებიც იყვნენ), 579-მა შემოწირულობა ქართული ოცნების, 194-მა სახელმწიფო ხალხისთვის, 49-ამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, 50-მა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის, 38-მა თავისუფალი დემოკრატების, 10-მა დემოკრატიული მოძრაობის, 17-მა თოფამე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს, 6-მა ეროვნული ფორუმის ხოლო 1-მა კი ქართული დასის სასარგებლოდ გააკეთა.

⁵³ ათი დაჯარიმებული შემომწირველიდან შვიდს შემოწირულობა სახელმწიფო ხალხისთვის, ორს ქართული ოცნების და ერთს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის სასარგებლოდ ჰქონდათ გაკეთებული.

⁵⁴ 43-დან 16 საქმე აუდიტის სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა, 2 საქმე სასამართლოში გადაიგზავნა (ჯარიმების/სანქციების დაწესების მიზნით), 3 საქმე გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა ხოლო 2 საქმე განხილვის სტადიაშია.

წინასაარჩევნო დაფინანსების წესების დარღვევებზე რეაგირებისთვის დაჩქარებული იურიდიული ვადები არ არსებობს, ამ დარღვევების უმრავლესობაზე მოკვლევები მეორე ტურის შემდეგ ჩატარდებოდა. ამან წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე ზედამხედველობის ეფექტურობა შეასუსტა.

სასურველია, რომ კანონით ნათლად იყოს განსაზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევების გადამოწმება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა უნდა მოახდინოს. შესაბამის ინფორმაციაზე დროული წვდომა და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან თანამშრომლობა ნათლად უნდა იყოს რეგულირებული, რათა აუდიტის სამსახურს ეფექტური ზედამხედველობის განხორციელება შეეძლოს.

მეორე ტურისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს აცნობა, რომ ფინანსური აგნარიშები 2 ნოემბრისთვის უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. აღნიშნული ვადა არასაკმარისი იყო წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობისთვის, რადგან ამ ვადაში არჩევნების მეორე ტურამდე ანგარიშების გადამოწმება და გამოქვეყნება შეუძლებელი იყო. მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში შემოწირულობები ორმა პარტიამ/ბლოკმა და ორმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა 73 შემომწირველისგან მიიღო (სულ 2,016,237 ლარის ოდენობით, რაც დაახლოებით 748,254 ევროს უდრის).⁵⁵ მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სულ 10 საჩივარი იქნა შეტანილი.⁵⁶

X. მედია

A. მედია გარემო

საქართველოს აქტიური მედია გარემო გააჩნია, ტელევიზია ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს.⁵⁷ ბეჭდური მედიის ტირაჟი შეზღუდულია, ხოლო ონლაინ მედიის როგორც ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს როლი სულ უფრო და უფრო მზარდია. მაუწყებლების დიდი რაოდენობის მიუხედავად ორი კერძო ტელეკომპანია *რუსთავი 2* და *იმედი* ერთობლიობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით მაყურებელთა 50 პროცენტზე მეტს იზიდავს, ხოლო დანარჩენი ტელეკომპანიების მაყურებელთა ოდენობა შედარებით მცირეა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის *პირველ არხს* ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის სულ ხუთი პროცენტი უყურებს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ყველა თანამესაუბრის განცხადებით 2012 წლის

⁵⁵ ქართულმა ოცნებამ 1,785,030 ლარი ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 16,899 ლარი მიიღო. 73 შემომწირველიდან 17 იურიდიული პირი იყო.

⁵⁶ ხუთი საქმე აუდიტის სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა, სამი საქმის გამოძიება მოხდა - ამ შემთხვევაში კანონის დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა, ორი საქმე კი კვლავ განხილვის სტადიაში იყო.

⁵⁷ ამჟამად საქართველოში 115 მოქმედი მაუწყებელი (მათი ყურება საკაბელო ქსელების, ციფრული ტელევიზიის, სატელიტური ანტენებისა და ინტერნეტის მეშვეობით არის შესაძლებელი) და 313 ბეჭდური მედია საშუალება ფუნქციონირებს.

შემდეგ მედია ლანდშაფტის ზოგადი პლურალიზმის კუთხით გაუმჯობესება სახეზეა. თუმცა მცირე სარეკლამო ბაზარი მედია ორგანიზაციების უმრავლესობას ფინანსურად მოძლიერების საშუალებას არ აძლევს, ამიტომ ისინი მთლიანად დამოკიდებული არიან გარე წნეხზე, მათ შორის პოლიტიკური აქტორებისგან მომავალ ზეწოლაზე. ითვლება რომ რამდენიმე მედია საშუალება, განსაკუთრებით სამაუწყებლო მედია, პოლიტიკურად პოლაზირებულია და ზოგ შემთხვევაში მაუწყებელთა მფლობელობა აშკარად პოლიტიკურ წრეებთან არის დაკავშირებული. არჩევნების წინ ცვლილებები განხორციელდა რამდენიმე მედია საშუალების მფლობელობის ან მმართველობის კუთხით (ან ამის მცდელობას ჰქონდა ადგილი), რასაც მედია ლანდშაფტის ნაწილობრივი ცვლილება და დაძაბულობის ზრდა მოჰყვა.⁵⁸

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მედიის მონიტორინგის კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, მედია მონიტორინგის ჩატარებით და პერიოდული ანგარიშების გამოცემით მათ სექტორის ზოგად გამჭირვალობაში შეაქვთ წვლილი. აღნიშნული ორგანიზაციები მედია გარემოს აკვირდებიან, მათ შორის ისინი დაკვირვებას არჩევნების გაშუქებაზე, პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესრულებაზე და ასევე სარეკლამო ბაზრისა და მედიის მფლობელობის დინამიკაზე ახორციელებენ.

B. საკანონმდებლო ბაზა

მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მედიის თავისუფლებისთვის მყარ საფუძველს ქმნის. კონსტიტუცია სიტყვის და პრესის თავისუფლების გარანტიას იძლევა და ცენზურას კრძალავს; ცილისწამება სისხლის სამართლის დანაშაულს არ წარმოადგენს და კანონმდებლობაში არსებული ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული დებულებები საჯარო ინფორმაციაზე წვდომას უზრუნველყოფს. თუმცა, ბოლო ორი წლის მანძილზე *რუსთავი 2*-ის მფლობელობასთან დაკავშირებულმა სასამართლო დავამ გარკვეული წუხილები წარმოშვა, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღნიშნული საქმე მედიის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობად იქნა დასახელებული.⁵⁹ მიმდინარე სასამართლო განხილვას *რუსთავი 2*-ის მიერ არჩევნების გაშუქებისთვის ხელი არ შეუშლია და ჟურნალისტების

⁵⁸ ამ არჩევნების წინ ყველაზე რეზონანსული საქმე *რუსთავი 2*-ის მფლობელობასთან დაკავშირებული სასამართლო დავა გახლდათ, ეს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული ტელეარხია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი სარედაქციო პოლიტიკის მქონე მთავარი მედია საშუალებაა. სასამართლო დავა 2015 წლის 4 აგვისტოს არხის ყოფილმა მფლობელმა წამოიწყო, რომელიც ბევრის მტკიცებით მმართველ პარტიასთან არის დაახლოებული. მისი განცხადებით მას ტელეკომპანიის გაყიდვა აიძულეს. 2016 წლის 10 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს მოთხოვნა დააკმაყოფილა და იგი ტელეკომპანიის სრულუფლებიან მფლობელად აღიარა. *რუსთავი 2*-მა ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გასაჩივრა, რომელმაც 2016 წლის 22 ნოემბერს საქმე უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას გადასცა.

⁵⁹ 2015 წლის 5 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლო პირდაპირ ჩაერია მედია საშუალების სარედაქციო დამოუკიდებლობაში და მისი მმართველობა დროებით ჩაანაცვლა - სასამართლომ *რუსთავი 2*-ის გენერალური და ფინანსური დირექტორები თავიანთი თანამდებობებიდან გადააყენა. 2015 წლის 13 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეაჩერა და 2016 წლის 30 სექტემბერს 2015 წლის 5 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად სცნო. ასევე იხილეთ [ეუთოს მედიის თავისუფლების საკითხებში წარმომადგენლის მიერ 2015 წლის 6 ნოემბერს გაკეთებული განცხადება](#).

შევიწროვებასთან დაკავშირებული რამდენიმე ინციდენტის გამოკლებით მედიის მიერ არჩევნების თავისუფლად გაშუქების უფლება დაცული იყო.

მაუწყებლობის შესახებ კანონის მიხედვით როგორც საზოგადოებრივმა ისე კერძო მაუწყებლებმა თავიანთ ახალი ამბების პროგრამებში შესაბამისი შეხედულებების პლურალისტურად და არადისკრიმინაციურად გაშუქება უნდა უზრუნველყონ; ამავე დროს საარჩევნო კოდექსში წინასაარჩევნო კამპანიის დროს უფასო და ფასიანი რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული დეტალური დებულებებია მოცემული, ეს დებულებები ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წესებსაც განსაზღვრავს. არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს, ამიტომ საარჩევნო კოდექსის იგივე დებულებები მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდში იქნა გამოყენებული. მეორე ტურის ოფიციალურად გამოცხადების დღემდე არსებული პერიოდი (9-დან 18 ოქტომბრამდე პერიოდი) არ ყოფილა რეგულირებული და მაუწყებლებს არჩევნებთან დაკავშირებული რეგულაციების (კონკრეტულად კი უფასო და ფასიანი რეკლამების განთავსებასთან და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული რეგულაციების) დაცვა არ ევალებოდათ. თუმცა რეგულაციების არ არსებობას ამ პერიოდში მედიის მუშაობაზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

საარჩევნო კოდექსში მცირე ხნის წინ მიღებული ცვლილებების შედეგად არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისთვის (საუბარია სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ კვალიფიციურ სუბიექტებზე) გამოყოფილი უფასო სარეკლამო დრო როგორც საზოგადოებრივ ისე კერძო მაუწყებლებზე შემცირდა, ამ ცვლილებების მიხედვით აღნიშნულ სუბიექტებს უფასო სარეკლამო დროის სახით სამ საათში მაქსიმუმ 90 წამი გამოეყოთ. ამ არჩევნებისთვის ცესკომ 11 კვალიფიციური პარტიის იდენტიფიცირება მოახდინა, აქედან 9 პარტიამ არჩევნების პირველ, ხოლო ოთხმა კი მეორე ტურში მიიღო მონაწილეობა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და *აჭარის ტელევიზიამ* თანაბარი ოდენობის უფასო სარეკლამო დრო ასევე არაკვალიფიციურ სუბიექტებს უნდა გამოეყოთ, თუმცა ამ შემთხვევაში უფასო სარეკლამო დროის ოდენობა განსაზღვრული არ არის.⁶⁰ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და *აჭარის ტელევიზიამ* გადაწყვიტეს, რომ არაკვალიფიციური სუბიექტებისთვის შეზღუდული ოდენობის უფასო სარეკლამო დრო (10 წამი დღეში) გამოეყოთ, თუმცა ამ შესაძლებლობით მხოლოდ ერთმა პარტიამ ისარგებლა.⁶¹

ამომრჩევლებისთვის არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გასაზრდელად შესაძლებელია რომ არაკვალიფიციურ სუბიექტებს უფასო სარეკლამო დროის მინიმალური ოდენობა გამოეყოს, რათა მათ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით საკუთარი გზავნილების გადაცემა შეძლონ.

⁶⁰ ბათუმში არსებული *აჭარის ტელევიზია* ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული მაუწყებელი იყო, რომელიც 2013 წლის 25 დეკემბერს მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაკეთდა.

⁶¹ არაკვალიფიციური სუბიექტების სტატუსი დამოუკიდებელ კანდიდატებზე არ ვრცელდება. არჩევნების მეორე ტურში არაკვალიფიციური სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

საარჩევნო კოდექსით ფასიანი რეკლამის შესყიდვისას არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს დასახარჯი თანხების მხრივ არავითარი ზედა ზღვარი არ აქვთ დაწესებული; მაუწყებლები ვალდებული არიან სარეკლამო ტარიფები და რეკლამის ეთერში გაშვების ბადა გამოაქვეყნონ.⁶² საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების ჩატარება ნებადართულია, თუმცა მათი შედეგების გამოქვეყნებისას გამოკითხვის ორგანიზატორებთან და გამოყენებულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია უნდა იქნას გავრცელებული, ამგვარი ინფორმაციის დიდი ნაწილის ბოლომდე გადამოწმება შეუძლებელია. აღნიშნული მოთხოვნები საერთაშორისო დონეზე მიღებულ ნორმებზე გაცილებით უფრო მკაცრია.⁶³ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგების გამოქვეყნება არჩევნების დღემდე 48 საათის მანძილზე (ხმის მიცემის პროცესის დასრულებამდე) იკრძალება. მართალია მედია საშუალებები ზოგადად იცავდნენ უფასო და ფასიანი რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული დებულებებს, თუმცა მაუწყებლებს საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნებისას ზემოდხსენებული დეტალური ინფორმაციის გაცხადებასთან დაკავშირებული წესები არ დაუცვიათ.

სასურველია, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოქვეყნებისას ამ კვლევების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცხადებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დახვეწა საერთაშორისო დონეზე მიღებული ნორმების შესაბამისად მოხდეს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მარეგულირებელი ორგანოა, რომელიც მედიის მიერ კანონის შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს. გარდა ამისა, არჩევნების პერიოდში კომუნიკაციების ეროვნული კომისია საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული იმ დებულებების შესრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი, რომლებიც უფასო და ფასიანი რეკლამის განთავსებას და ასევე საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოქვეყნებას ეხება. აღნიშნულმა მარეგულირებელმა ორგანომ მედია მონიტორინგი აწარმოა და ექვსი ანგარიში გამოაქვეყნა (ეს ანგარიშები 8 ივნისიდან 30 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავდა), კომისიამ ასევე საბოლოო ანგარიშიც გამოაქვეყნა.⁶⁴ თუმცა აღნიშნულ ანგარიშებში მონიტორინგის შედეგები ბოლომდე ნაჩვენები არ ყოფილა და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოვლენილი დარღვევების უმრავლესობაზე დროული და ეფექტური რეაგირება არ მოუხდენია. დარღვევების უმრავლესობა საზოგადოებრივი აზრის კვლევების გამოქვეყნებისას ამ კვლევებთან დაკავშირებული ინფორმაციის

⁶² კვალიფიციურ სუბიექტებს სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარად დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება ჰქონდათ, ამ მიზნით გამოყოფილი თანხები ცხრავე პარტიამ მიიღო.

⁶³ იხილეთ ევროპის საბჭოს [„მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec\(2007\)15 წევრი სახელმწიფოებისადმი, რომლებიც მედიის მიერ საარჩევნო კამპანიების გაშუქებასთან დაკავშირებულ ზომებს ეხება“](#)-ს მე-8 პარაგრაფი.

⁶⁴ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ 8 ივნისის შემდეგ კომისიამ 53 ტელეარხის, 30 რადიო სადგურის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფინანსებული 31 გაზეთის მონიტორინგი განახორციელა.

გაცხადებას ეხებოდა. ამ მხრივ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ზოგჯერ არათანმიმდევრული იყო.⁶⁵

გამჭირვალობის გასაზრდელად სასურველია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საკუთარ ვებგვერდზე მედია მონიტორინგის დეტალური ანგარიშების დროულად გამოქვეყნება დაევალოს, ამ ანგარიშებში ყველა გამოვლენილი დარღვევა, მიღებული საჩივარი და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა შევიდეს.

მაუწყებლობის შესახებ კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით მაუწყებლების ეთერით გასულ სიუჟეტებთან/კონტენტთან დაკავშირებული საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება მხოლოდ თითოეული ამ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს შეუძლია.⁶⁶ არჩევნების ორივე ტურის წინასაარჩევნო კამპანიების დროს ძირითადი მაუწყებლების თვითრეგულირების ორგანოებს ოფიციალური საჩივრები არ მიუღიათ.⁶⁷

სასურველია, რომ ერთიანი თვითრეგულირების ორგანოს ჩამოყალიბების საკითხი იქნას განხილული, რომელიც პარტიებისგან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან ნებისმიერი მაუწყებლის მიმართ წარდგენილ საჩივრებს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის საფუძველზე განიხილავს და მათზე დროულად და გამჭირვალედ მოახდენს რეაგირებას.

საარჩევნო კოდექსი სიძულვილის გამღვივებელი გზავნილების გამოყენებას, ხოლო მაუწყებელთა შესახებ კანონი კი ეთერში სიძულვილის ენის გამოყენებას კრძალავს. თუმცა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ანტიეთურქული და ქსენოფობიური ხასიათის რეკლამა მოამზადა, რომელიც რამდენიმე ძირითადმა ტელეარხმა უფასო და ფასიანი რეკლამის სახით გაუშვა ეთერში. შესაბამისმა ორგანოებმა ამაზე მყისიერი რეაგირება არ მოახდინეს; პირიქით, მარეგულირებელმა ორგანომ იმ მაუწყებლის ადმინისტრაციული

⁶⁵ მაგალითად 8 ოქტომბრის არჩევნებამდე ბოლო კვირის მანძილზე *რუსთავი 2*-მა და *იმედმა* საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული რეგულაცია დაარღვიეს, თუმცა მარეგულირებელმა ორგანომ სწრაფი ადმინისტრაციული სანქციები მხოლოდ *რუსთავი 2*-ის მიმართ გაატარა, მაშინ როდესაც *იმედის* დარღვევაზე რეაგირება არჩევნებიდან ერთი თვის მერე მოხდა. *რუსთავი 2*-მა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები 1 ოქტომბერს, ხოლო *იმედმა* 29 სექტემბერს და 5 ოქტომბერს გამოაქვეყნა. არც *რუსთავი 2*-ს და არც *იმედს* არ დაუცვიათ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ყველა ის წესი, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებას ეხება.

⁶⁶ თუმცა 8 სექტემბერს სამმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას სთხოვა ყურადღება მიექცია გადაცემისთვის სახელად „შეხვედრები რეგიონულ მედიასთან“, რომლის წამყვანი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იყო და რომელიც *GDS*-ზე ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს გადიოდა, რადგან აღნიშნული დამკვირვებლების აზრით ამ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდა არასამართლიან და დაუბალანსებელ გაშუქებას.

⁶⁷ 12 სექტემბერს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ წერილით მიმართა ტელეკომპანია *იმედს* და საკუთარი საარჩევნო პროგრამის წარსადგენად ერთსაათიანი პირდაპირი ეთერი მოითხოვა (21:00-დან) ისე როგორც ამას ქართული ოცნების შემთხვევაში ჰქონდა ადგილი 8 სექტემბერს. არხმა არ დააკმაყოფილა პარტიის ეს თხოვნა. 27 სექტემბერს ნაციონალურმა მოძრაობამ საჩივრით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რადგან პარტიის აზრით *იმედმა* მას საკუთარ ეთერზე თანასწორი წვდომის საშუალება არ მისცა.

წესით დასჯა მოახდინა, რომელმაც აღნიშნული რეკლამა საკუთარი ინიციატივით მოხსნა ეთერიდან, აღნიშნულ მაუწყებელს სანქცია ეთერიდან აღნიშნული რეკლამის შესაბამის პარტიასთან კონსულტაციის გარეშე მოხსნისთვის დაეკისრა.⁶⁸

სასურველია, რომ სიძულვილის ენის გავრცელების აღსაკვეთად შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო ზედამხედველობა განახორციელონ და სიძულვილის ენის გამოვლენის შემთხვევაში დროული რეაგირება მოახდინონ.



C. მედია მონიტორინგის შედეგები

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებულმა მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ 8 ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებლები არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საქმიანობას სხვადასხვა ფორმატში ფართოდ აშუქებდნენ.⁶⁹ თუმცა ახალი ამბების გამოშვებებსა და აქტუალური მოვლენებისადმი მიძღვნილ პროგრამებს შორის ზღვარი ხშირად გაურკვეველი იყო. ზოგადად მედიის ყურადღება ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის გაშუქებაზე იყო მიმართული, ხოლო პოლიტიკური დისკურსი ამ პარტიებს შორის მუდმივი კონფრონტაციით და არა მათ მიერ თავიანთი საარჩევნო პროგრამების წარმოდგენით გამოირჩეოდა. მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა მაუწყებელი, ისევე როგორც რამდენიმე ადგილობრივი მაუწყებელი, დებატებში და თოქ-შოუებში მონაწილეობის მისაღებად კვალიფიციურ სუბიექტებს იწვევდნენ. ამის მიუხედავად ვერცერთმა ტელეარხმა ვერ შეძლო ორი ძირითადი პარტიის ლიდერებს შორის დებატების გამართვა, რადგან პრემიერ-მინისტრმა და ქართული ოცნების ლიდერმა ნებისმიერ დებატებში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მიერ განხორციელებული მედია მონიტორინგის მიხედვით, მონიტორინგს დაქვემდებარებულ მაუწყებლებისგან შესყიდული ფასიანი რეკლამების 75 პროცენტი ქართულმა ოცნებამ შეისყიდა, ამ მაჩვენებლით მეორე

⁶⁸ როგორც ეს მოგვიანებით სასამართლოს მიერაც დადასტურდა, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ დამზადებული რეკლამის შინაარსი, რომელიც პირველად 22 სექტემბერს გავიდა ეთერში, არღვევდა საარჩევნო კოდექსის 45.3-ე მუხლს. 24 სექტემბერს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებიც შეუერთდნენ, ცესკოს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა, 3 ოქტომბერს ცესკომ ადმინისტრაციული ზომები გაატარა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ. 7 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ პატრიოტთა ალიანსი 2,000 ლარით დააჯარიმა. ამასობაში აღნიშნული რეკლამა ეთერში რამდენიმე დღის განმავლობაში გადიოდა. 30 სექტემბერს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის საჩივრის საფუძველზე კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საარჩევნო კოდექსის 51.6-ე მუხლის დარღვევის გამორუსთავი 2-ის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ზომები მიიღო, რადგან არხმა პატრიოტთა ალიანსის რეკლამა პარტიასთან კონსულტაციის გარეშე მოხსნა ეთერიდან.

⁶⁹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ ექვს ტელეარხზე პრაიმტაიმის (18:00-24:00) რადიო-ტელევიზიური და ხარისხობრივი მონიტორინგი განახორციელა, ეს არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მეგეტრო, GDS-ი და ტელეკომპანია პირველი. მონიტორინგი 2016 წლის 5 სექტემბრიდან 30 ოქტომბრამდე პერიოდში განხორციელდა.

ადგილზე 17 პროცენტით სახელმწიფო ხალხისთვის გავიდა. არჩევნებში მონაწილე სუბიექტები ძირითადად ისეთ მწვავე პრობლემებს ეხებოდნენ, როგორებიცაა უმუშევრობა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურის განვითარება და ასევე სოციალური დაცვის საკითხები.

მონიტორინგს დაქვემდებარებულ ახალი ამბების გამოშვებებში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა 25 პროცენტი ქართულ ოცნებას, ხოლო 18 პროცენტი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაუთმო, გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო.⁷⁰ დანარჩენ შვიდ პარტიას დაახლოებით 2-დან 6 პროცენტამდე დრო დაეთმო. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ფართოდ აშუქებდა პრემიერ-მინისტრის და მთავრობის საქმიანობას (7 და 18 პროცენტი შესაბამისად), გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური ან პოზიტიური იყო, პრემიერ-მინისტრის და მთავრობის საქმიანობის ფართოდ გაშუქებას მმართველი პარტიისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭება შეეძლო. გარდა ამისა, 8 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა და სამმა კერძო ტელეკომპანიამ ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართული ღონისძიება ერთი საათის განმავლობაში (პრაიმტაიმში) პირდაპირ ეთერში გადასცეს, აღნიშნულ ღონისძიებაზე ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა იქნა წარმოდგენილი.⁷¹

რუსთავი 2-მა ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაახლოებით ერთი და იგივე დრო დაუთმო (26 და 23 პროცენტი შესაბამისად), გაშუქების ტონი ნეიტრალური იყო, გარდა ამისა, ამ ტელეარხმა კიდევ სამ სხვა პარტიასაც დაუთმო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი, ესენია: სახელმწიფო ხალხისთვის (11 პროცენტი), რესპუბლიკური პარტია და თავისუფალი დემოკრატები (8-8 პროცენტი). თუმცა *რუსთავი 2*-მა აქტუალური მოვლენებისადმი მიძღვნილ პროგრამებში და ასევე გასართობი სახის გადაცემებში მმართველი პარტიის საქმიანობა საკმაოდ უარყოფით ჭრილში გააშუქა. *მაესტრო*-მ და *GDS*-მა ქართული ოცნების საქმიანობა უფრო ფართოდ გააშუქეს, მათი ახალი ამბების გამოშვებების 26 პროცენტი (*მაესტრო*) და 36 პროცენტი (*GDS*-ი) მმართველი პარტიის საქმიანობის გაშუქებას დაეთმო, გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური ან დადებითი იყო.⁷² *იმედმა* ქართულ ოცნებას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ახალი ამბების გამოშვებებში შესაბამისად 32 და 33 პროცენტი დაუთმო. წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ამ არხებზე ერთიან ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა ფართოდ გაშუქდა, რაც ამ პარტიის

⁷⁰ მედია მონიტორინგის შედეგები არჩევნების პირველ ტურამდე (5 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე) არსებულ პერიოდს ასახავს.

⁷¹ ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების პირდაპირ ეთერში გადაცემის შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა ყველა კვალიფიციურ სუბიექტს მათი საარჩევნო პროგრამების გადასაცემად ერთსაათიანი პირდაპირი ეთერი შესთავაზა (პრაიმტაიმში). თუმცა საარჩევნო სუბიექტებს პირდაპირ ეთერში პროგრამის ჩაწერის და გადაცემის ხარჯების დაფარვა სთხოვეს, რამაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერზე არათანაბარი წვდომა გამოიწვია. ამ შემთავაზებით მხოლოდ თავისუფალმა დემოკრატებმა ისარგებლეს. 8 სექტემბრის ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიება პირდაპირ ეთერში ასევე *იმედმა*, *მაესტრომ* და *GDS*-მა გადასცეს.

⁷² ტელეკომპანია *GDS*-ი ბიძინა ივანიშვილის შვილს ბერა ივანიშვილს ეკუთვნის.

წარმომადგენლის (პარლამენტის წევრის) მანქანის აფეთქებით იყო გამოწვეული, ამ მოვლენამ პარტიებს შორის დროის ზოგად განაწილებაზე ზეგავლენა მოახდინა.

მაესტრო-მ და *GDS-მა* ასევე მნიშვნელოვანი დრო დაუთმეს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის საქმიანობის გაშუქებას, მათ მთლიანობაში 18-დან 20 პროცენტამდე დრო დაეთმოთ, გაშუქების ტონი ნეიტრალური ან დადებითი იყო. გარდა ამისა, ამ არხების ახალი ამბების გამოშვებებში და აქტუალური მოვლენებისადმი მიძღვნილ პროგრამებში (განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო ორი კვირის მანძილზე) დიდი ყურადღება დაეთმო წინა მთავრობასთან დაკავშირებულ ამბებს, რომლის დროსაც ხშირად უარყოფითი ტონი იყო გამოყენებული. *ტელეკომპანია პირველმა* საკუთარ ახალი ამბების გამოშვებებში მმართველ პარტიას ასევე ყველაზე მეტი დრო დაუთმო (24 პროცენტი), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის გაშუქებას 18 პროცენტი დაეთმო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული არხი სამ კერძო ტელეკომპანიასთან ერთად (აქედან ერთ-ერთი ტელეკომპანიის მფლობელი ქართული ოცნების დამაარსებლის ოჯახის წევრი იყო) ეგზიტპოლების განხორციელებას და მათ გამოქვეყნებას აპირებდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან აქტიური გამოხმაურება და დისკუსიები მოჰყვა. სამოქალაქო საზოგადოებამ საზოგადოებრივ მაუწყებელს ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა, თუმცა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 8 ოქტომბერს მაინც გამოაქვეყნა აღნიშნული ეგზიტპოლის შედეგები.

სასურველია, რომ საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის საზოგადოებრივი აზრის და ეგზიტპოლების შედეგების გამოქვეყნებისას, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარი დამოუკიდებლობა და ნეიტრალობა უზრუნველყოს.

არჩევნების მეორე ტურის ოფიციალურად გამოცხადების დღემდე (9-დან 18 ოქტომბრამდე) მედია არჩევნებთან დაკავშირებული კონკრეტული რეგულაციების გარეშე მუშაობდა. მონიტორინგს დაქვემდებარებულ მაუწყებლების შორის *რუსთავი 2-მა* არჩევნებთან დაკავშირებული ინციდენტებისა და საჩივრების გაშუქებას ყველაზე მეტი დრო დაუთმო.

მეორე ტურის წინ პარტიებმა უფასო სარეკლამო დრო გამოიყენეს, ამავე დროს არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ შეუძენია სარეკლამო დრო.⁷³ პირველი ტურისგან განსხვავებით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხს დებატების ორგანიზება არ მოუხდენია, გარდა ამისა, ამ არხმა (მეორე ტურში) არც არჩევნების დღე არ გააშუქა. *აჭარის ტელევიზიამ* და რამდენიმე ნაციონალურმა და ადგილობრივმა მაუწყებელმა დებატების ორგანიზება სცადეს, მაგრამ კანდიდატებს დებატებში მონაწილეობის ინტერესი არ აღმოაჩნდათ. კანდიდატები და პარტიების წარმომადგენლები საკუთარ საარჩევნო

⁷³ მეორე ტურში ოთხი კვალიფიციური სუბიექტი მონაწილეობდა: ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, თავისუფალი დემოკრატები და თოფამე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო. თავისუფალი დემოკრატები ერთადერთი პარტია იყო, რომელმაც უფასო სარეკლამო დრო არ გამოიყენა.

პროგრამების პრეზენტაციას იშვიათად ახდენდნენ, ამის მაგივრად დისკუსიები ძირითადად ერთი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შესაძლებლობას ეთმობოდა.

ახალი ამბების გამოშვებებში ძირითადი პოლიტიკური პარტიების გაშუქება უფრო დაბალანსებული იყო ვიდრე არჩევნების პირველი ტურის წინ, ამ პერიოდში პრემიერ-მინისტრის საქმიანობის გაშუქება ზოგადად ყველა ტელეარხზე შემცირდა. *საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი და ტელეკომპანია პირველი* ახალი ამბების გამოშვებებში ორი ძირითადი პარტიის საქმიანობის დაბალანსებულ და ძირითადად ნეიტრალურ გაშუქებას ახდენდნენ, მაშინ როდესაც *მაესტრო* ქართული ოცნების საქმიანობას უფრო ფართოდ აშუქებდა ვიდრე ერთიან ნაციონალურ მოძრაობას (39 და 16 პროცენტი შესაბამისად). *GDS*-მა ქართულ ოცნებასთან შედარებით უფრო მეტი დრო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის გაშუქებას დაუთმო, თუმცა გაშუქების ტონი ნაწილობრივ უარყოფითი იყო (36 და 16 პროცენტი შესაბამისად).

XI. ეროვნული უმცირესობების ჩართულობა

2014 წლის აღწერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 13.2 პროცენტს შეადგენენ. ეთნიკურ უმცირესობებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.3 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი).⁷⁴ კონსტიტუციით ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაცია აკრძალულია და ეთნიკური უმცირესობები სრულფასოვანი პოლიტიკური უფლებებით (მათ შორის კერძოდ და საჯაროდ საკუთარი მშობლიური ენის გამოყენების უფლებით) სარგებლობენ.⁷⁵ თუმცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა შეზღუდულად ხდება. რამდენიმე პარტიამ და ბლოკმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საკუთარ პარტიულ სიებში შეიყვანეს, თუმცა სიების ზედა ნაწილში მხოლოდ რამდენიმე მათგანი მოხვდა.⁷⁶ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი რამდენიმე მაჟორიტარი კანდიდატი მონაწილეობდა არჩევნებში.⁷⁷

⁷⁴ მათ შემდეგი ეთნიკური ჯგუფები მოჰყვება: რუსები (0.7 პროცენტი), ოსები (0.4 პროცენტი), იეზიდები (0.3 პროცენტი), უკრაინელები (0.2 პროცენტი), ქისტები (0.2 პროცენტი), ბერძნები (0.1 პროცენტი), ასირიელები (0.1 პროცენტი) და სხვა ჯგუფები (0.4 პროცენტი).

⁷⁵ საქართველომ ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, საქართველოს ასევე ხელი აქვს მოწერილი რეგიონული ან უმცირესობების ენების შესახებ ევროპულ ქარტიაზე, თუმცა მისი რატიფიცირება არ მოუხდენია.

⁷⁶ პარტიულ სიებში: ქართულ ოცნებას – 155 კანდიდატიდან 10 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ჰყავდა; ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 200-დან 13; სახელმწიფო ხალხისთვის – 197-დან 20; თავისუფალ დემოკრატებს – 200-დან 10; ლეიბორისტულ პარტიას – 167-დან 8; საქართველოს პატრიოტთა ალიანსს – 195-დან 8; დემოკრატიულ მოძრაობას – 165-დან 6; პარტიულ სიებში არცერთ ამ კანდიდატს მე-14 ადგილზე ზემოთ ადგილი არ დაუკავებია.

⁷⁷ მაჟორიტარულ არჩევნებზე: ქართულ ოცნებას 73 ოლქში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სულ 3 კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი; ერთიან ნაციონალურ მოძრაობას - 72-დან 5; სახელმწიფო ხალხისთვის - 72-დან 6; საქართველოს პატრიოტთა ალიანსს - 71-დან 4; დემოკრატიულ მოძრაობას - 51-დან 2; რესპუბლიკურ პარტიას - 28-დან 2; თავისუფალ დემოკრატებს -

საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის თანამოსაუბრეებმა გარკვეული წუხილი გამოთქვეს იმის გამო რომ რამდენიმე საარჩევნო ოლქის საზღვრების ცვლილებამ შესაძლოა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა კიდევ უფრო შეამციროს (განსაკუთრებით ახალქალაქისა და ნინოწმინდის ოლქების გაერთიანების შედეგად).⁷⁸

საარჩევნო კანონმდებლობის მომავალ ცვლილებებში ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის აუცილებლობა გათვალისწინებული უნდა იქნას, მათ შორის ოლქების საზღვრების დადგენის კუთხითაც.

ეთნიკური უმცირესობების საკითხები და ერებს შორის ურთიერთობები წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი თემები არ ყოფილა.⁷⁹ თუმცა ზოგიერთი კანდიდატი დროდადრო ეთნიკურ წარმომავლობას ამომრჩევლების მობილიზებისთვის იყენებდა, რამაც შესაძლოა მარნეულის რაიონში წინასაარჩევნო კამპანიის უკიდურეს პოლარიზაციას შეუწყო ხელი.⁸⁰ არჩევნების დღეს (პირველ ტურში) აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფელ ყიზილაჯლოში არსებულ საარჩევნო უბანში და მის გარეთ ძალადობის ფაქტები დაფიქსირდა. 22 ოქტომბერს ამ უბანზე განმეორებითი არჩევნები დაძაბულ ატმოსფეროში გაიმართა.⁸¹ არჩევნების მეორე ტურში მარნეულში არსებული ვითარება კვლავ დაძაბული იყო, რაც ნაწილობრივ 8 ოქტომბერს რაიონში მომხდარ შეტაკებებთან დაკავშირებით

64-დან 1; გარდა ამისა, მაჟორიტარულ არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 4 დამოუკიდებელი კანდიდატიც იღებდა მონაწილეობას.

⁷⁸ ახალქალაქისა და ნინოწმინდის ერთ ოლქად გაერთიანება (რასაც თან ახლდა ახალქალაქის ყოფილი საარჩევნო ოლქის ზოგიერთი სოფლის ბორჯომი-ასპინძის საარჩევნო ოლქში გაერთიანება) სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხების წარმომადგენლობას პოტენციურად ამცირებს და მათ ხმებს „აზავებს“. ამავე დროს ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში საარჩევნო ოლქების რაოდენობა გაიზარდა, თუმცა ზოგ შემთხვევაში, საზღვრების ცვლილებისას, გაურკვეველი იყო თუ რამდენად იყო დაცული უმცირესობების კონცენტრაციასთან დაკავშირებული კრიტერიუმები.

⁷⁹ თუმცა 19 სექტემბერს ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, რომელიც რეგიონული ან უმცირესობების ენების შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიცირებას და სომხური ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას ეხებოდა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ენის გამოყენების მხრივ არავითარი შეზღუდვები არ არსებობდა, თუმცა აღნიშნა, რომ ქართული ენის არ ცოდნა სომხებს „ასიმილაციაში“ უშლიდა ხელს.

⁸⁰ ეთნიკური ნიშნით მხარდამჭერების მობილიზება 36-ე საარჩევნო ოლქში (მარნეული) და შედარებით ნაკლები მასშტაბით 33-ე საარჩევნო ოლქში (ბოლნისი) შეინიშნებოდა, სადაც ქართულმა ოცნებამ ეთნიკურად ქართველი კანდიდატები, ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და სხვა პარტიებმა ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატები წარადგინეს. 36-ე საარჩევნო ოლქში (მარნეული) ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები ერთმანეთს წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ეთნიკური და რელიგიური ნიშნით მხარდამჭერების მობილიზებაში ადანაშაულებდნენ. ამ დაპირისპირებამ აზერბაიჯანულ თემში თაობებს შორის განხეთქილება გამოიწვია.

⁸¹ პირველ ტურში ძალადობის ფაქტები დაფიქსირდა, რომლის შედეგად სოფელ ყიზილაჯლოში მდებარე 48-ე საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი ჩაიშალა, ეს მას შემდეგ მოხდა რაც სახელმწიფო ხალხისთვის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდა აქტივისტებმა უბანზე არჩევნების სავარაუდო გაყალბების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ საარჩევნო უბნის შტურმით აღება სცადეს.

რამდენიმე აქტივისტის დაკავებით იყო გამოწვეული, თუმცა მეორე ტურში თავად არჩევნების დღემ ინციდენტების გარეშე ჩაიარა.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში პარტიები და კანდიდატები აქტიურად იყენებდნენ უმცირესობების ენებს. წინასაარჩევნო შეხვედრები შედარებით თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ტარდებოდა (განსაკუთრებით აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში), მაშინ როცა სომხებით დასახლებულ რაიონებში წინასაარჩევნო კამპანია შედარებით ნაკლებად აქტიურად მიმდინარეობდა. უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება ზოგადად თავისუფლად იყო შესაძლებელი, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიის დროს რამდენჯერმე სიძულვილის ენის გამოყენებას და ძალადობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი, რამაც ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებზე ირიბი ზეგავლენა მოახდინა.⁸² სომხებით დასახლებულ რაიონებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში, ხოლო აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში ეროვნული უმცირესობები საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილი საოლქო საარჩევნო კომისიებში, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში მათი წარმომადგენლობა საკმაოდ ფართო იყო.

საარჩევნო კოდექსის დებულებები ამომრჩეველთა სიების, ბიულეტენების, შედეგების ოქმების და სხვა საარჩევნო მასალების უმცირესობების ენებზე თარგმნას ითვალისწინებს, ცესკომ ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირებისთვის განკუთვნილი მასალები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გამოაქვეყნა, მათ შორის ეს მასალები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერიტაც გადაიცა. გარდა ამისა, ცესკოს ცხელი ხაზი ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მუშაობდა, ამასთან ერთად ცესკოს ვებგვერდზე ინფორმაციის მოძიება აფხაზურ ენაზეც იყო შესაძლებელი. ცესკომ მცირე გრანტების კონკურსი გამოაცხადა, რომლის შედეგად რვა არასამთავრობო ორგანიზაციამ სხვადასხვა პროექტების გასნახორციელებლად მიიღო დაფინანსება. აღნიშნული პროექტები საარჩევნო პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაზრდაზე იყო მიმართული.

არჩევნების შედეგების მიხედვით ახალ პარლამენტში ეროვნული უმცირესობების სულ 11 წარმომადგენელი შევა.⁸³ თუმცა ზოგად მოსახლეობაში მათი წილის გათვალისწინებით ეროვნული უმცირესობები კვლავ არასაკმარისად არიან წარმოდგენილი პარლამენტში.

⁸² საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ფასიანი სატელევიზიო რეკლამა და ამ პარტიის მიერ ორგანიზებული მიტინგები ანტითურქული შინაარსის მქონე განცხადებებს შეიცავდა, რასაც შესაძლოა აზერბაიჯანელი მოსახლეობის ნაწილის გაღიზიანება მოჰყოლოდა. მოძრაობა „ქართული ძალის“ წარმომადგენლებმა თბილისში მდებარე აღმოსავლურ კაფეებზე იერიში მიიტანეს. სატელევიზიო დებატები ქართველ და აზერბაიჯანელ კანდიდატებს შორის ხელჩართული ჩხუბით დასრულდა, თუმცა როგორც ჩანს აღნიშნული ჩხუბი ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა.

⁸³ მათ შორის ოთხი ეთნიკური აზერბაიჯანელი, სამი სომეხი, ორი აფხაზი, ერთი ოსი და ერთი ქურთი/იეზიდო იყო.

XII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ისევე როგორც საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს არჩევნებზე დაკვირვების ადეკვატურ შესაძლებლობას აძლევს. კანონმდებლობაში დეტალური დებულებებია მოცემული, რომლებიც დამკვირვებელთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს და მათ საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე წვდომას აძლევს. ცესკომ 111 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია დაარეგისტრირა, რომლებსაც ჯამში 41,158 დამკვირვებელი ჰყავდათ, გარდა ამისა ცესკომ 55 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის რეგისტრაცია მოახდინა, რომლებსაც სულ 1,661 დამკვირვებელი ჰყავდათ. ამასთან ერთად მოხდა 184 მედია საშუალების რეგისტრირება, რომლებსაც საერთო ჯამში 5,866 ჟურნალისტი წარმოადგენდა. რეგისტრაციის პროცესი ინკლუზიური იყო.

დამკვირვებელთა აკრედიტაციის კრიტერიუმები კანონით არის განსაზღვრული, თუმცა მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის კონკრეტული კრიტერიუმები დადგენილი არ არის. არჩევნების დღეს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ცნობით ზოგიერთი ადგილობრივი დამკვირვებლის და მედიის წარმომადგენლის პარტიული კუთვნილების ნიშნები აშკარად სახეზე იყო.

არჩევნების ორივე ტურში საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ახალი ამბების ონლაინ პორტალის Allmedia.ge-ის წარმომადგენელთა საარჩევნო უბნებზე დიდი რაოდენობით ყოფნა დააფიქსირეს. 3,400-ზე მეტი წარმომადგენლით Allmedia.ge ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგისტრირებული წარმომადგენლების მქონე ორგანიზაცია იყო ყველა დანარჩენ სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციებს შორის. Allmedia.ge-ის დირექტორმა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ მისი ორგანიზაციის წარმომადგენლების უმრავლესობა არჩევნებზე დასაკვირვებლად აყვანილი მოხალისეები იყვნენ, რომლებსაც დარღვევების ვიდეოზე აღბეჭდვა უნდა მოეხდინათ. Allmedia.ge-ს წარმომადგენლებისთვის მედია აკრედიტაციის მინიჭება, რომლებიც დამკვირვებლებივით მოქმედებდნენ, შეკითხვებს აჩენს იმის შესახებ თუ რამდენად შეუძლია მედია აკრედიტაციის პროცესს არჩევნების დღეს მოახდინოს ამ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენცია.

სასურველია, რომ ადგილობრივი დამკვირვებლების როლის აღიარებისთვის და მათ მიერ ამ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის ადგილობრივი დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის კრიტერიუმების შემდგომი დახვეწა მოხდეს.

სხვადასხვა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ არჩევნებზე გრძელვადიანი დაკვირვება აწარმოა, ისინი საარჩევნო გარემოს, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების, მედია მონიტორინგის, ეროვნული უმცირესობების ჩართულობის და არჩევნებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის სხვადასხვა ასპექტებზე იყვნენ კონცენტრირებული. არჩევნების დღეს ადგილობრივი დამკვირვებლები პროცედურების

შესრულებას საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე აკვირდებოდნენ, ხოლო ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ხმების პარალელური დათვლაც აწარმოა.

პარტიებს, საინიციატივო ჯგუფებსა და კანდიდატებს თითო საარჩევნო კომისიაში ორ-ორი წარმომადგენლის დანიშვნა შეუძლიათ, თუმცა კომისიების სხდომებზე და არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებში მხოლოდ ერთი წარმომადგენლის ყოფნაა შესაძლებელი. მრავალრიცხოვანი დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების ადგილზე ყოფნის გარდა საარჩევნო უბნებზე პარტიების/კანდიდატების წარმომადგენლების მრავლად ყოფნაც დაფიქსირდა, რამაც უბნებზე ზედმეტი ხალხმრავლობა გამოიწვია.

სასურველია, რომ საარჩევნო პროცესში ჩართულმა დაინტერესებულმა მხარეებმა პარტიულ და არაპარტიულ დაკვირვებას შორის არსებული მკაფიო განცალკევების პრინციპი დაიცვან. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და მედია საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ რომ საარჩევნო უბნებზე მყოფმა მათმა წარმომადგენლებმა საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას მიუკერძოებლობა შეინარჩუნონ, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს დარღვევებზე დროულად რეაგირების საშუალება უნდა გააჩნდეთ.

XIII. საჩივრები და სარჩევნები

საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული დავების სწრაფად გადაწყვეტის პროცესს ითვალისწინებს, საჩივრების შეტანისთვის და მათი განხილვისთვის ერთიდან ორ დღემდეა გამოყოფილი. წინასაარჩევნო პერიოდში შესაბამისმა ორგანოებმა აღნიშნულ ვადებში მუშაობა შეძლეს. არჩევნების დღის შემდეგ დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, რომ აღნიშნული ვადები დეტალური გამოძიებისთვის და შესაბამისად საჩივრების ეფექტურად დაკმაყოფილებისთვის არასაკმარისი იყო. ამავე დროს კონსტიტუცია ახალი პარლამენტის პირველი სხდომის გამართვისთვის მოკლე პერიოდს (არჩევნებიდან 20 დღე) ადგენს.

კონსტიტუციით დადგენილი ვადების პატივისცემის პირობებში, სასურველია, რომ საჩივრების შეტანისა და მათი განხილვის ვადების მხრივ მომწივარ მხარეებს სარჩელის მოსამზადებლად, ხოლო შესაბამის ორგანოებს მათ გამოსაკვლევად საკმარისი დრო გააჩნდეთ.

საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები შესაბამის ზედა დონის კომისიაში და შემდეგ რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შეიძლება იქნას გასაჩივრებული, ამა თუ იმ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის საბოლოო ინსტანციას სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს. შესაბამისი საჩივრის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს არჩევნებთან დაკავშირებული იურიდიული დებულებების შემოწმება შეუძლია.⁸⁴

⁸⁴ არჩევნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლება საქართველოს პრეზიდენტს, სახალხო დამცველს და პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედს გააჩნია.

პარტიების, ბლოკების, კანდიდატებისა და აკრედიტებული დამკვირვებლების წარმომადგენლებს საჩივრების შეტანა ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლიათ. თუმცა, კანონით საარჩევნო ადმინისტრაციის და სასამართლოების სხვადასხვა დონეებზე სარჩელების შეტანის უფლება მხოლოდ გარკვეული სახის წარმომადგენლებს შეუძლიათ. პრაქტიკაში ამ შეზღუდვებმა დაინტერესებული მხარეების მიერ საჩივრის შეტანის უფლება შეზღუდა.⁸⁵ ამომრჩევლებს მხოლოდ მათი ამომრჩეველთა სიაში არ შეტანის გამო შეუძლიათ საჩივრების შეტანა, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პარაგრაფს ეწინააღმდეგება.⁸⁶

არჩევნებში მონაწილე ყველა მხარის უფლებების სათანადოდ დასაცავად, სასურველია, რომ ამომრჩევლებს მათი საარჩევნო უფლებების ნებისმიერი შესაძლო დარღვევისას ჰქონდეთ საჩივრების შეტანის უფლება (მათ შორის საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება).

საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემა საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრების პროკურატურაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში შეტანის საშუალებას ითვალისწინებს. ამ სისტემის სირთულე დაინტერესებული მხარეებისთვის გაურკვეველს ხდის მათი საჩივრების ადრესატების ვინაობას. პრაქტიკაში საჩივრების რამდენიმე ორგანოში ერთდროულად შეტანა ხდებოდა, რაც გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოებისადმი ნდობის ნაკლებობითაც იყო გამოწვეული. ცესკომ საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით სპეციალური სახელმძღვანელო გამოსცა; თუმცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით საჩივრების სისტემასთან დაკავშირებით ზოგადად არსებული ცოდნა არასაკმარისი იყო, გარდა ამისა, მისიის დაკვირვებით ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები არასაკმარისად იყვნენ დატრენინგებული.

სასურველია, რომ ადგილობრივი დამკვირვებლების და პარტიების წარმომადგენლებისთვის საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ პროცედურებზე შემდგომი ტრენინგები ჩატარდეს, ასევე შესაძლებელია საარჩევნო დარღვევების დოკუმენტირების შესაძლებლობის განხილვა.

⁸⁵ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ არაუფლებამოსილი პირების მიერ სარჩელების წარდგენის მრავალი შემთხვევა დააფიქსირა.

⁸⁶ ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პარაგრაფის მიხედვით: „ყველას უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ეფექტურად გამოსწორების უფლება, რათა ფუნდამენტური უფლებები გარანტირებული იყოს და კანონიერება იქნას უზრუნველყოფილი.“ მოქალაქეების მიერ წარდგენილი მინიმუმ სამი საჩივარი განუხილველი დარჩა იმ მიზეზით რომ მოქალაქეებს საჩივრების შეტანის უფლება არ გააჩნიათ. იხილეთ ასევე „კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის“ II.3.3.3.f-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვით „კონკრეტულ საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ ყველა კანდიდატს და ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების უფლება. ამომრჩეველთა მიერ არჩევნების შედეგების გასაჩივრებისას ამომრჩეველთა მინიმალური (გონივრული) ქვორუმი შეიძლება იქნას დადგენილი.“

იმ დროს როცა კანონის მიხედვით ცესკოს საკუთარ ვებგვერდზე ყველა საჩივრის და მათთან დაკავშირებით ცესკოს და სასამართლოების მიერ ერთ დღეში მიღებული ყველა გადაწყვეტილების გამოქვეყნება ევალება, საოლქო საარჩევნო კომისიებს ამგვარი ვალდებულება არ გააჩნიათ. წინასაარჩევნო პერიოდში რეგულაციების არ არსებობის მიუხედავად საოლქო საარჩევნო კომისიებში შეტანილი საჩივრები და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები დროულად ქვეყნდებოდა ცესკოს ვებგვერდზე; ამ მხრივ არჩევნების ტურებს შორის გარკვეული შეფერხებები იქნა დაფიქსირებული.

არჩევნების პირველი ტურის წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეზე და სასამართლოებში სულ 187 საჩივარი იქნა შეტანილი.⁸⁷ მათი უმრავლესობა წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევას ეხებოდა, მათ შორის: არაუფლებამოსილი პირების მიერ კამპანიის წარმოება (35 შემთხვევა), ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენება (26 შემთხვევა). ასევე ამ საჩივრებით სავარაუდო საარჩევნო დარღვევების გამო ადმინისტრაციული ოქმების შემოტანა იყო მოთხოვნილი (32 შემთხვევა) და ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნის კანონიერება იყო გასაჩივრებული (7 შემთხვევა). სულ 16 საჩივარი იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო ოთხი საჩივარი კი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიების და სასამართლოების მიერ საჩივრების განხილვა გამჭვირვალედ, ღია სხდომებზე ხდებოდა, პარტიებს წინასწარ ატყობინდნენ სხდომების ადგილისა და დროის შესახებ. ზოგადად, საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები საფუძვლიანი და დასაბუთებული იყო.

განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონი მოსამართლეებს სასამართლოში სარჩელის შემოტანასთან დაკავშირებული გადასახადის გადახდის გადავადების ან გაუქმების საშუალებას აძლევს.⁸⁸ მართალია არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების მიღების და სახელმწიფო ბაჟის გადახდის საქმის განხილვის შემდგომ პერიოდამდე გადავადების პრაქტიკა არსებობს, მაგრამ ამ მხრივ კონკრეტული რეგულაციების არ არსებობა სასამართლოებზე წვდომას პოტენციურად ამცირებს და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტურობას ძირს უთხრის.

სასურველია, რომ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრის ან სარჩელის შეტანისას ზედმეტი დაბრკოლებები არ არსებობდეს; სარჩელის შეტანასთან დაკავშირებული გადასახადი მინიმალური უნდა იყოს და სადაც შესაძლებელია მისი გაუქმება უნდა ხდებოდეს. კანონი ნათელი და თანმიმდევრული უნდა იყოს, რათა ერთპიროვნული ინტერპრეტირების საშუალება არ დარჩეს.

არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების აღრიცხვაზე საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები არიან პასუხისმგებელი, მათ დარღვევებზე რეაგირებისთვის ორ თვემდე ვადა გააჩნიათ. პრაქტიკაში კი საარჩევნო კომისიები დარღვევებზე რეაგირებას

⁸⁷ აქედან 98 საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიებში, 55 ცესკოში, 16 თბილისის საქალაქო სასამართლოში ხოლო 10 სააპელაციო სასამართლოში იქნა შეტანილი.

⁸⁸ პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის შეტანისას მინიმალური სახელმწიფო ბაჟი 100 ლარს (დაახლოებით 38 ევროს) შეადგენს, ხოლო სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟი მინიმუმ 150 ლარს (დაახლოებით 57 ევროს) შეადგენს.

ძირითადად ერთი თვის მანძილზე ახდენენ ხოლმე. ამ შემთხვევაში საჭირო გამოძიების და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელთ არსებული შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით ეს შესაძლოა გონივრული ვადა იყოს. ამავე დროს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიები საჩივრებზე რეაგირებისთვის ნაბიჯებს საკმარისად დროულად არ დგამდნენ ხოლმე. ასეთ საჩივრებზე ცესკო გაცილებით უფრო ნაკლებ დროს ანდომებდა.⁸⁹ არჩევნების დღემდე საარჩევნო კომისიებმა მხოლოდ 7 ადმინისტრაციული საქმე აღძრეს, ამასთან ერთად 32 საქმეზე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ ყოფილა მიღებული.

არჩევნების პერიოდში საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებების დროულად გამოძიება და საჩივრების რაც შეიძლება მოკლე ვადებში განხილვა დაევალოთ.

ადმინისტრაციულ დარღვევებთან დაკავშირებული დაახლოებით 30 სარჩელით საარჩევნო კომისიების მიერ საჯარო თანამდებობის პირების მიმართ ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებისთვის ადმინისტრაციული ზომების მიღება იყო მოთხოვნილი. კომისიებმა დარღვევების ფაქტები ოთხ შემთხვევაში დაადგინეს და შესაბამისი ადმინისტრაციული ზომების გატარების თაობაზე მიიღეს გადაწყვეტილებები. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებთან შეხვედრების დროს აღნიშნული კომისიების წევრები ამგვარ დარღვევებზე მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება და სათანადო გამოძიების ჩასატარებლად მათ ხელთ არსებული რესურსების ადეკვატურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს.

სასურველია, რომ განისაზღვროს ის კონკრეტული ორგანო, რომელიც ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს, გამოძიებებს ჩატარებს და შესაბამის ზომებს მიიღებს.

XIV. კენჭისყრის დღე (პირველი ტური)

8 ოქტომბერს კენჭისყრის დღეს, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ არჩევნებზე დაკვირვების მიზნით ადგილებზე 39 ქვეყნის წარმომადგენელი 420 დამკვირვებელი განათავსა, რომელთა შორის 324 გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებელი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენლები იყვნენ. კენჭისყრის დღე ზოგადად ორგანიზებულად ჩატარდა, თუმცა დღის განმავლობაში დამაბულობამ იმატა მას შემდეგ რაც რამდენიმე

⁸⁹ მაგალითად წინასაარჩევნო კამპანიაში უკანონოდ ჩართვასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ შემთხვევაში ცესკომ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება 5 დღეში შეძლო, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების შემთხვევაში გადაწყვეტილება 10 დღეში იქნა მიღებული.

ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი დაფიქსირდა როგორც საარჩევნო უბნების შიგნით ისე მათ გარეთ. მართალია ხმის მიცემის პროცესი ზოგადად დადებითად შეფასდა, ხმის დათვლის პროცესი პროცედურული პრობლემებისა და მზარდი დაძაბულობის გამო გაცილებით უარესი იყო. ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ, თუმცა ისინი ხშირად ერეოდნენ საარჩევნო კომისიების საქმიანობაში.

A. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების გახსნა მონიტორინგს დაქვემდებარებული 162 უბნიდან 153-ში დადებითად შეაფასეს. 80 საარჩევნო უბნის გახსნა მცირე დროით დაგვიანდა, თუმცა ამას ზოგად პროცესზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ყველა აუცილებელი საარჩევნო მასალა თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იყო, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ პროცესის გაგების ხარისხი დადებითად შეფასდა. პროცედურები ზოგადად სრულდებოდა, თუმცა გარკვეული დარღვევები მაინც დაფიქსირდა: საუბნო საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა რაოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გამოუცხადებიათ ან სათანადოდ არ აღურიცხავთ (მთლიანი შემთხვევების 10 და 13 პროცენტი შესაბამისად). მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 12 პროცენტში ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ჩარევის ფაქტები დაფიქსირდა.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 97 პროცენტზე მეტში ხმის მიცემის პროცესი დადებითად შეფასდა. იმ რამდენიმე შემთხვევაში როდესაც ხმის მიცემის პროცესი უარყოფითად იქნა შეფასებული ეს ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების საქმიანობაში არაუფლებამოსილი პირების ჩარევით იყო გამოწვეული. მართალია ადგილობრივი დამკვირვებლების (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 87 პროცენტი) და პარტიების წარმომადგენლების (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 99 პროცენტი) უბნებზე ყოფნამ პროცესის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი, ისინი მონიტორინგს დაქვემდებარებული საუბნო საარჩევნო კომისიების 6 პროცენტში აღნიშნული კომისიების საქმიანობას წარმართავდნენ და მათ მუშაობაში ერეოდნენ. დაფიქსირდა რამდენიმე სერიოზული დარღვევა, მათ შორის მარკირების სითხის მქონე პირებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მიცემა (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 2 პროცენტი) და ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 2 პროცენტი).

შემთხვევების უმრავლესობაში საარჩევნო უბნების შიდა და გარე მოწყობა უარყოფითად შეფასდა, მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 7 პროცენტზე მეტში ზედმეტი ხალხმრავლობა იქნა დაფიქსირებული, რაც კენჭისყრისთვის გამოყოფილი მცირე და არაადეკვატური ფართობით იყო განპირობებული. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების თითქმის 40 პროცენტი შშმ პირებისთვის კეთილმოუწყობელი იყო; თუმცა ბარიერებისგან თავისუფლად გამოცხადებულ უბნებზე შშმ პირებისთვის არსებული პირობები შედარებით უკეთესად შეფასდა. შემთხვევების 2 პროცენტზე მეტში საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის

დამკვირვებლების ინფორმაციით მათ პროცესზე დასაკვირვებლად კარგი თვალთახედვის არე არ ჰქონდათ ან დაკვირვების სათანადოდ ჩასატარებელი პირობები არ გააჩნდათ ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისგან ხელშეწყობა ნაკლებად ჰქონდათ, რამაც ზოგად შეფასებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.

სასურველია, რომ ხელისუფლებამ სათანადო ნაბიჯები გადადგას საარჩევნო უბნებისთვის სათანადო შენობების გამოყოფის კუთხით, რათა ამომრჩევლებს თავიანთი უფლებების განსახორციელებლად ღირსეული პირობები გააჩნდეთ.

B. ხმების დათვლა

ხმების დათვლის პროცესი გაცილებით უარესი იყო - აღნიშნული პროცესი ცუდად ან ძალიან ცუდად მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 31 პროცენტში შეფასდა. თუმცა უარყოფითი შეფასებები საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ პროცედურების არ დაცვას და არ ცოდნას უფრო უკავშირდებოდა ვიდრე შეგნებულ ფალსიფიკაციას: საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები გამოუყენებელი ბიულეტენების გაუქმებას არ ახდენდნენ (შემთხვევების 27 პროცენტი), გამოუყენებელი ან გაფუჭებული ბიულეტენების სათანადოდ შეფუთვის არ ახდენდნენ (შემთხვევების 20 პროცენტი), ერთმანეთში არ ურევდნენ გადასატანი და სტაციონარული საარჩევნო ყუთებში არსებულ ბიულეტენებს (შემთხვევების 9 პროცენტი), ნამდვილი და გაბათილებული ბიულეტენების განსაზღვრა თანმიმდევრულად და გონვირულად არ ხდებოდა (შემთხვევების 9 და 11 პროცენტი შესაბამისად) და ხმების დათვლის შემდეგ ოქმებში მოცემული მონაცემების სათანადოდ გადამოწმება არ ხდებოდა (შემთხვევების 11 პროცენტი). მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 12 პროცენტში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობა არ დაუდგენიათ და შესაბამისი ციფრი გამოკრულ ოქმში და საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალში არ შეუტანიათ. ხმების დათვლის ბოლოს ბიულეტენების შეფუთვა პროცედურების მიხედვით არ მომხდარა (შემთხვევების 13 პროცენტი). მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების ნახევარში ხმების დათვლის პროცესში არაუფლებამოსილი პირები იღებდნენ მონაწილეობას. საარჩევნო უბნების მახლობლად დამაბულობა ან არეულობა იქნა დაფიქსირებული (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 13 პროცენტი). გარდა ამისა, სხვადასხვა პირების მიერ ხმების დათვლის პროცესის შემლის ან ჩაშლის და ასევე მათ მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დაშინების მცდელობები იქნა აღრიცხული (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 5 პროცენტი).

ხმების დათვლის პროცესის პატიოსნებისა და გამჭვირვალობის შეფასებაზე უარყოფითი ზეგავლენა ასევე სხვა სერიოზულმა დარღვევებმაც მოახდინეს, მათ შორის: საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ოქმების ხელმოწერა მათ შევსებამდე (შემთხვევების 11 პროცენტი) და გაბათილებული ბიულეტენების რაოდენობის და ასევე არჩევნებში მონაწილე სუბიექტების სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების ოდენობის სათანადოდ არ აღრიცხვა (შემთხვევების 16 პროცენტი). საუბნო საარჩევნო კომისიების 7 პროცენტზე მეტში დამკვირვებლები პროცესს კარგად ვერ ხედავდნენ. მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 27 პროცენტში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ოქმების შევსება უჭირდათ. ზოგადად, საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა აზრით კენჭისყრის დღის პროცედურები ზედმეტად

გართულებული იყო, რაც პროცესს ანელებდა ისე რომ ამით აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობა და პატიოსნება დიდად არ იზრდებოდა.⁹⁰

ხელისუფლებას კენჭისყრის დღის პროცედურების მაქსიმალურად გამარტივების საკითხი შეუძლია განიხილოს, თუმცა ამავე დროს პროცესის პატიოსნება კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დადგეს, ასევე შესაძლებელია საარჩევნო მასალების განახლების და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობის შემცირების საკითხებიც იქნას განხილული.

ხმის მიცემის პროცესის ბოლოსკენ და ხმების დათვლის დროს არჩევნების უსაფრთხოების საკითხი პრობლემატური გახდა, რადგან ოთხ საარჩევნო უბანზე ძალადობრივმა დაპირისპირებებმა პროცესზე ზეგავლენა მოახინეს.⁹¹ ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი შეწყვეტილი იყო მანამ სანამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა და ამომრჩეველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა არ გახდა შესაძლებელი. ამ ოთხ საარჩევნო უბანზე და მათ გარეთ მომხდარი თავდასხმების შედეგად მოხდა საარჩევნო მასალების განადგურება, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების დაზიანება, ხმების დათვლის პროცესის შეწყვეტა და საბოლოო ჯამში შედეგების გაუქმება.

C. ხმების დაჯამება

ხმების დაჯამების პროცესი უფრო დადებითად იქნა შეფასებული. მონიტორინგს დაქვემდებარებული 58 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 46-ში პროცესი კარგად ან ძალიან კარგად იქნა შეფასებული. დანარჩენ საოლქო საარჩევნო კომისიაში პროცედურები არ იქნა დაცული (6 შემთხვევა) და დაკვირვების კუთხით შეზღუდვები არსებობდა (5 შემთხვევა). მთავარ პრობლემას საარჩევნო მასალების მისაღებად არაადეკვატური სათავსოების ასეობა წარმოადგენდა (მონიტორინგს დაქვემდებარებულ 17 საოლქო საარჩევნო კომისიაში), რამაც 11 შემთხვევაში ზედმეტი ხალხმრავლობა გამოიწვია, ამან კი თავის მხრივ ხმების დაჯამების პროცესზე მოახდინა ზეგავლენა. 12 საარჩევნო ოლქში შედეგების ოქმების მისაღებად და აღსარიცხად გამოყოფილი სათავსოები არაადეკვატური იყო, გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიებში საუბნო საარჩევნო კომისიებიდან გამოგზავნილი ოქმების შემოწმებისას რვა შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ოქმები სწორად და სრულად არ ყოფილა შევსებული. ასევე რვა შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში არაუფლებამოსილი პირების ყოფნა დაფიქსირდა, ცხრა შემთხვევაში ოქმების სწორად შემოწმება არ მომხდარა.

პროცედურების მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებში აღმოჩენილი შეცდომების გასწორება მხოლოდ და მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის ერთი წევრის ახსნა-განმარტებითი ბარათის საფუძველზეა შესაძლებელი, რომელშიც დაშვებული შეცდომის მიზეზები უნდა იყოს განმარტებული. სხვადასხვა მიზეზების გამო დაშვებული შეცდომების გასწორება გახდა საჭირო, მათ შორის აღნიშნული შეცდომები მაჟორიტარული არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული

⁹⁰ „კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის“ 31-ე პარაგრაფის მიხედვით „ხმის მიცემის პროცედურები მარტივი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია ამ კრიტერიუმების დაცვა.“

⁹¹ მარნეულის 48-ე საარჩევნო უბანი, ქუთაისის 90-ე საარჩევნო უბანი და ზუგდიდის 108-ე და 79-ე საარჩევნო უბნები.

ოქმების შევსებისას ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების (საუბარია მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველებზე) დათვლასთან დაკავშირებული გაურკვეველი ინსტრუქციებით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, შედეგების ოქმების შესწორება საჩივრებითაც იყო მოთხოვნილი, რასაც საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილება სჭირდებოდა. ცესკოს ინფორმაციით, საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო უბნებზე არსებული ოქმების შესწორება შემთხვევების 9.54 (პროპორციული არჩევნები) და 7.46 პროცენტში (მაჟორიტარული არჩევნები) მოხდა. გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიამ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მოწოდებული ოქმების 0.5 პროცენტი შეასწორა. ამასთან ერთად, საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმთა დაახლოებით 29 პროცენტს თან ახლდა ახსნა-განმარტებითი ბარათები, რომლებიც პროცედურულ საკითხებს ეხებოდა. ბევრ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიები სავარაუდო შეცდომებს ზედაპირულად იძიებდნენ, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისგან (რომლებსაც პროცესის შემდგომ ეტაპებზე უკავშირდებოდნენ) იღებდნენ ზოგად ახსნა-განმარტებით ბარათებს და ოქმებში შესწორებებს ამ ბარათების საფუძველზე ახდენდნენ.

ცესკომ ოლქებიდან შემოსული წინასწარი შედეგების გამოცხადება და ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების გამოქვეყნება 9 ოქტომბრის 01:00-დან დაიწყო. ეს პროცესი დაგვიანებით დაიწყო, რადგან ცესკოს შემაჯამებელი ოქმების საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება საოლქო საარჩევნო კომისიებისგან მათი მიღებისთანავე ევალუა. ცესკოს განცხადებით წინასწარი შედეგების გამოქვეყნება მხოლოდ მაშინ დაიწყო რაც რეპრეზენტატიული ნიმუშისთვის საჭირო რაოდენობის შედეგები იქნა დაგროვებული. წინასწარი შედეგებით ამომრჩეველთა აქტივობამ 51.63 პროცენტი შეადგინა.

XIV. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ განვითარებული მოვლენები

A. საჩივრები და სარჩევნო

8 ოქტომბრის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებმა 1,168 საჩივარი მიიღეს, რომლებიც ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმებს და მათი შევსების მანერას ეხებოდა. ბევრი საჩივარი ზოგადი ხასიათის იყო და მათში კონკრეტული ფაქტები ან დარღვევების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოცემული არ ყოფილა. უფრო დასაბუთებული საჩივრები ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმებში მოცემული მონაცემების უზუსტობას, მათი ჩასწორების მანერას და ხმების დათვლის პროცესში დაფიქსირებულ სხვა პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა. ძირითადად საჩივრები საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისგან (307 საჩივარი), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისგან (239), დემოკრატიული მოძრაობისგან (234) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან (221) იქნა მიღებული. ამ საჩივრებიდან 265 დაკმაყოფილდა, 166 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 485 საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული.⁹² საჩივრების უმრავლესობა რამდენიმე მოთხოვნას შეიცავდა.

⁹² გარდა ამისა, 229 საჩივარი განუხილველი დარჩა, 23 საჩივარი უკან იქნა გატანილი, ხოლო 24 საჩივარი სავარაუდო ადმინისტრაციულ დარღვევებს ეხებოდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ხმების თავიდან გადათვლის შესახებ 430 და საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გაუქმების შესახებ 337 მოთხოვნის თაობაზე ეცნობა. საარჩევნო კოდექსში არ არის განსაზღვრული ის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ხმების თავიდან გადათვლა ან არჩევნების შედეგების გაუქმება ხდება. 5 შემთხვევაში ხმების თავიდან გადათვლის თხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო 10 შემთხვევაში არჩევნების შედეგები გაუქმდა, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებებს არათანმიმდევრული ხასიათი ჰქონდა.⁹³

სასურველია, რომ საარჩევნო კოდექსში ნათლად იქნას განმარტებული საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გაუქმების და ხმების ხელახლა დათვლის კრიტერიუმები, რათა აღნიშნული წესები ერთნაირად იქნას გამოყენებული.

ბევრ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა დარღვევის ფაქტები ვერ დაადგინეს, თუმცა საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილება მაინც მოახდინეს (საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ დისციპლინარული სანქციების გამოყენების სახით).⁹⁴ საოლქო საარჩევნო კომისიებს დისციპლინარული სანქციების გამოყენების კუთხით ერთიანი პრაქტიკა არ გააჩნდათ. გარდა ამისა, საჩივრების საფუძვლიანად გამოკვლევა არ ხდებოდა, რაც ნაწილობრივ საჩივრების განხილვისთვის გამოყოფილი დროის სიმცირით და საჩივრების რაოდენობით იყო განპირობებული.⁹⁵ ამის შედეგად გადაწყვეტილებების უმრავლესობა სათანადოდ დასაბუთებული არ ყოფილა, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.11-ე პარაგრაფს ეწინააღმდეგება.⁹⁶

სასურველია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა საჩივრის საფუძვლიანი შესწავლა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეგროვების და გადამოწმების მეშვეობით განახორციელოს. შესაძლებელია კენჭისყრის დღის შემდეგ შემოსული საჩივრების გამოსაკვლევად საოლქო საარჩევნო კომისიების პერსონალის გაზრდის საკითხი იქნას განხილული.

ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ

⁹³ საოლქო საარჩევნო კომისიებს შედეგების გაუქმებისთვის ან ხმების თავიდან გადათვლისთვის წევრთა 2/3-ის ხმა სჭირდება. ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო კრიტერიუმების გარკვევის მცდელობისას ცესკომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას მხოლოდ ამ მოთხოვნაზე მიუთითა.

⁹⁴ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ დისციპლინარული ზომების მიღების შესახებ სულ 718 მოთხოვნა იქნა მიღებული, საჩივრების უმრავლესობაში აღნიშნული მოთხოვნები დამატებითი მოთხოვნის სახით იყო წარმოდგენილი.

⁹⁵ მაგალითად 16 ოქტომბრის საქმე #3/7552-16-ში (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ვაკის მე-2 საოლქო საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ), თბილისის საქალაქო სასამართლომ ცესკოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, თუმცა აღიარა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიას ერთ-ერთი სარჩელის ავტორის მოთხოვნებთან დაკავშირებით გამოძიება არ ჩატარებია და საოლქო საარჩევნო კომისიას სახელმწიფო (სასამართლო) ბაჟის გადახდა დააკისრა.

⁹⁶ [ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.11-ე პარაგრაფის](#) მიხედვით „პირის მიმართ მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები სრულიად მართლზომიერი უნდა იყოს“.

რამდენიმე იზოლირებულ შემთხვევაში საჩივრების ავტორებს საჩივრების განხილვის დროსა და ადგილის შესახებ არ აცნობეს და გადაწყვეტილებების ასლები არ მიაწოდეს.⁹⁷

32 სარჩელი საოლქო/საქალაქო სასამართლოებში იქნა შეტანილი; აქედან ხუთი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული (დისციპლინარული სანქციების გატარების სახით). საოლქო/საქალაქო სასამართლოების მიერ მიღებული 16 გადაწყვეტილება თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში იქნა გასაჩივრებული. საფუძვლიანი გამოძიების ნაკლებობა სასამართლო დონეზე დაფიქსირდა. გადაწყვეტილებები წარმოდგენილ დოკუმენტებს ეყრდნობოდა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას სასამართლოების მიერ მოწმეების გამოძახება ან დამატებითი დოკუმენტური მტკიცებულებების მოთხოვნა არ დაუფიქსირებია. ზოგ შემთხვევაში სასამართლო მოსმენების დროს მოსამართლეები ზეპირად აღიარებდნენ, რომ სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ მათ მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლის უფლებას.

სასურველია, რომ საარჩევნო დავებთან დაკავშირებით სასამართლოების ცნობიერების შემდგომი ამაღლება მოხდეს, რათა მათ ბოლომდე შეძლონ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის კუთხით საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

საოლქო საარჩევნო კომისიებმა შედეგების საბოლოო დაჯამება იმ დროს მოახდინეს, როდესაც ზოგიერთი საჩივარი ჯერ კიდევ სააპელაციო სასამართლოში განხილვებოდა. საარჩევნო კოდექსის გარკვეული დებულებების მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიებმა შედეგების საბოლოო დაჯამებამდე სასამართლოების გადაწყვეტილებებს უნდა დაელოდონ, თუმცა კოდექსის სხვა დებულებები საოლქო საარჩევნო კომისიებს შედეგების დაჯამების გაგრძელების უფლებას იმ დროსაც აძლევს, როდესაც საოლქო და საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრები ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია.⁹⁸

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ერთი ხოლო დემოკრატიულმა მოძრაობამ ცხრა საჩივარი წარადგინა, რომლითაც საოლქო საარჩევნო კომისიების საბოლოო ოქმები იყო გასაჩივრებული. ცესკომ აღნიშნული საჩივრები განხილვის გარეშე დატოვა, რადგან აღნიშნული საჩივრები არაუფლებამოსილი სუბიექტების მიერ იქნა შეტანილი.⁹⁹ 23 ოქტომბერს ცესკომ პროპორციული არჩევნების შედეგების ოქმი გამოაქვეყნა. აღნიშნული შედეგები თბილისის საქალაქო სასამართლოში ლეიბორისტული პარტიის, დემოკრატიული მოძრაობის და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის მიერ წარუმატებლად იქნა გასაჩივრებული. ლეიბორისტული პარტიის საჩივრის მიხედვით

⁹⁷ „კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის“ მიხედვით განხილვებში ორივე მხარის მონაწილეობის უფლება დაცული უნდა იყოს.

⁹⁸ იხილეთ 21-ე, 75-ე და 124-ე მუხლები.

⁹⁹ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საჩივარი პარტიის წარმომადგენელმა მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარადგინა, ხოლო დემოკრატიული მოძრაობის საჩივრები პარტიის წარმომადგენელმა ცესკოში შეიტანა, კანონის მიხედვით კი საჩივრები თავად პარტიებმა უნდა წარადგინონ.

წინასაარჩევნო პერიოდში ისეთ საარჩევნო დარღვევებს ჰქონდა ადგილი როგორებიცაა სახელმწიფო რესურსების არასათანადოდ გამოყენება, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამომრჩევლებზე ზეწოლა და წინასაარჩევნო კამპანიაში არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა. დემოკრატიულმა მოძრაობამ საბოლოო შედეგები კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების გამო გაასაჩივრა, ხოლო პატრიოტთა ალიანსი მანდატების განაწილებას აპროტესტებდა.¹⁰⁰

საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დადებული შედეგების გაუქმების 337 მოთხოვნა იქნა დაფიქსირებული, აქედან 10 დაკმაყოფილდა. იმ ოთხ საარჩევნო უბანზე, რომელთა შედეგების გაუქმებას ზოგად შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო, განმეორებით მაჟორიტარული არჩევნები 22 ოქტომბერს გაიმართა.¹⁰¹ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ამ ოთხ უბანზე ხმების მიცემის და დათვლის პროცესს დააკვირდა, ზოგადად ეს პროცესი მშვიდად და ორგანიზებულად ჩატარდა; თუმცა დამკვირვებლების, პარტიების და მედიის წარმომადგენლების გამო წარმოქმნილმა ზედმეტმა ხალხმრავლობამ ამ უბნებზე არსებულ ატმოსფეროზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.¹⁰²

B. მეორე ტურისთვის მზადება

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობამ არჩევნების პირველი ტურის წინასწარი შედეგები აღიარა. ბოიკოტის გამოცხადების შესახებ მრავალრიცხოვანი მოწოდებების მიუხედავად ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მეორე ტურში მონაწილეობის და პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო. ერთი პარტიის ხელში კონსტიტუციული უმრავლესობის და შესაბამისად ძალაუფლების კონცენტრაციის საშიშროების შესახებ მსჯელობამ პოლიტიკურ დისკურსზე ზეგავლენა მოახდინა. ორმა პოლიტიკურმა პარტიამ მხარი დაუჭირა იმ მოწოდებებს, რომლებიც მეორე ტურში ოპოზიციის მხარდაჭერას ეხებოდა.¹⁰³ თავისუფალი დემოკრატების ორი კანდიდატიდან

¹⁰⁰ 17 ოქტომბერს საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა, რომელშიც საარჩევნო კოდექსსა და კონსტიტუციას შორის მანდატების განაწილების პროცედურასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობაზე მიუთითებდა. სარჩელი მიღებული იქნა. კანონის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელის განსახილველად ცხრა თვე გააჩნია.

¹⁰¹ განმეორებითი არჩევნები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის ორ უბანზე (38-ე და 79-ე საარჩევნო უბნები) და სოფელ განმუხურის ერთ საარჩევნო უბანზე (108-ე უბანი) გაიმართა, განმეორებითი არჩევნები მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოს 48-ე საარჩევნო უბანზეც ჩატარდა.

¹⁰² ზედმეტი ხალხმრავლობა განსაკუთრებით პრობლემატური მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში იყო (48-ე უბანი) სადაც პარტიების წარმომადგენლების და დამკვირვებლების ხმის მიცემის და ხმების დათვლის პროცესებში ჩარევა იქნა დაფიქსირებული. იმ დროს როცა ზუგდიდში ხმების დათვლის და დაჯამების პროცესი დადებითად შეფასდა, ისეთმა პროცედურულმა შეცდომებმა როგორებიცაა ამომრჩეველთა სიების არასწორი მართვამ და გადასატანი ყუთიდან მიღებული ბიულეტენების არასწორი დათვლამ მარნეულში მიმდინარე საარჩევნო პროცესზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. დარღვევებთან დაკავშირებით მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიაში სულ რვა საჩივარი, ხოლო ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში კი ერთი საჩივარი შევიდა.

¹⁰³ ეს მოწოდება კერძო პირებისგან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, მოდიოდა, მას მხარი პარტია ახალმა საქართველომ და ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა გირჩმა დაუჭირეს.

ერთ-ერთმა და ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთმა კანდიდატმა არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურების მოხსნის სურვილის შესახებ განაცხადეს.¹⁰⁴

150 პარლამენტის წევრიდან 77 ერთრანდიანი პროპორციული სისტემით იქნა არჩეული. ქართულმა ოცნებამ ხმების 48.68 პროცენტი მიიღო, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 27.11 პროცენტი, ხოლო საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა კი 5.01 პროცენტი, ამ შედეგებით აღნიშნულმა პარტიებმა საარჩევნო ბარიერი გადალახეს და მანდატების პროპორციული წესით განაწილების უფლება მიიღეს. ამ პარტიებმა/ბლოკებმა პარლამენტში პროპორციული წესით შესაბამისად 44, 27 და 6 ადგილი მიიღეს. 73 მაჟორიტარული ადგილიდან 23 კანდიდატის არჩევა პირველ ტურში მოხდა; ყველა მათგანი ქართული ოცნების წარმომადგენელი იყო. 19 ოქტომბერს, საოლქო საარჩევნო კომისიებისგან შედეგების ყველა ოქმის მიღების შემდეგ, ცესკომ 30 ოქტომბრისთვის მაჟორიტარებისთვის განკუთვნილი დანარჩენი 50 ადგილის დასაკავებლად არჩევნების მეორე ტური დანიშნა.

არასაკმარისი რეგულაციების გათვალისწინებით, 17 ოქტომბერს ცესკომ გამოსცა დადგენილება, რომლითაც მეორე ტურისთვის საარჩევნო პროცესის რამდენიმე ასპექტი იქნა დარეგულირებული. აღნიშნული დადგენილებით ამომრჩეველთა სიების განახლების წესები დადგინდა, მოხდა არსებული საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების გახანგრძლივება, პარტიების ზოგიერთი წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა და დამკვირვებლების აკრედიტაციის გახანგრძლივება. ზოგიერთ შემთხვევაში დადგენილებაში პროცედურების განსაზღვრისას ცესკომ კანონის ინტერპრეტირება მოახდინა. მაგალითად მიუხედავად იმისა რომ ეს კანონით ნათლად არ არის განსაზღვრული, აღნიშნული დადგენილებით საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლების ყოლის უფლება მხოლოდ მეორე ტურში მონაწილე პარტიებს, ბლოკებსა და კანდიდატებს მიენიჭათ. დემოკრატიულმა მოძრაობამ აღნიშნული ინტერპრეტაცია წარუმატებლად გაასაჩივრა ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და შემდგომ სააპელაციო სასამართლოში.¹⁰⁵ გარდა ამისა, აღნიშნული დადგენილებით რამდენიმე პროცედურისთვის საარჩევნო კოდექსში მოცემულ ვადებზე უფრო მცირე ვადები იქნა განსაზღვრული იმ დროს როცა საარჩევნო კოდექსში მოცემული ეს ვადები ზოგადი ხასიათისაა და მხოლოდ პირველი ან მეორე ტურისთვის არ არის

¹⁰⁴ 10 ოქტომბერს თავისუფალი დემოკრატიების თავმჯდომარემ და გორში მაჟორიტარმა კანდიდატმა არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ განაცხადა. 23 ოქტომბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა განაცხადა, რომ ის არჩევნებში აღარ მიიღებდა მონაწილეობას. თუმცა ცესკოს ინტერპრეტაციით, კანდიდატურის მოხსნა პირველ ტურამდე 10 დღით ადრეა შესაძლებელი და თუ კანდიდატი ამ ვადის შემდეგ განაცხადებს საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შესახებ მისი სახელი და გვარი მაინც დარჩება ბიულეტენებში და მისთვის მიცემული ხმები მაინც იქნება დათვლილი.

¹⁰⁵ დავის საგანი იმ პარტიების/ბლოკების წარმომადგენელთა უფლებამოსილების შეწყვეტის კანონიერება იყო, რომლებიც მეორე ტურში არ მონაწილეობენ; საჩივრის ავტორთა მიხედვით არჩევნები პროცესია, რომელიც მხოლოდ მეორე ტურის დასრულების შემდეგ მთავრდება.

განკუთვნილი.¹⁰⁶ 23 ოქტომბერს, არჩევნებამდე შვიდი დღით ადრე, მეორე ტურთან დაკავშირებულ პროცედურებში არსებული გარკვეული ნაკლოვანებების და წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად ცესკომ მეორე დადგენილება მიიღო.

მეორე ტურთან დაკავშირებულ რეგულაციებზე გვიან მიღებულმა გადაწყვეტილებებმა საარჩევნო ადმინისტრირების პროცესის ინკლუზიურობაზე და ასევე ცესკოს მიერ ისეთ საკითხებზე წინასწარ რეაგირების შესაძლებლობაზე მოახდინა ზეგავლენა როგორებიცაა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, არჩევნების დღის პროცედურების დროულად განახლება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება. ამის მიუხედავად, არჩევნების მეორე ტურისთვის მზადებისთვის დარჩენილ შეზღუდულ დროში ეს პროცესები კარგად იყო მართული და ვადები ზოგადად დაცული იქნა.

ცესკოს დადგენილებით პირველი ტურისთვის შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებს მეორე ტურისთვის მუშაობის გაგრძელების საშუალება მიეცათ. პირველი ტურის დროს დასაქმებული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა უმრავლესობამ მეორე ტურშიც გააგრძელეს მუშაობა; ამის მიუხედავად, ზოგ საოლქო საარჩევნო კომისიას ვაკანტური პოზიციების შესავსებად სამუშაოზე აყვანის პროცესის კვლავ ჩატარება მოუხდა. პარტიებს საუბნო საარჩევნო კომისიებში მათი წარმომადგენლების შეცვლა კენჭისყრის დღემდე ოთხი დღით ადრე პერიოდში შეეძლოთ. ორმა პოლიტიკურმა პარტიამ (დემოკრატიულმა მოძრაობამ და თავისუფალმა დემოკრატებმა) საუბნო საარჩევნო კომისიებიდან საკუთარი წარმომადგენლები მათი შემცვლელების დასახელების გარეშე გაიწვიეს. საოლქო საარჩევნო კომისიებმა ეს ვაკანტური ადგილები უპარტიო პირებით ღია კონკურსის საფუძველზე შეავსეს.

ცესკოს ტრენინგ ცენტრში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის მეორე ტურთან დაკავშირებულ პროცედურებზე დამატებითი ტრენინგები ჩატარდა. ტრენინგები, რომლებსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, კარგად იქნა ჩატარებული, ამ ტრენინგებზე პირველი ტურის დროს (მათ შორის საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ) დაფიქსირებული ზოგიერთი პროცედურული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე იქნა გამახვილებული ყურადღება.

¹⁰⁶ საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა სპეციალური სიები კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს ხუთი დღით ადრე უნდა იქნას შედგენილი, თუმცა 69/2016-ე დადგენილების მიხედვით ამისთვის სამდღიანი ვადაა გამოყოფილი. საარჩევნო კოდექსის 29-ე მუხლის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტა არჩევნების დღემდე მაქსიმუმ 15 დღით ადრე შეუძლია, მაშინ როცა დადგენილებით ამ პირებს არჩევნების მეორე ტურის წინ ოთხი დღით ადრე ხოლო განმეორებითი არჩევნების წინ სამი დღით ადრე შეეძლოთ საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტა (განმეორებითი არჩევნები ოფიციალურად მათ გამართვამდე სამი დღით ადრე იქნა დანიშნული). საარჩევნო კოდექსის მე-40 მუხლის მე-6 და მე-7 პარაგრაფების მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი წარმომადგენლების (დამკვირვებლების) სიების წარმოდგენა კენჭისყრის დღემდე ორი დღით ადრე შეუძლიათ, ხოლო ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს მათი წარმომადგენლების სიების წარმოდგენა კენჭისყრის დღემდე ხუთი დღით ადრე შეუძლიათ, მაშინ როდესაც ამ დადგენილების მიხედვით აღნიშნულ ორგანიზაციებს მათი დამკვირვებელთა სიების წარმოდგენა კენჭისყრის დღემდე სამი დღით ადრე შეეძლოთ.

XVII. კენჭისყრის დღე (მეორე ტური)

A. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი

კენჭისყრის დღე მშვიდ გარემოში, ორგანიზებულად და პროფესიონალურად ჩატარდა. დამკვირვებლებმა პროცესი მთლიანობაში დადებითად შეაფასეს, რადგან საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები პირველ ტურთან შედარებით უკეთესად იყვნენ მომზადებული, ხოლო პროცედურების დაცვა გაუმჯობესდა.

მონიტორინგს დაქვემდებარებული 63 საარჩევნო უბნიდან 2-ის გარდა ყველგან უბნების გახსნის პროცესი დადებითად იქნა შეფასებული. საარჩევნო უბნების გახსნის დაგვიანების ფაქტები შესამჩნევად შემცირებული იყო. პროცედურები ძირითადად დაცული იყო, თუმცა გარკვეული შეცდომები მაინც დაფიქსირდა, მაგალითად ისეთები როგორებიცაა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩევლების და ბიულეტენების რაოდენობის არასათანადოდ აღრიცხვა (შესაბამისად ორი და ოთხი შემთხვევა) და პარტიების წარმომადგენლების საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დასაკვირვებლად არ გამწესება (11 საარჩევნო უბანზე). უბნებზე ადგილობრივი დამკვირვებლების სიმრავლე შეინიშნებოდა. ხუთ შემთხვევაში ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები პროცესში ჩაერივნენ. საარჩევნო უბნების გახსნას უფრო მეტი არაუფლებამოსილი პირი დაესწრო, მათ შორის ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციის და დაცვის სამსახურის წარმომადგენლები იყვნენ.

ხმის მიცემის პროცესი კარგად ან ძალიან კარგად მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 97 პროცენტში შეფასდა. უარყოფითი შეფასებები ძირითადად არაუფლებამოსილი პირების პროცესში ჩარევით, ზედმეტი ხალხმრავლობით, დაშინების ფაქტებით და დაძაბულობით იქნა განპირობებული. ზედმეტი ხალხმრავლობა მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 5 პროცენტში დაფიქსირდა, არაუფლებამოსილი პირების გაზრდილი რაოდენობა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა საქმიანობაში ჩარევის ფაქტები მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 6 პროცენტში იქნა დაფიქსირებული; საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა საქმიანობაში ძირითადად ადგილობრივი დამკვირვებლები ერიოდნენ (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 4 პროცენტი), რასაც კვლავ უარყოფითი ეფექტი ჰქონდა. საარჩევნო უბნების გარეთ ადამიანთა დიდი ჯგუფების შეკრება მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 38 პროცენტში დაფიქსირდა; ხოლო მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 3 პროცენტში ამომრჩეველთა დაშინების ნიშნები იქნა დაფიქსირებული. უარყოფითი შეფასებები ასევე გამოწვეული იყო ჯგუფური ხმის მიცემის (9 შემთხვევა) და სხვის მაგივრად ხმის მიცემის (1 შემთხვევა) ფაქტებით; გარდა ამისა, რამდენიმე სერიოზული დარღვევა იქნა დაფიქსირებული, მაგალითად ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები და ჯგუფური ხმის მიცემა (შესაბამისად 10 და 8 შემთხვევა) და ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაყრის ნიშნები. მარკირების სითხის მქონე ამომრჩევლები 13 შემთხვევაში იყვნენ იდენტიფიცირებული (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 2.5 პროცენტი), ხოლო ერთი პირის მიერ სხვადასხვა ამომრჩევლებისთვის დახმარების გაწევის მცდელობა (3 შემთხვევა) კი მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 0.5

პროცენტში იქნა დაფიქსირებული. ამის მიუხედავად, პროცედურების დაცვის ხარისხი და ამომრჩევლების მიერ საარჩევნო პროცესის გაგება მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებული.

B. ხმების დათვლა

ხმების დათვლის პროცესი მონიტორინგს დაქვემდებარებული 53 საარჩევნო უბნიდან 51-ში დადებითად იქნა შეფასებული. თუმცა, სამ შემთხვევაში, პროცესში ადგილობრივი დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლების ჩარევა იქნა დაფიქსირებული. პროცედურული შეცდომები ამომრჩეველთა რაოდენობის აღრიცხვისას (8 შემთხვევა), ხმების დათვლამდე გამოუყენებელი ბიულეტენების გაბათილებისას (7 შემთხვევა) და გამოუყენებელი ან გაფუჭებული ბიულეტენების შეფუთვისას (4 შემთხვევა) იქნა დაფიქსირებული. 14 შემთხვევაში ხელმოწერილი ოქმი არ იქნა გამოკრული ან საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული. ნაღდი და ძალადაკარგული ბიულეტენების დადგენის პროცედურების შესრულება გაუმჯობესებული იყო, აღნიშნული პროცედურები, 2 შემთხვევის გარდა, თანმიმდევრულად სრულდებოდა მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა საარჩევნო უბანზე. მთლიანობაში, დამკვირვებლებმა პირველ ტურთან შედარებით ხმების დათვლის პროცესის გაუმჯობესება დააფიქსირეს, გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები პირველ ტურთან შედარებით ფურო ეფექტურად მუშაობდნენ.

C. ხმების დაჯამება

ხმების დაჯამების პროცესი დადებითად მონიტორინგს დაქვემდებარებული 43 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 42-ში შეფასდა. ოთხ შემთხვევაში ადგილზე არაუფლებამოსილი პირები იმყოფებოდნენ, თუმცა ისინი პროცესში არ ჩარეულან. ადგილის ნაკლებობა გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა, თუმცა ზედმეტი ხალხმრავლობა პრობლემატური მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო. პროცესი შეფასდა როგორც უფრო გამჭვირვალე, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა მიერ საჩივრებზე რეაგირების უნარი გაუმჯობესებული იყო. პირველი ტურისგან განსხვავებით ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული შედეგების ოქმების საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება 22:00 საათიდან დაიწყო, ხოლო პირველი დაჯამებული წინასწარი შედეგები 31 ოქტომბრის 09:00-ზე გამოაქვეყნა. საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების ოქმები გაცილებით უფრო ზუსტი იყო, აქედან გამომდინარე მათში შეტანილი შესწორებების რაოდენობა უფრო მცირე იყო.¹⁰⁷

XVIII. არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები

ცესკოს მონაცემებით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა მეორე ტურთან და საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგებთან დაკავშირებით სულ 295 საჩივარი მიიღეს. აქედან 77

¹⁰⁷ საუბნო საარჩევნო კომისიებმა შედეგების ოქმების 3.82 პროცენტი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებმა კი ოქმების 0.63 პროცენტი შეასწორეს; საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების 5.47 პროცენტს თან ახლდა ახსნა-განმარტებითი ბარათები, რომლებიც სხვადასხვა პროცედურულ საკითხებს ეხებოდა.

საჩივარი დაკმაყოფილდა, 45 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 129 საჩივარი არ დაკმაყოფილებულა. საჩივრების უმრავლესობა მარნეულის რაიონში იქნა შეტანილი, მას შემდეგ ქუთაისი და ბათუმი მოჰყვებიან. საჩივრები გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებულ დარღვევებს, საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნას, საარჩევნო უბნებზე კამპანიის ჩატარებას, საჩივრების რეგისტრირებაზე უარის ფაქტებს და დამკვირვებლების და მედიის წარმომადგენლების უბნებიდან გაძევებას ეხებოდა. საჩივრები ასევე ოქმების არასწორად დაჯამებას, ხმების დათვლის პროცედურებისა და დაფიქსირებულ დარღვევებს (მაგალითად ოქმებზე ბეჭდების ან ხელმოწერების არ არსებობა) და გაბათილებული ბიულეტენების დადგენის პროცესს ეხებოდა.¹⁰⁸

პირველ ტურთან შედარებით კენჭისყრის შედეგების გაუქმების (32 შემთხვევა) და საარჩევნო უბნების შედეგების ხელახლა გადათვლის (24 შემთხვევა) მოთხოვნები შემცირებული იყო; საჩივრებით ძირითადად დისციპლინარული ზომების გატარება (188 შემთხვევა) იყო მოთხოვნილი. საოლქო საარჩევნო კომისიები უფრო მომზადებულები იყვნენ და საჩივრებზე რეაგირების კუთხით უფრო კომპეტენტური ჩანდნენ, გარდა ამისა, ისინი დარღვევების გამო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ სანქციების გატარების კუთხით უფრო მეტ მზადყოფნას გამოხატავდნენ.

მთლიანობაში, საოლქო/საქალაქო სასამართლოებში 17 სარჩელი იქნა შეტანილი, აქედან ერთ-ერთი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. გარდა ამისა, 8 სარჩელი სააპელაციო სასამართლოში იქნა შეტანილი, აქედან ორი ნაწილობრივ, ხოლო ერთი სრულად იქნა დაკმაყოფილებული. ამ შემთხვევებში სასამართლოებმა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ დისციპლინარული ზომები მიიღეს. მარნეულის და მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები წარუმატებლად იქნა გასაჩივრებული საოლქო/საქალაქო სასამართლოებში. საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა და დემოკრატიულმა მოძრაობამ წარუმატებლად გაასაჩივრეს ცესკოს საბოლოო შედეგები. საჩივრების გარკვეული რაოდენობა უსაფუძვლო იყო; გარდა ამისა, საჩივრების ავტორები ხშირად არ ცხადდებოდნენ სასამართლო სხდომებზე.

კენჭისყრის დღის შემდეგ პროკურატურამ მინიმუმ 11 სისხლის სამართლის საქმე აღძრა, მათ შორის ყალბი საარჩევნო სამკერდე ნიშნების გამოყენებისთვის, მუქარებისთვის და ძალადობრივი ინციდენტებისთვის. რამდენიმე გამოძიება მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე (ოფიციალური საჩივრების დალოდების გარეშე) იქნა დაწყებული, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს. 7 ნოემბრის მდგომარეობით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას 21 საჩივრის შესახებ აცნობეს, რომლებითაც არჩევნებთან

108

მაგალითად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიტანა საჩივარი, რომლის მიხედვითაც 43 ბიულეტენის გაბათილება უკანონოდ მოხდა, რაც სოციალურ მედიაში გამოქვეყნებული ვიდეოთი დასტურდებოდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამ ოქმის გაუქმება და ხმების ხელახლა დათვლა მოითხოვა. მართალია აღნიშნული საჩივარი პროცედურული საფუძვლების გამო არ იქნა მიღებული, მაგრამ საოლქო საარჩევნო კომისიამ, ხმების ხელახლა გადათვლის გარეშე, 16 ბიულეტენი ნამდვილად აღიარა და ეს ხმები დამოუკიდებელ კანდიდატს მიაკუთვნა.

დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიებაა მოთხოვნილი.¹⁰⁹ 16 ნოემბერს ცესკომ არჩევნების საბოლოო შედეგები დაამტკიცა და გამოაქვეყნა.

XX. რეკომენდაციები

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებშია მოცემული, საქართველოში არჩევნების ჩატარების გაუმჯობესების და მათი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან ბოლომდე შესაბამისობაში მოსაყვანად არის გაცემული. აღნიშნული რეკომენდაციები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებთან (რომლებიც ჯერ კიდევ შესასრულებელია) ერთად უნდა იქნას წაკითხული (კონკრეტულად საუბარია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ საბოლოო ანგარიშებზე). ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებაში და ამ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში.¹¹⁰

A. პრიორიტეტული რეკომენდაციები

1. საარჩევნო კოდექსის დებულებების ერთნაირად გამოყენებისა და საკანონმდებლო ბაზის კიდევ უფრო დაკონკრეტების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ შემდეგ არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე საარჩევნო კოდექსის საფუძვლიანი გადახედვა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის პირობებში მოხდეს.

2. სასურველია კანდიდატურის წამოყენების კუთხით არსებული ენობრივი და ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გადასინჯვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ის დებულებები, რომელთა გამო ასარჩევად საჭირო საკმარისი რაოდენობის ხმების მიმღებმა კანდიდატებმა შესაძლოა ვერ დაიკავონ შესაბამისი არჩევითი თანამდებობა, უნდა გაუქმდეს.

3. სახელმწიფოსა და პარტიას შორის მკაფიო განცალკევების უზრუნველსაყოფად, სასურველია კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და იმ დებულებების განმტკიცება, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას და საჯარო თანამდებობის პირების მიერ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას კრძალავს.

¹⁰⁹ ამაში შედიოდა ამომრჩეველთა ნების გამოხატვაში სავარაუდო ჩარევის ფაქტები, ძალადობა ან ძალადობის მუქარა საარჩევნო უბნებზე, კარდაკარის ან წინასაარჩევნო კამპანიის დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა, საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა, ხმის მიცემის საიდუმლოების პრინციპის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან დაჯამება, არჩევნების ფალსიფიკაცია.

¹¹⁰ [ეუთოს 1999 წლის სტამბოლის დოკუმენტის](#) 25-ე პარაგრაფის მიხედვით, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების შეფასებისა და რეკომენდაციების დროულად შესრულების“ ვალდებულება აიღეს.

4. გამჭირვალობის გასაზრდელად სასურველია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საკუთარ ვებგვერდზე მედია მონიტორინგის დეტალური ანგარიშების დროულად გამოქვეყნება დაევალოს, ამ ანგარიშებში ყველა გამოვლენილი დარღვევა, მიღებული საჩივარი და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა შევიდეს.

5. სასურველია, რომ სიმულვილის ენის გავრცელების მინიმიზაციისთვის შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო ზედამხედველობა და პრევენცია განახორციელონ და დროული რეაგირება მოახდინონ იმ შემთხვევაში თუ სიმულვილის ენის გამოყენების ეჭვი არსებობს.

6. არჩევნებში მონაწილე ყველა მხარის უფლებების სათანადოდ დასაცავად, სასურველია, რომ ამომრჩევლებს მათი საარჩევნო უფლებების ნებისმიერი შესაძლო დარღვევისას ჰქონდეთ საჩივრების შეტანის უფლება (მათ შორის საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება).

7. სასურველია, რომ ადგილობრივი დამკვირვებლების როლის აღიარებისთვის და მათ მიერ ამ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის ადგილობრივი დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის კრიტერიუმების შემდგომი დახვეწა მოხდეს.

8. სასურველია რომ მოხდეს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა, რათა შესაძლო მეორე ტურებისთვის კონკრეტული წესები იქნას დადგენილი, მათ შორის ამაში იგულისხმება საარჩევნო კამპანიის წარმართვასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები, არჩევნების ორგანიზებაში ჩართული პირების უფლებამოსილების ვადები, დამკვირვებლებისა და პარტიების წარმომადგენლების უფლებები, ამომრჩეველთა სიების განახლების პროცედურები და კანდიდატების გაწვევის წესები და ასევე მეორე ტურთან დაკავშირებული სპეციფიკური პროცედურების რეგულირება

B. სხვა რეკომენდაციები

საკანონმდებლო ბაზა

1. საკანონმდებლო სფეროში სტაბილურობის და ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი უფლებებისა და პროცედურების ნათლად გაგების უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ხელისუფლებამ არჩევნებამდე დარჩენილ წელიწადში თავი შეიკავოს საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ელემენტების ცვლილებისგან.

2. სასურველია რომ საარჩევნო ოლქების დელიმიტაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადახედვა მოხდეს, რათა იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები იქნას აღმოფხვრილი (კონკრეტულად კი ხმების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, ისე როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ მანამდე გაცემული რეკომენდაციებით არის განსაზღვრული).

საარჩევნო ადმინისტრაცია

11. საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭირვალობის გასაზრდელად სასურველია რომ საოლქო საარჩევნო კომისიების ყველა გადაწყვეტილების ცესკოს ვებგვერდზე სავალდებულოდ გამოქვეყნების საკითხი იქნას განხილული.

12. სასურველია, რომ ხელისუფლებამ პროცედურების გაუმჯობესების და ქვედა დონის კომისიების წევრთა სამუშაოზე აყვანის პროცესის გამჭირვალობის გაზრდის საკითხი განიხილოს, რაც აღნიშნულ წევრთა შერჩევის კონკრეტული კრიტერიუმების დადგენისა და გამოქვეყნების მეშვეობით უნდა მოხდეს.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

13. იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფ პირებს ხმის მიცემის უფლების გამოყენების საშუალება ჰქონდეთ, სასურველია რომ ამ დაწესებულებებში ამომრჩეველთა სიების შედგენაზე პასუხისმგებელმა პირებმა არჩევნებში მონაწილეობის მქონე ყველა პატიმრისთვის მოქმედ საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციაზე წვდომა უზრუნველყონ.

14. ყოველ ჯერზე გარდამავალი დებულებების მიღების მაგივრად სასურველია რომ ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართის არ მქონე ამომრჩეველებისთვის პერმანენტული გადაწყვეტილება იქნას მიღებული. ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებში ცვლილებები დროულად უნდა ტარდებოდეს, რათა მათი ეფექტურად განხორციელება იქნას უზრუნველყოფილი.

კანდიდატების რეგისტრაცია

15. არჩევნებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ ხელისუფლებამ პარტიებთან დაკავშირებული მონაცემების გადამოწმების ყველა პროცედურა ერთნაირად და დროულად, და არა რეტროაქტიურად განახორციელოს. ასევე სასურველია, რომ შესაბამის ორგანოებს შორის ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება მოხდეს, რათა პარტიების მიმართ არათანმიმდევრული მიდგომის შესაძლებლობა გამოირიცხოს.

16. ქალთა პოლიტიკური ჩართულობის კიდევ უფრო გასაზრდელად სასურველია, რომ ფინანსური წახალისების გარდა, პოლიტიკური პარტიებისთვის, სავალდებულო გენდერული კვოტების შემოღების საკითხიც იქნას განხილული. გარდა ამისა, შესაძლებელია არსებული ფინანსური წახალისების მექანიზმების მაქორითარულ არჩევნებზეც გავრცელება.

წინასაარჩევნო კამპანია

17. საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის და საარჩევნო უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამომრჩეველთა და

წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართული პერსონალის დაშინებასთან დაკავშირებული ბრალდებების გამოსაძიებლად სწრაფი და ეფექტური ნაბიჯები გადადგან.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

18. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ეფექტური ზედამხედველობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასურველია რომ მოხდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რესურსებისა და შესაძლებლობების (მათ შორის ადამიანური რესურსების) გაზრდა, რათა აღნიშნული შესაძლებლობები ამ სამსახურის მოვალეობების თანაზომიერი გახდეს. სასურველია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საარჩევნო სუბიექტების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება როგორც კენჭისყრის დღემდე ისე მის შემდეგაც ხორციელდებოდეს.

19. სასურველია, რომ კანონით ნათლად იყოს განსაზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევების გადამოწმება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა უნდა მოახდინოს. შესაბამის ინფორმაციაზე დროული წვდომა და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან თანამშრომლობა ნათლად უნდა იყოს რეგულირებული, რათა აუდიტის სამსახურს ეფექტური ზედამხედველობის განხორციელება შეეძლოს.

20. შესაძლებელია რომ განხილული იქნას კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი, რათა დამოუკიდებელ კანდიდატებს სახელმწიფო დაფინანსებაზე წვდომის თანაბარი შესაძლებლობები გააჩნდეთ (წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების ასანაზღაურებლად).

მედია

21. ამომრჩევლებისთვის არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გასაზრდელად შესაძლებელია რომ არაკვალიფიციურ სუბიექტებს უფასო სარეკლამო დროის მინიმალური ოდენობა გამოეყოს, რათა მათ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით საკუთარი გზავნილების გადაცემა შეძლონ.

22. სასურველია, რომ სიძულვილის ენის გავრცელების მინიმინიზაციისთვის შესაბამისმა ორგანოებმა სათანადო ზედამხედველობა და პრევენცია განხორციელონ და სიძულვილის ენის გამოვლენის შემთხვევაში დროული რეაგირება მოახდინონ.

23. სასურველია, რომ ერთიანი თვითრეგულირების ორგანოს ჩამოყალიბების საკითხი იქნას განხილული, რომელიც პარტიებისგან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან ნებისმიერი მაუწყებლის წინააღმდეგ შემოტანილ საჩივრებს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის საფუძველზე განიხილავს და მათზე დროულად და გამჭვირვალედ მოახდენს რეაგირებას.

24. სასურველია, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების გამოქვეყნებისას ამ კვლევების შესახებ დეტალური ინფორმაციის გაცხადებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დახვეწა საერთაშორისო დონეზე მიღებული ნორმების შესაბამისად მოხდეს.

25. სასურველია, რომ საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის საზოგადოებრივი აზრის და ეგზიტპოლების შედეგების გამოქვეყნებისას, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საკუთარი დამოუკიდებლობა და ნეიტრალობა უზრუნველყოს.

ეროვნული უმცირესობების ჩართულობა

26. საარჩევნო კანონმდებლობის მომავალ ცვლილებებში ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის აუცილებლობა გათვალისწინებული უნდა იქნას, მათ შორის ოლქების საზღვრების დადგენის კუთხითაც.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

27. სასურველია, რომ საარჩევნო პროცესში ჩართულმა დაინტერესებულმა მხარეებმა პარტიულ და არაპარტიულ დაკვირვებას შორის არსებული მკაფიო განცალკევების პრინციპი დაიცვან. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და მედია საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ რომ საარჩევნო უბნებზე მყოფმა მათმა წარმომადგენლებმა საკუთარი ფუნქციების განხორციელებისას მიუკერძოებლობა შეინარჩუნონ, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს დარღვევებზე დროულად რეაგირების საშუალება უნდა გააჩნდეთ.

საჩივრები და სარჩელები

28. კონსტიტუციით დადგენილი ვადების პატივისცემის პირობებში, სასურველია, რომ საჩივრების შეტანისა და მათი განხილვის ვადების მხრივ მომჩივარ მხარეებს სარჩელის მოსამზადებლად, ხოლო შესაბამის ორგანოებს მათ გამოსაკვლევად საკმარისი დრო გააჩნდეთ.

29. სასურველია, რომ ადგილობრივი დამკვირვებლების და პარტიების წარმომადგენლებისთვის საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ პროცედურებზე შემდგომი ტრენინგები ჩატარდეს, ასევე შესაძლებელია საარჩევნო დარღვევების დოკუმენტირების შესაძლებლობის განხილვა.

30. სასურველია, რომ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრის ან სარჩელის შეტანისას ზედმეტი დაბრკოლებები არ არსებობდეს; სარჩელის შეტანასთან დაკავშირებული გადასახადი მინიმალური უნდა იყოს და სადაც შესაძლებელია მისი გაუქმება უნდა ხდებოდეს. კანონი ნათელი და თანმიმდევრული უნდა იყოს, რათა ერთპიროვნული ინტერპრეტირების საშუალება არ დარჩეს.

31. არჩევნების პერიოდში საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებს საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებების დროულად გამოძიება და საჩივრების რაც შეიძლება მოკლე ვადებში განხილვა დაევალოთ

32. სასურველია, რომ განისაზღვროს ის კონკრეტული ორგანო, რომელიც ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს, გამოძიებებს ჩაატარებს და შესაბამის ზომებს მიიღებს.

კენჭისყრის დღე

33. სასურველია, რომ ხელისუფლებამ ნაბიჯები გადადგას საარჩევნო უზენებისთვის სათანადო შენობების გამოყოფის კუთხით, რათა ამომრჩევლებს თავიანთი უფლებების განსახორციელებლად ღირსეული პირობები გააჩნდეთ.

34. ხელისუფლებას კენჭისყრის დღის პროცედურების მაქსიმალურად გამარტივების საკითხი შეუძლია განიხილოს, თუმცა ამავე დროს პროცესის პატიოსნება კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დადგეს, ასევე შესაძლებელია საარჩევნო მასალების განახლების და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობის შემცირების საკითხებიც იქნას განხილული.

ხმების დაჯამება და არჩევნებისშემდგომი საჩივრები

35. სასურველია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა საჩივრის საფუძვლიანი გამოძიება ყველა ხელმისაწვდომი წყაროსგან ინფორმაციის შეგროვების და გადამოწმების მეშვეობით განახორციელოს. შესაძლებელია კენჭისყრის დღის შემდეგ შემოსული საჩივრების გამოსაკვლევად საოლქო საარჩევნო კომისიების პერსონალის გაზრდის საკითხი იქნას განხილული.

36. სასურველია, რომ საარჩევნო დავებთან დაკავშირებით სასამართლოების ცნობიერების შემდგომი ამაღლება მოხდეს, რათა მათ ბოლომდე შეძლონ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის კუთხით საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

37. სასურველია, რომ საარჩევნო კოდექსში ნათლად იქნას განმარტებული საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გაუქმების და ხმების ხელახლა დათვლის კრიტერიუმები, რათა აღნიშნული წესები ერთნაირად იქნას გამოყენებული.

დანართი I: საბოლოო შედეგები

მონაცემთა შეჯამება	
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	3,513,884
არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა	1,825,054
აქტივობა	51,94 %
გაბათილებული ბიულეტენები	62,678 (3.43%)

	პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება	მიღებული ხმების რაოდენობა (პროპორციული სისტემით)	პროცენტული რაოდენობა (პროპორციული სისტემით)	მიღებული მანდატების რაოდენობა		
				პროპ.	მაჟ.	სულ
1	„პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“	60,681	(3.45)	0	0	0
2	პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა („თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!“)	1,010	(0.06)	0	0	0
3	„ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა“	62,166	(3.53)	0	0	0
4	„ჯონდი ბაღათურია – ქართული დასი“	2,182	(0.12)	0	0	0
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	477,053	(27.11)	27	0	0
6	„უსუფაშვილი – რესპუბლიკელები“	27,264	(1.55)	0	0	0
7	„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“	2,805	(0.16)	0	0	0
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი –	88,097	(5.01)	6	0	0

	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“					
10	შალვა ნათელაშვილი – „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	55,208	(3.14)	0	0	0
11	„სახალხო ხელისუფლება“	810	(0.05)	0	0	0
12	„საქართველოს კომუნისტური პარტია – სტალინელები“ (ივანე წიკლაური)	1,757	(0.1)	0	0	0
14	დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის	3,824	(0.22)	0	0	0
15	„მშრომელთა სოციალისტური პარტია“	662	(0.04)	0	0	0
16	“საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“	1,467	(0.08)	0	0	0
17	„საქართველო“	1,548	(0.09)	0	0	0
18	„ქართული იდეა“	2,916	(0.17)	0	0	0
19	„თოფაძე – მრეწველები, ჩვენი სამშობლო“	13,788	(0.78)	0	1	1
22	მერაბ კოსტავას საზოგადოება	966	(0.05)	0	0	0
23	„ჩვენები -სახალხო პარტია“	1,595	(0.09)	0	0	0
25	„კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა	699	(0.04)	0	0	0

	ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“					
26	„ეროვნული ფორუმი“	12,763	(0.73)	0	0	0
27	„ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები“	81,464	(4.63)	0	0	0
28	„ზვიადის გზა – უფლის სახელით“	1,467	(0.08)	0	0	0
30	„ჩვენი საქართველო“ (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი)	802	(0.05)	0	0	0
41	„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“	856,638	(48.68)	44	71	115
42	დამოუკიდებელი კანდიდატი - სალომე ზურაბიშვილი	11,360	(67.5)	0	1	1

დანართი II: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა სია

ეუთოს საპარლამენტი ასამბლეა

ხოსე იგნასიო	სანჩეს ამორი	ესპანეთი	სპეციალური კოორდინატორი
გულიელმო	პიჩი	იტალია	დელეგაციის ხელმძღვანელი
აქსელ	კასეგერი	ავსტრია	პარლამენტის წევრი
ჯერალდ	კლუგი	ავსტრია	პარლამენტის წევრი
კატრინ ანა	ჟადინი	ბელგია	პარლამენტის წევრი
კრისტიან ივანოვ	ვიგენინი	ბულგარეთი	პარლამენტის წევრი
მიჰაელ	ზმაილოვიჩი	ხორვატია	პარლამენტის წევრი
კულიკი	კუზარსეპი	ესტონეთი	პარლამენტის წევრი
კიმო	კიველა	ფინეთი	პარლამენტის წევრი
პასკალ	ალიზარდი	საფრანგეთი	პარლამენტის წევრი
ტიერი	მარიანი	საფრანგეთი	პარლამენტის წევრი
მიშელ	ვაიზენი	საფრანგეთი	პარლამენტის წევრი
ეგონ	იუთნერი	გერმანია	პარლამენტის წევრი
ჟოლტ	ჩენგერ-ზალანი	უნგრეთი	პარლამენტის წევრი
კუანიშ	აიტახანოვი	ყაზახეთი	პარლამენტის წევრი
ჟაბალ	იერგალიევი	ყაზახეთი	პარლამენტის წევრი
მუხტარ	იერმანი	ყაზახეთი	პარლამენტის წევრი
იგორს	აისტრაუცი	ლატვია	პარლამენტის წევრი
ვაიტალის	ორლოვსი	ლატვია	პარლამენტის წევრი
რობერტ ადამ	მამატოვი	პოლონეთი	პარლამენტის წევრი
იანეკ ვლადისლავ	ვლოშოვიცი	პოლონეთი	პარლამენტის წევრი
სეზასტიან	გონსალეს ვასკესი	ესპანეთი	პარლამენტის წევრი
მარგარეტა	ცედერფელტი	შვედეთი	პარლამენტის წევრი
არჰე	ჰამედნაკა	შვედეთი	პარლამენტის წევრი
ვივი-ანე ელიზაბეტ	იოჰანსონი	შვედეთი	პარლამენტის წევრი
გორან სვენ ერიკ	პეტერსონი	შვედეთი	პარლამენტის წევრი
ნექდეტ	უნუვარი	თურქეთი	პარლამენტის წევრი
მილოვან	პეტკოვიჩი	ხორვატია	დელეგაციის პერსონალი
ჯუზეპე	ტრეცა	იტალია	დელეგაციის პერსონალი
იასინ	კარაარსლანი	თურქეთი	დელეგაციის პერსონალი
მიქეილ ანდრეას	ბეიკერი	დანია	ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო
რობერტო	მონტელა	იტალია	ეუთოს საპარლამენტო

გუსტავო	პალარესი	ესპანეთი	ასამბლეის სამდივნო ეუთოს საპარლამენტო
ირინა	საბაშუკი	უკრაინა	ასამბლეის სამდივნო ეუთოს საპარლამენტო
ნათანიელ	პარი	ა.შ.შ.	ასამბლეის სამდივნო ეუთოს საპარლამენტო

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

	ზინგერისი	ლიტვა	დელეგაციის ხელმძღვანელი
ემანუელის			
კარლეს	ჯორდანა მადერო	ანდორა	პარლამენტის წევრი
სტეფან	შენახი	ავსტრია	პარლამენტის წევრი
საბირ	ჰაჯიევი	აზერბაიჯანი	პარლამენტის წევრი
ანდრეს	ჰერკელი	ესტონეთი	პარლამენტის წევრი
ეერიკ-ნიილს	კროსი	ესტონეთი	პარლამენტის წევრი
კათერინ	ქერე	საფრანგეთი	პარლამენტის წევრი
მარიივონ	ბლონდინი	საფრანგეთი	პარლამენტის წევრი
ანდრეი	ჰუნკო	გერმანია	პარლამენტის წევრი
კარინ	სტრენცი	გერმანია	პარლამენტის წევრი
ფლორიან	კორნბიქლერი	იტალია	პარლამენტის წევრი
პაოლო	კორსინი	იტალია	პარლამენტის წევრი
კლოდ	ადამი	ლუქსემბურგი	პარლამენტის წევრი
კილიონ	მუნიამა	პოლონეთი	პარლამენტის წევრი
იდალია	შერაო	პორტუგალია	პარლამენტის წევრი
ჟორდი	შუკლა	ესპანეთი	პარლამენტის წევრი
ალფრედ	ჰეერი	შვეიცარია	პარლამენტის წევრი
პიერ-ალენ	ფრიდეცი	შვეიცარია	პარლამენტის წევრი
სვიტლანა	ზალიშჩუკი	უკრაინა	პარლამენტის წევრი
სერიი	კალჩენკო	უკრაინა	პარლამენტის წევრი
	პრიტჩარდრი	გაერთიანებული სამეფო	პარლამენტის წევრი
მარკ	ბალფი	გაერთიანებული სამეფო	პარლამენტის წევრი
ლორდ რიჩარდ			
ბორის	სილვევიჩი	ლატვია	პარლამენტის წევრი
კერსტინ	ლუნდგრენი	შვედეთი	პარლამენტის წევრი
გაელ	მარტინ-მიკალეფი	საფრანგეთი	ვენეციის კომისია
	ჩაპბაზიანი	სომხეთი	ევროპის საბჭოს საპარლამენტო
ჩემავონ			ასამბლეის სამდივნო
დანიელ	კასლი	საფრანგეთი	ევროპის საბჭოს

	ტორკატორიუ	რუმინეთი	საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო
ბოდგან			

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა

პაოლო	ალი		დელეგაციის
		იტალია	ხელმძღვანელი
ადოლფ	ბეზნოსკა	ჩეხეთი	პარლამენტის წევრი
ვაცლავ	კლუცკა	ჩეხეთი	პარლამენტის წევრი
ხრისტოს	კარაგიანიდისი	საბერძნეთი	პარლამენტის წევრი
ლუკა	ფრუსონე	იტალია	პარლამენტის წევრი
არტის	რასმანისი	ლატვია	პარლამენტის წევრი
ალექსანდრს	კირსტეინსი	ლატვია	პარლამენტის წევრი
ვივიან	ლოშეტერი	ლუქსემბურგი	პარლამენტის წევრი
პაველ	ბეიდა	პოლონეთი	პარლამენტის წევრი
კშიშტოვ	ლაპინსკი	პოლონეთი	პარლამენტის წევრი
ადამ	ბიელანი	პოლონეთი	პარლამენტის წევრი
ბრუნო	ვიტორინო	პორტუგალია	პარლამენტის წევრი
ჟან	მაჰნიჩი	სლოვენია	პარლამენტის წევრი
ალექ	შელბრუკი	გაერთიანებული სამეფო	პარლამენტის წევრი
გეორგიოს	ჩამპურისი	საბერძნეთი	დელეგაციის პერსონალი
დავიდ	ჰობსი	გაერთიანებული სამეფო	ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო
ანდრიუს	ავიზიუსი	ლიტვა	ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სამდივნო

ევროპის პარლამენტი

ანა	გომეში	პორტუგალია	დელეგაციის
			ხელმძღვანელი
იარომირ	შტელინა	ჩეხეთი	პარლამენტის წევრი
იოახიმ	ზელერი	გერმანია	პარლამენტის წევრი
მიქაელ	გალერი	გერმანია	პარლამენტის წევრი
ანდრეის	მამიკინსი	ლატვია	პარლამენტის წევრი
სანდრა	კალნიეტე	ლატვია	პარლამენტის წევრი
ანა	ფოტიგა	პოლონეთი	პარლამენტის წევრი
ნორიკა	ნიკოლაი	რუმინეთი	პარლამენტის წევრი
ხავიერ	ნარტი	ესპანეთი	პარლამენტის წევრი
კლერ	მუდი	გაერთიანებული სამეფო	პარლამენტის წევრი
რობერტ	გოლანსკი	პოლონეთი	დელეგაციის პერსონალი
იაკუბ	სემრაუ	პოლონეთი	დელეგაციის პერსონალი

ვოიჩეხ კასპერ	დანეჩკი კამინსკი	პოლონეთი პოლონეთი	დელეგაციის პერსონალი დელეგაციის პერსონალი ევროპის პარლამენტის სამდივნო
მარტა კარლ	უდინა მინერი	ხორვატია საფრანგეთი	ევროპის პარლამენტის სამდივნო ევროპის პარლამენტის სამდივნო
იოანა ტიმ	ლოგოფატუ ბოდენი	რუმინეთი გაერთიანებული სამეფო	სამდივნო ევროპის პარლამენტის სამდივნო
ელისონ	ვუდი	გაერთიანებული სამეფო	ევროპის პარლამენტის სამდივნო

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მოკლევადიანი დამკვირვებლები

ვააგნ	აფიანი	სომხეთი
ვარაზდატ	პაჰლავეუნი	სომხეთი
თამარა	ჰოვანანიანი	სომხეთი
ვრეჟ	კარდუმიანი	სომხეთი
უოლტერ იოზეფ	ფენდი	ავსტრია
მანუელა	გრანოგერი	ავსტრია
კრისტიან	პაუცენბერგერი	ავსტრია
იუტა	ზომერბაუერი	ავსტრია
სარა	დე სლუვერი	ბელგია
დენის პატრიკ	ჟაკმინი	ბელგია
სოფი ჩაშკა	კარლჰაუზენი	ბელგია
დენის ვერონიკ	ნაეტსი	ბელგია
იანა	ბედანოვა	ჩეხეთი
ელისკა	ფრიდლოვა	ჩეხეთი
დარაბ	გაიარი	ჩეხეთი
ლუსი	ჰანცლიკოვა	ჩეხეთი
ვინცენც	კოპეჩევი	ჩეხეთი
დანიელა	კრალოვა	ჩეხეთი
ვიკტორ	კუნდრაკი	ჩეხეთი
ტერეზა	კვასნიჩკოვა	ჩეხეთი
იან	ლატალი	ჩეხეთი
სტეპანკა	ლიტეჩკა	ჩეხეთი
ჯირი	როლენკი	ჩეხეთი
მარტინ	სვაროვსკი	ჩეხეთი
ტომას	ვლახი	ჩეხეთი
ნანა სოფია	ჰანსენი	დანია
ბირგიტ	ჰიორტლუნდი	დანია
ლარს პედერ		დანია
ბიორნდალ	ჰოლანდერი	

ნილს მატეას	იეგინდი	დანია
კრისტიან		დანია
ბიერეგაარდ	იეჰსენი	
ჰარალდ ჰარტვიგ	იეჰსენი	დანია
პეტერ ბეიერჰოლმ	ლარსენი	დანია
პეტერ	პავნი	დანია
კარენ ბენედიკტ	სკიპერი	დანია
ოტო ერიკ	სორენსენი	დანია
პოულ ვოლმერ	სვანე	დანია
სოფია კატრინ	სვენსონი	დანია
მარგუს	გერინგი	ესტონეთი
მონიკა	პიკერი	ესტონეთი
მარიტ	პრინიტი	ესტონეთი
იოჰანა კატრინა	ანტილა	ფინეთი
ალექსი იოჰანეს	კოსკინენი	ფინეთი
მარიო კაარინა	მაკელა	ფინეთი
ელინ ამანდა	სუნდელი	ფინეთი
ოლი ფემილ	ტურტიანენი	ფინეთი
მარინ	დუმეურგერი	საფრანგეთი
ნათან რობინსონ	გრისონი	საფრანგეთი
რომან ვოიჩეხ	კვიატკოვსკი	საფრანგეთი
ანა მარი	რიო	საფრანგეთი
ადელინ მილეი	სანგი	საფრანგეთი
ხაჩიგ	სოუკიასიანი	საფრანგეთი
იოან	ურესი	საფრანგეთი
მანდანა	აფშარი	გერმანია
	ბალტეს-მეიერ	გერმანია
ფრიდემ	ზუნატრუპი	
ბიანკა	დორმუტი	გერმანია
ინსა მარია	ევერტი	გერმანია
სიბილ მარია	გერსტლ	გერმანია
ვალტერ	გოპფერტი	გერმანია
ვოლფგანგ		გერმანია
ბერნარდ		
გოტფრიდ ანტონ	გრაფ ფონ შმეტაუ	
იოხენ კრისტიან	ჰაიუნგსი	გერმანია
ტიმო	კნაუტე	გერმანია
ანელი	კოშელა	გერმანია
ანდრეას ჰანს	კუნერტი	გერმანია
ჰელმუტ ვილი		გერმანია
ფრიც	ლაგესი	
გიუნტერ	ლანგ-ლენდორფი	გერმანია
ევა-მარია	ლოკნერი	გერმანია
ეველინ დებორა	მაიბ-შატრი	გერმანია

ნიკოლას	ნახტიგალ-მარტენი	გერმანია
მარტინ ჰერმან	ნოელი	გერმანია
რეინჰოლდ		გერმანია
სტეფან ვინცენც	ოსტერჰუსი	
ტანია	პოპოვიჩი	გერმანია
მარია	პრსა	გერმანია
კრისტინ	რადომსკი	გერმანია
პეტრა	რუთი	გერმანია
ინგო ჰეიე	შირმეიერი	გერმანია
ჰელმუტ იოზეფ	შლაგბაუერი	გერმანია
ჰანს-ჰაინრიხ	შნაიდერი	გერმანია
ჯენი	შულცი	გერმანია
კარლ-ჰაინც		გერმანია
ედმუნდ	შვეიცერი	
ანკე	სმოლიხი	გერმანია
ანგელა ადელჰაიდ	ტენბრუკ-მარქსი	გერმანია
კრისტოფ	ვითი	გერმანია
	ფონ კრამონ-	გერმანია
ვიოლა	ტაუბადელი	
ჯულია	ვანინგერი	გერმანია
ბირგიტ უტა	ვეკლერი	გერმანია
იურგენ	ვინტერმეიერი	გერმანია
მარტინ	ვოლფი	გერმანია
გაბორ	ბაარი	უნგრეთი
ჯეორჯინა	ბერნატი	უნგრეთი
ანა ვირაგ	ბიჰარი	უნგრეთი
ანდრას	მოლნარი	უნგრეთი
რობერტ	ნემეთი	უნგრეთი
ანა მარია	შენასი	უნგრეთი
ზოფია ბოლგარკა	ტარდოსი	უნგრეთი
ტერიზია ერიკა	ტოთი	უნგრეთი
დანიელ	ვერბა	უნგრეთი
კრიზტინა	ვიტეკი	უნგრეთი
კრისტინა იოზეფ	ნუსერი	უნგრეთი
გაბორ ანდორ	ჩიტარი-რაკოჩი	უნგრეთი
რობერტ	კასაბი	უნგრეთი
სნორი	მათიასონი	ისლანდია
ლილია მარგარეტ	ოლსენი	ისლანდია
მარგა	ფოლი	ირლანდია
ელიზაბეტ გრეის	მულანი	ირლანდია
ედვარდ დავიდ	ნაესენსი	ირლანდია
ნიალ	ო შინსეალა	ირლანდია
იოზეფ მარტინ	სკანლონი	ირლანდია
დანიელა იდა	ბოტიგელი	იტალია

როკო ჯოვანი	დიბიასე	იტალია
ფრანჩესკო	მარტინო	იტალია
ანა	ვალტერე	ლატვია
იურგიტა	ბარკაუსკიენე	ლიტვა
ანდრეი	დიდენკო	ლიტვა
ერნესტა	კავალიაუსკაიტე	ლიტვა
აუდრონ	მარკვეისიენე	ლიტვა
გოდა	სილეიკაიტე	ლიტვა
როლანდას	კაზლაუსკას	ლიტვა
გაბრიელა	ტერვიდიტე	ლიტვა
ვიქტორია	ბუდრეკაიტე	ლიტვა
ლეონარდუს		
ვილჰელმუს	დენ ბიგელაარი	ნიდერლანდები
არდინა მეინუტე		
ვერა	გერკენსი	ნიდერლანდები
სანე ფრაუკჯ		
ამიტია	სლაგმანი	ნიდერლანდები
ანტონიუს		
ვილჰელმუს		
იოჰანესი	ტუნისენი	ნიდერლანდები
დაგფინ	ადნანესი	ნორვეგია
ინგებორგ სილ	ბარი	ნორვეგია
ალიდა ჯეილ	ბოიე	ნორვეგია
სილიე	ჰაგერუპი	ნორვეგია
ელზბიეტა	ბეზიუკი	პოლონეთი
დომინიკ		პოლონეთი
ჯშიშტოფ	ცაგარა	
ბარტლომიიჯ		პოლონეთი
მარჩინ	ჯოიჩეკი	
ნატალია	კერტიჩაკი	პოლონეთი
ბარტლომიიჯ		პოლონეთი
ლემეკ	კოკომკა	
მარია მაგდალენა	კრაინსკა	პოლონეთი
არკადიუმ	ლეგიეჩი	პოლონეთი
გჟეგომ	ლევოჩკი	პოლონეთი
პაულინა დარია	ლუკავსკა	პოლონეთი
ბარბარა	მატუშევიჩ-პროტასი	პოლონეთი
კაროლინა ანა	მაზურჩაკი	პოლონეთი
მაგდალენა	ოპალკა	პოლონეთი
ევა ტერეზა	პინტერა	პოლონეთი
რაფალ	პობორსკი	პოლონეთი
	პოლაკ-	პოლონეთი
მაგდალენა	ზოლადკიევიჩი	
ანდრეას მარტინ	სპეისერი	პოლონეთი

იუსტინა პაულინა ანა	ვრობელი ჟეიმეჩკი	პოლონეთი პოლონეთი
მარტა იოანა	კალუჟინსკა	პოლონეთი
ადამ ტომამ	ბედკოვსკი	პოლონეთი
მარჩინ	პრენგოვსკი	პოლონეთი
კატალინა ოანა	ანი	რუმინეთი
რომულუს-ანდრეი	ბენა	რუმინეთი
იონ	ბულეტეანუ	რუმინეთი
მარია რამონა	კარტელეანუ	რუმინეთი
ლუმინიტა	ჩოზანუ	რუმინეთი
კრისტინა	იენეი	რუმინეთი
უილიამ ანტონ	კორბლი	რუმინეთი
ჯორჯ ადრიან	ლიქსანდრუ	რუმინეთი
ბოგდან	ნედეა	რუმინეთი
მიჰაელა-იონელია	პოპესკუ	რუმინეთი
კალინ		
კონსტანტინ	რადუ	რუმინეთი
ვალენტინ-დუმიტრუ	რადუტი	რუმინეთი
ოლიმპიუ-მარიუს	სტოიკა	რუმინეთი
აურელია		
ნიკოლეტა	ტიტირეცი	რუმინეთი
იან	კუკუკი	სლოვაკეთი
ბლჟ	მასლე	სლოვენია
ხოსე ლუის	სერესო ბადა	ესპანეთი
ენრიკე	კრიადო ნავამუელი	ესპანეთი
მარია ლაურა	სალიქ დი ფრანჩესკა	ესპანეთი
	სანმარტინ	
ნატალია	ჯარამილო	ესპანეთი
როზა მარია	რომანი	ესპანეთი
ტომას აუგუსტ	აგნემო	შვედეთი
ასა ფრედრიკა	აგუაიო აკესონი	შვედეთი
ტომას ვორსო	ანდერსენი	შვედეთი
ვოლფ იორგენ		
სვენ	ბეკლუნდი	შვედეთი
ივონ მარგარეტა	ბენგტსონი	შვედეთი
ანა მადლენ	ჰაგ-ლილესტრომი	შვედეთი
ევა ჰელენა	იაკობსონი	შვედეთი
ბერნტ ტომი	კარლსონი	შვედეთი
ინგბრიტ ეინა	კარლსონი	შვედეთი
ჰელენა ბირგიტა	მუნტერი	შვედეთი
იან ლენარტ	მილბეკი	შვედეთი
პერ სორენ	ნილსონი	შვედეთი

სვენ ლინუს		
რიკარდ	ნიგრენი	შვედეთი
ერიკ მაგნუს	პერსონი	შვედეთი
მაქსიმო ხუან	პრადესი	შვედეთი
ევა მარგარეტა	რიმსტენი	შვედეთი
	როგალსკა	
ანა	ჰედლუნდი	შვედეთი
კრისტინა		
ელიზაბეტ	სნოდერი	შვედეთი
ჰანს ფრედრიკ	უგლა	შვედეთი
სიგრიდ მარი	უტერმანი	შვედეთი
ან	ვოლგერსი	შვედეთი
მარია ემილია	არიოლი	შვეიცარია
ჰაინც	ბაქმანი	შვეიცარია
ჯერალდინ		
ბარბარა	ბოლმანი	შვეიცარია
ლოიკ ალექსის	დეგენი	შვეიცარია
ნიკოლას	დოუსე	შვეიცარია
ტომას	ჰოლცერი	შვეიცარია
ეველინ რუტ	ჰუტსონ-ჰარტმანი	შვეიცარია
ტერეზ დომინიკ	ვოგელი-სორენსენი	შვეიცარია
კემალ	კეიჯიშიცი	თურქეთი
შერიდა ფრანსეს	კარნსონი	გაერთიანებული სამეფო
კენრიკ	გოში	გაერთიანებული სამეფო
ჯანეტ ფრედერიკა	განი	გაერთიანებული სამეფო
კრისტინ	ჰერსტი	გაერთიანებული სამეფო
ჰაუვარდ ენტონი	ნაითი	გაერთიანებული სამეფო
სტივენ სპენსერ	პოლი	გაერთიანებული სამეფო
ლესლი ენ	პოლი	გაერთიანებული სამეფო
კენეტ მაილს	პიკლსი	გაერთიანებული სამეფო
რეიჩელ შარლოტ	ქუილენი	გაერთიანებული სამეფო
მაიკლ დევიდ	სანდერი	გაერთიანებული სამეფო
ენდრიუ	სომერვილი	გაერთიანებული სამეფო
მორინ კრისტი	ტაილორი	გაერთიანებული სამეფო
სიუზენ	ტრინდერი	გაერთიანებული სამეფო
ტიმოტი კრისტიან	ვუდი	გაერთიანებული სამეფო
ლი კერტის	ბაუერი	ა.შ.შ.
კრისტენ ფრანსეს	ბომენგენი	ა.შ.შ.
ელისონ	ბრაუნი	ა.შ.შ.
შერილ ლინ	კოლინსი	ა.შ.შ.
რინო დევიდ	დომენიკო	ა.შ.შ.
ალან ჯონ	ფედორი	ა.შ.შ.
კეი მერი		
ფრიკლუნდ	ფლაიშერი	ა.შ.შ.

ტერეზა მარი	ფრის-ტრევი	ა.შ.შ.
რობერტ ემერი	ჯილეტი	ა.შ.შ.
ანდრე ჩარლზ	ჯესი	ა.შ.შ.
კრისტოფერ ჯონ	კალილი	ა.შ.შ.
ტანია ჰომა	კარპიაკი	ა.შ.შ.
ალკა როჰინი	კოტარი	ა.შ.შ.
მერი ენ	კრუგერი	ა.შ.შ.
ჯონ უილიამ	ლინდბეკი	ა.შ.შ.
ლესია	ლოზოვი	ა.შ.შ.
დონალდ ჯეი	მარშალი	ა.შ.შ.
მაიკლ ფრენსის	მარტინი	ა.შ.შ.
ჯერალდ		
ოგუსტინ	მაკდონო	ა.შ.შ.
ვერნონ არტურ	ნელსონი	ა.შ.შ.
ალექსანდერ		
სტივენს	ნიკოლასი	ა.შ.შ.
დარსი ლინ	ნილსენი	ა.შ.შ.
ლუის კენდალ	პალმერ III	ა.შ.შ.
რობერტ ჯოზეფ	რავენკრაფტი	ა.შ.შ.
ბესა	რიზვანოლი	ა.შ.შ.
კრისტოფერ		
მარტინ	შილდსი	ა.შ.შ.
გრეგორი სკოტ	სლოტა	ა.შ.შ.
მარილინ		
დოროტი	სტემპლერი	ა.შ.შ.
ანი	ტარა	ა.შ.შ.
რენე	ვალდიოსერა	ა.შ.შ.
მარგარეტ ჯილ	ვან ბურენი	ა.შ.შ.
ჯულიო ვიტალე	ვენეზიანი	ა.შ.შ.
ჯილ მედლინ	ვენეზიანი	ა.შ.შ.
სუზან ენ	უორდი	ა.შ.შ.
რაფაელ ჯონ	ვუსტოფ	ა.შ.შ.
სუზანა	ზარაისკი	ა.შ.შ.

**ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის
გრძელვადიანი დამკვირვებლები**

პიოტრ	გვადცი	ავსტრია
რომან	სტანევი	ჩეხეთი
ფრანტიშეკ	ჰავლინი	ჩეხეთი
პოულ ერიკ	ლორისტენი	დანია
რისტო	ჰურმე	ფინეთი
ფრედერიკ	ობერსონი	საფრანგეთი
ალექსანდერ	კრეცი	გერმანია

პეტრა	ბორნჰოფტი	გერმანია
ანაბელ	გამბე	გერმანია
პიტერ	დონოვანი	ირლანდია
ფედერიკა	რაიმონდო	იტალია
იეროენ	დე ვრისი	ნიდერლანდები
ან	სკატვედტი	ნორვეგია
ტომას	ჰაგი	ნორვეგია
ალექსანდერ	ვარშავსკი	პოლონეთი
მარია-მაგდალენა	ბუდკუსი	პოლონეთი
მიჰალ	გირონი	პოლონეთი
ალექსანდრა	იაროშევიჩი	პოლონეთი
როჯერ	ბრანდინი	შვედეთი
ლენარტ	ჰაგრენი	შვედეთი
კორნელია	სტაინერი	შვეიცარია
რაფაელ	ბერგერი	შვეიცარია
კირონ	რიდი	გაერთიანებული სამეფო
სტელა	ჰელიერი	გაერთიანებული სამეფო
კარალენ	გეილი	ა.შ.შ.
კრისტინ	ტროსტლ	ა.შ.შ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ძირითადი გუნდი

სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი	მისიის ხელმძღვანელი		
ალექსანდრ	კელჩევსკი	საფრანგეთი	მისიის ხელმძღვანელი
მეგან	ფიცჯერალდი	ა.შ.შ.	
დიმაშ	ალჟანოვი	ყაზახეთი	
ენირა	ბრონიცკაია	ბელარუსი	
ვანია	ანგუელოვა	ბულგარეთი	
პიეტრო	ტესფამარიამი	იტალია	
კერსტინ	დოკტერი	გერმანია	
კაილ	ბაუერსი	ა.შ.შ.	
ტომაშ	იანში	პოლონეთი	
ვედრანა	ჰალილოვიჩი	ხორვატია	
ნოა	ლეინი	ა.შ.შ.	
მარკ	ფუმგალი	იტალია	
საშა	პოკრაიაცი	სერბია	
კაროლინა	რიდელი	შვედეთი	

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში, კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის და (...) პრინციპების მხარდაჭერაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში, გაძლიერებაში და დაცვაში ისევე როგორც საზოგადოებაში ტოლერანტულობის ხელშეწყობაში“ ეხმარება (1992 წლის ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი). მას ასევე „ეუთოს ადამიანურ განზომილებას“ უწოდებენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთში) არის განგალებული, 1990 წელს პარიზის სამიტზე „თავისუფალი არჩევნების ოფისის“ სახელწოდებით იქნა შექმნილი, მან ფუნქციონირება 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახული ყოფილიყო მისი გაფართოებული მანდატი, რომელშიც ადამიანის უფლებების და დემოკრატიზაციის საკითხებიც შედიოდა. დღესდღეისობით ოფისში 150 ადამიანი მუშაობს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი **არჩევნებზე დაკვირვების** სფეროში ევროპაში წამყვანი დაწესებულებაა. ყოველწლიურად ის ახდენს ათასობით დამკვირვებლების სხვადასხვა ქვეყანაში განლაგების კოორდინირებას და ორგანიზებას, რათა შეფასდეს თუ რამდენად შეესაბამება ეუთოში შემავალ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნები ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებს, დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო სტანდარტებს და ვალდებულებებს და ეროვნულ კანონმდებლობას. მისი უნიკალური მეთოდოლოგია მთლიანი საარჩევნო პროცესის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. თავისი პროექტების მეშვეობით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საკუთარი საარჩევნო სტრუქტურების გაუმჯობესებაში ეხმარება.

ოფისის **დემოკრატიზაციის** საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო მხარდაჭერა, დემოკრატიული მმართველობა, მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება და გენდერული თანასწორობა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის მიზნობრივ დახმარებაზე ორიენტირებულ პროგრამას ახორციელებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ასევე დახმარებას უწევს **ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების** დაცვასთან დაკავშირებით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც ეუთოს ადამიანური განზომილების წინაშე აღებული ვალდებულებებს შეესაბამება. ამის მიღწევა სხვადასხვა პარტნიორებთან მუშაობით ხდება, ამ მუშაობაში შედის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა, შესაძლებლობების შექმნა და თემატურ სფეროებში გამოცდილების გაზიერება, ეს სფეროებია: ადამიანის უფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება, ადამიანის

უფლებებთან დაკავშირებული განათლება და ტრეინინგი, ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშგება და ქალთა ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

ტოლერანტულობის და არადისკრიმინაციის მხრივ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს მათ მიერ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და არატოლერანტულობის სხვა ფორმებზე რეაგირების გაძლიერების კუთხით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა, რომელიც ტოლერანტულობას და არადისკრიმინაციას ეხება შემდეგ სფეროებზე ფოკუსირდება: კანონმდებლობა, სამართალდამცავთა ტრეინინგი, სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე და ინციდენტებზე რეაგირების მონიტორინგი, ანგარიშგება და შემდგომი ნაბიჯები; გარდა ამისა ფოკუსირება ხდება საგანმანათლებლო საქმიანობებზე, რომელთა მიზანია ტოლერანტობის, პატივისცემის და ურთიერთგაგების ხელშეწყობა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს რჩევებს აძლევს მათ მიერ **ბოშების** მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ოფისი ხელს უწყობს ბოშების თემებში შესაძლებლობების და ბიზნეს კონტაქტების შექმნას და მხარს უჭერს ბოშების მიერ პოლიტიკის მწარმოებელი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა ეუთოს წევრ ქვეყნებთან, ეუთოს ინსტიტუტებთან და ადგილზე განხორციელებულ პროგრამებთან ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციის და თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებგვერდზე (<http://www.osce.org/odihr>).